

K 173.824  
3

ԱՐԴՅՈՒՆ  
ՑՈՒՑԱԿԱՐՏԱԿԱՐ

ՍԳԵԺԱՆՆԵ  
ՈՂԾԵԼՈԱՆՈՆ  
«ՎԵՐԱՎՐԱՅԻՆ ՈՂԾԵԼՈԱՆՈՆ»-Ն  
ԺՎԵԼՈ ՀԱՌՄԵԼՈ  
ԹԱԼՋՄԱՆՅԻՆ



ԱՏԵՓԱՆՈՍ ՕՐԲԵԼՅԱՆԻ  
«ՊԱՏՄՈՒԹԻՒՆ ՕՐԲԵԼԵԱՆՑ»  
ՀԻՆ ՎՐԱՅԵՐԵՆ  
ԹԱՐԴՄԱՆՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

საქართველოს სსრ მიცნარებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
საქართველოს მსტარის წარმოადას პოლიტიკური  
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ



## საქართველოს მსტარის წარმოადას გუაროები

4



ИНОСТРАННЫЕ ИСТОЧНИКИ ИСТОРИИ ГРУЗИИ  
IV



ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ПЕРЕВОДЫ «ИСТОРИИ  
ОРБЕЛЯНОВ» СТЕФАНОСА ОРБЕЛЯНА

Грузино-армянские тексты подготовила к изданию,  
предисловием и указателем снабдила  
Е. В. Цагарейшвили

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1978

სტეფანოს ორბელიანის «ცხოვრება  
ორბელიანთა»-ს  
ძველი ქართული თარგმანი

ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა,  
შესავალი და საძიებლები დაურთო  
ე. ცაგარე იშვილმა

1L 173 823 / 3  
824  
825 /  
1L 227 095 / 3.

გამოხვევლის „მაცინირება“

თაღლის

1978





## მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიქნაძე (მთ. რედ.  
მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძა-  
ძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშვა (მთ. რედ.  
მოადგილე).

სერიის რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი  
ტომის რედაქტორი ც. კურციკიძე

## ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашвили (зам. главного  
редактора), Ш. В. Дзандигури (главный редактор), И. С. Долидзе,  
С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Ме-  
ликишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хощтания.

Редактор серии С. Г. КАУХЧИШВИЛИ

Редактор тома Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

## საქართველოს მსტრიის ფაროების პრიზი

შ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, თ. გამყრელიძე, ქ. გრი-  
გოლაძე, ი. დოლიძე, გ. ღუმაძე, რ. გიქნაძე, ქ. ლომთათაძე, გ. ლორთქიფანიძე,  
გ. მეღიჯიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. მეტრევალი (თავ-  
მჯდომარის მოადგილე), ა. სურგულაძე, ს. ფაუნჩიშვილი, გ. ძიმიგური (თავ-  
მჯდომარე), გ. ჰანიძე, ხ. შოშიაშვილი, ე. ხოშტარია, ხ. ჯანაშვალი, ხ. ჯიქია.  
კომისიის მდივანი გ. აბაშიძე.

## КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

З. Н. Алексидзе, А. Г. Барамидзе, В. В. Беридзе, В. Н. Гебашвили,  
Т. В. Гамкрелидзе, К. Г. Григолия, Н. С. Джанашиа, С. С. Джиккия, Ш. В.  
Дзидзигури (председатель), И. С. Долидзе, М. К. Думбадзе, С. Г.  
Каухчишили, Р. К. Кикнадзе, К. В. Ломтадзе, М. Д. Лордкипанидзе,  
Г. А. Меликишвили (зам. председателя), Е. П. Метревели  
(зам. председателя), А. Н. Сургуладзе, М. А. Шанидзе, Н. Ф. Шошиა-  
шили, Э. В. Хоштария.

Секретарь комиссии М. Д. Абашидзе.

9 (C 41) + 901 (C 43)  
 9 (47.922) (001) + 90 (47.925)  
 ს 837

„ცხოვრება ორბელიანთა“ წარმოადგნს XIII საუკუნის სომე-  
 ხი ისტორიკოსის სტეფანოს თხმელიანის თხმელების „სისაკნის  
 სახლის ისტორიას“ 66-ე თაეს. მასში თავმოყრილი საფურალებო  
 შასალის დიდი ღირსების გამო იგი „სისაკნის სახლის ისტორიას“  
 დამოუკიდებლადაც არსებულა როგორც სომხურად, ასევე ქართუ-  
 ლად ცალკე თხმელების სახით.

წინამდებარე ნაშრომში ქვეყნება „ცხოვრება ორბელიანთა“  
 ძეველი ქართული თარგმანის თრია ჩელაქია (S—3428 და A—864).  
 ტექსტის წინ ერთვის ტექსტოდოგიური ანალიზი და შეფასებულია  
 ამ თარგმანის მნიშვნელობა მათი შესაბამის სომხურ ტექსტთან  
 შეჯერების საფუძველზე.

«История Орбелянов» представляет собой 66-ю главу сочинения армянского историка XIII века Стефансона Орбеляна «История рода Сисакан». Насыщенность этой главы ценностями сведениями послужила причиной тому, что «История Орбелянов» существовала в виде отдельного сочинения как на армянском языке, так и в грузинских переводах.

В настоящем труде публикуются две редакции древне-грузинского перевода «Истории Орбелянов» (S—3428 и A—864).

В предисловии дается анализ текста и оценено значение этого перевода на основе сличения его с соответствующим армянским текстом.

## შესავალი

საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხო წყაროთა გათვალისწინებასაც. როგორიცაა რიცხვს სომხური საისტორიო წყაროებიც განეკუთვნებან.

სომხურმა საისტორიო მწერლობამ მრავალი საყურადღებო ცნობა შემოგვინახა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, თუ სოციალურ-კულტურული ცხოვრების უფრო ფართოდ გასაცნობად. აღნიშნულმა გარემოებამ აღრევე გააღვიძა ქართული საზოგადოების დაღი ინტერესი სომხური საისტორიო ძეგლებისადმი და მათი ქართულად თარგმნის საჭიროება და აუცილებლობა წარმოშვა.

სწორედ ასეთი აუცილებლობის შედეგი XIII—XIV სს. სომები ისტორიოსის სტეფანოს ორბელიანის, ივავე სივნიელის, „ცხოვრება ორბელიანთას“ ტერმინით ქართული თარგმანი, რომელთა პუბლიკაცია წინამდებარე ნაშრომშია მოცემული. „ცხოვრება ორბელიანთა“ სტეფანოს ორბელიანის „სისახანის სახლის ისტორიის“ 66-ე თავს წარმოადგენს და თითქმის მთლიანად ორბელიანთა თავგადასაცალს გაღმოგვცემს!

„სომების ისტორიისთა შორის სტეფანოს ორბელიანი, — წერდა ივ. ჯავახიშვილი. — არჩევულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის სხვა დანარჩენ სომების ისტორიოსთავან, როგორც საისტორიო მასალების შერჩევით, ისევე მოთხრობის შინაარსით თვალსაჩინოდ განსხვავდება. არც ერთს მათგანს იმის მეასედი ცნობებიც არა აქვს, რაც სტეფანოს ორბელიანმა სომხეთის შინაური ყოფა-ცხოვრებისა და წეს-წყობილების შესასწავლად შეაგროვა თავის თხზულებაში. სა-

I მეომად ვმუშაობთ სტეფანოს ორბელიანის „სისახანის სახლის ისტორიის“ მონოგრაფიულად შესასწავლაზე (სომხური კრიტიკული ტექსტი, ქართული თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები). დასახვლებულ ნაშრომში უფრო დაწვრილებაშით იქნება აღნიშნული ამ საყურადღებო ძეგლის მნიშვნელობა და ლიტებულება ამინდის მიერკავებასთან და განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიისათვეის.

ქართველოს ისტორიაში ცნობილ ობელთა საგვარეულოს ის ჩეთდებულის ერთი ჩამომავალთაგანი, რომელიც გიორგი III-ისაგან ექვივიდებინის შემდგომ სომხეთში შეიხიზნა და გასომხდა, სტელსების შემდებრების ლიანი, XIII ს. დამლევს სივნიეთის ეპისკოპოზზად ყოფილი შრამული შემდებრების ვისი სამწყსოსა და თემის ისტორიის აღწერას შეუდგა<sup>2</sup>.

სივნიეთი, ანუ სისაკანი (**Մինիք, Միսაկան**) ძველი სომხეთის ერთ-ერთი უძლიერესი სანახაორაოთაგანი იყო, რომელიც III—IV საუკუნეებიდან მოყოლებული მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძვეულის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სასანიანთა ბატონობის პერიოდში სივნიეთი გამოყოფილი იყო სომხეთის სამარზპანოსაგან და ხარქს ატრპატაյანის სამარზპანოს უხდიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც სომხეთის ორგანულ ნაწილად რჩებოდა. ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის პერიოდში სივნიეთიც აქტიურად იყო ჩაბმული არაბ დამპურობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ძველი სომხეთის სხვა სამთავროთა მსგავსად, სივნიეთმა განსაკუთრებულ ძლიერებას IX საუკუნის ბოლოს, სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (885 წ.) მიაღწია.

სივნიეთის სამეფო 1170 წელს თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. საბოლოოდ განთავისუფლება მან შეძლო X III საუკუნის ღასაწყისში<sup>3</sup>.

სწორედ სივნიეთის ისტორიის ამ მრავალმხრივ საყურადღებო ხანაში (XIII ს.) ცხოვრობდა და მოლვაშეობდა სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი სტეფანოს ორბელიანი.

სტეფანოს სივნიელის ბიოგრაფიის აღდგენა შესაძლებელია როგორც მისი „სისაკანის სახლის ისტორიიდან“, ასევე ტაოვში სტეფანოსს მიერ გრიგოლ განმანათლებლის სახელზე აშენებული ეკლესიის წარწერებიდან.

როგორც ცნობილია, იგი იყო ობელთა ფეოდალური გვარის წარმომადგენელი, ხე ტახიაშვი თბელიანისა და არუზ-ხათუნისა; სტეფანოსი გაზარდა ბიძამ (მამის ძმამ) სუმბატ თბელიანიმა.

<sup>2</sup> ი. ჭავახიშვილი, ვლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ტემა სომხეთში, ტფილისს უნივერსიტეტის მთამბე, II, 1922, გვ. 249.

<sup>3</sup> სივნიეთის შესახებ ცნობები დაცულია სომეხ ისტორიკოსთა: აგათანგველისის, ფავსტოს ბუზანდის, ლაზარე ფარპელის, ელიშეს, მოსე ხორენელის, ანანია შირაკელის, სებეოსის, იოანე დრასხანავრტელის, თომა არწიუნის, სტეფანოს ტარნელის, ანონიმი ისტორიკოსის (ფსევდო-შაპუქ ბაგრატუნად წოდებულის), არისტაკეს ლასტივერტელის, მხითარ ვოშის, კირაკის განძავლის და სხვათ ნაშალის ისტორიას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სტეფანოსის უახლოეს წინაპართა და ოჯახის შევრითა შესახებ  
 ასეთი ცნობაა დაცული ამ ძეგლში: „მათ დღეთა შინა აღმოჩეულ  
 ქმა ამისი, შუენიერი ყუავილი ივანე და დაიდა ელიკუმისა თან.  
 ხოლო დაშთა ამას ძე ერთი კეთილი ნერგი, რომელსა ეწოდა მარტინ და  
 ლიპარიტ, და შემდგომად მცირეთა დღეთა მოკუდა, და მეორეცა ძმა  
 მისი, შენ მებრძოლი იგი ფახრადულან და იგიცა მოკუდა, და ფლა  
 მათ თანა. ხოლო მმისწული ამათი ბირთველ გაჰყენა ჭახსა პულაგუ-  
 ყაენისა საბრძოლად ბერქა-ხანისა მინდორსა მას ხაზართასა, რო-  
 მელსა აწ ყივჩაყო უკმობენ, და მდინარისა მის სიახლოეს, რომელ-  
 სა აწ თერგს უწოდებენ, და მოკლეს ბირთველ მუნ ომში რიცხუსა  
 მაცხოვრისასა ჩს-ჟა. ხოლო ამისა შემდგომად მიიცუალა ყოვლად-  
 კურთხეული დედა ამათი ასთაი რიცხუსა ჩს-ჟა და დაფლა ძეთა  
 თვეთა თანა. ხოლო ლაქშთა სუმბათს შემწედ მხოლოდ უმრწემესი ქმა  
 თვესი ტარსაიჭი, რომელი იყო კაცი ძლიერი და მეომარი და მარჯვე  
 ყოველსა საქმესა შინა, და იყო კეთილმსახური და ფრიად ღმრთის-  
 მოყუარე, რომელსა შეერთო ცოლად წართმეული ისმაილიანთაგან ას-  
 ული სივნიერთ მეპატრონისა, რომელსა უხმობდენ არუზ-ხათუნ, რო-  
 მელი გაქრისტიანდა და აღივსო სარწმუნობითა და შიშითა ღმრთისა-  
 თა. რომელმან ჰუნდა ძენი სამინი: პირველი ელიკუმ, მეორე სტეფანე,  
 რომელი იცხო ეპისკოპოსად, და მესამე ფახრადულან. და ტარსაიჭი  
 უფლებდა მვარეთა ოროდნისათა... ხოლო სუმბათ, ვინამოგან იყო  
 უძეო, იშვილა ერთი ძეთაგან ტარსაიჭისა და მისცა სასწავლოსა შინა  
 წერილთასა და მღუდლობისასა, და თავადი შემდგომად მრავალთა-  
 ქუეყანათა აღმენებათა მონასტერთა და ეკკლესიათა და დიდ-დიდთა-  
 ჩინებულთა საქმეთა შინა წარემატა წინაპართა თვსთაგან, წარვიდა-  
 კარსა, სამეცნისა მას არღუნისასა, და საპიპრა იყო დავრეულ შავასტანს,  
 ესე იგი თავრიზს. მუნ დაუძლურდა უძლურებითა დიდითა და მო-  
 კუდა, და მისცა ყოველი სამთავრო თვისი ძმასა თვისსა ტარსაიჭის და  
 შთაბარა იგი არღუნს და საპიპსა. და თავადი მიიცუალა და მივიდა  
 ანგელოსთა თანა”<sup>4</sup>.

სტეფანოს ობელიანმა საქმაოდ დიდი როლი შეასრულა სივ-  
 ნიეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურსა თუ საეკლესიო-კულტურულ-  
 ცხოვრებაში, რაც ძირითადად იმით იყო გაპირობებული, რომ სტე-  
 ფანოსი სივნიეთის მიტროპოლიტი იყო და კარგად ერკვეოდა თავისი  
 ქვეყნის საჭირობროო საკითხებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ  
 სტეფანოსი არანაკლებ მცირე იყო სხვა ქვეყნების — კილიკიის სომ-

<sup>4</sup> სტეფანოს ობელიანი, ცხოვრება ობელიანთა, წინამდებარე-  
 გამოცემა გვ. 88—90, 94—95.

ხური სამეფოს, საქართველოს, მონლოლთა და საერთოდ მახორის აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისა.

სტეფანის ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორიული“ წერტილში გამოიჩინება სომხური საისტორიო მწერლობის სხვა ნიშვნებულებების და ლის მრავალუეროვნებით, გამოყენებულ წყაროთა ‘(საისტორიო-ლიტერატურული, ეპიგრაფულ-დიპლომატიკური, ეპისტოლარული, საარქივო, ზეპირსიტყველებითი) სიუხვითა და, რაც მთავარია, ისტორიკოსის მიერ ფაქტებისა თუ მოვლენების შედარებით მართებულად ახსნითა და შეფასებით. როგორც ცნობილია, სტეფანის ორბელიანი თითქმის ერთადერთია ძეველ სომებს ისტორიკოსთა შორის, რომელმაც კლასთა ბრძოლის, საერთოდ სოციალური მოძრაობის ფაქტები შენიშნა X საუკუნის სომხურ ფეოდალურ სამეფო-სამთავრო-ებში.

გრიგოლ აკანელთან, ვარდან აღმოსავლელთან და კირაკის განბაკელთან ერთად სტეფანის სივნიერი ძირითადი პირველწყარო მონღლოლთა ბატონობის პერიოდის ამიერკავკასიის ხალხთა და, მათ შორის, საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

მა თველსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ სტეფანის ორბელიანის ზემოთ აღნიშნული ნამრომის ნე-ე თავი, „ცხოვრება ორბელიანთა“, რომელიც ორბელთა ფეოდალური სახლის თავგადასვალს გადმოგვცემს.

ორბელები XII—XIII სს-ში საქართველოს უძლიერეს ფეოდალურ საგვარეულოს შეადგენდნენ. ისინი ქვემო ქართლის მემამულები იყვნენ და ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა და ათაბაგობა ეპურათ. მრავალი მოსაზრება თუ ვარაუდი არსებობს ორბელთა საგვარეულოს შესახებ, მაგრამ ზუსტად ცნობილი არ არის, თუ საიდან წარმოიქმნა ეს საგვარეულო, ან სად გაქრა იგი XIII ს-ის შემდეგ.

ამირსპასალარი ივანე ორბელი, დემა უფლისწულის სიმამრი, ფაქტიურად სათავეში ედგა ფეოდალთა ამბოხებას 1177 წელს, რასაც ორბელთა სახლის დამხობა მოჰყვა შედეგად. ულუ დავითის დროს ორბელები ამნისტირებული იქნენ და დაბრუნდნენ საქართველოში. ისინი საქართველოში თავისი მოღვაწეობის ამ მეორე პერიოდში არა მარტო ქვემო ქართლის მამულებს იგდებენ ხელთ, არამედ ათაბაგობასაც, რაც ამ დროს პირველვაზირობას ნიშნავდა.

ამ ძლიერი ქართული ფეოდალური სახლის შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია XII—XIII სს-ის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის მრავალი მოვლენა, თუ არა სტეფანის ორ-

ბელიანის აღნიშნული თხზულება, თითქმის არაფერი გვეცოდინგმო—  
და ისევე, როგორც თითქმის არაფერი ვიცით სხვა მრავალ ფერდა—  
ლურ სახლზე.

ორბელიანთა საგვარეულოს უძველესი ისტორიის აღწერული გვერდით  
დეგ, სტეფანოს სივნიელი იხსენიებს 1177 წელს გიორგი III-ის მი-  
ერ ორბელთა ძირიანად ამოწყვეტის ფაქტს და შემდგომი პერიოდის  
ამბების უფრო დაწვრილებით აღწერით ავსებს მათ საინტერესო თავ-  
გადასავალს. მისივე გადმოცემით, ორბელთაგან გაღარჩა მხოლოდ  
ორი ძმა. ერთი — ივანე თამარ მეფის დროს დაბრუნდა საქართველო-  
ში და დაეუფლა ორბეთის მამულს. მისგან ჭარმომაკლობენ ქართ-  
ველი ორბელიანებით. მეორე ძმა — ელიკუმი კი გახდა მფლობელი  
ერნესტის ციხის და დაბა ჭავჭავისა და დაქორწინდა ერთ-ერთი ჭავჭავე-  
ლი აზნაურის ქალიშვილზე.

66-ე თავში სტეფანოს ორბელიანი როგორც წერილობით წყა-  
როვპატ, ისე ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით, ხშირად კი ვითარ-  
ცა თვითმხილველი, დაწვრილებით მოვითხრობს ორბელიანთა ის-  
ტორიას ქართლსა და სივნიერში XIII საუკუნის დასასრულამდე.  
ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეაღევნს აღნიშნულ თავში დაცული ცნო-  
ბების შესწავლა და მათი მნიშვნელობის შეფასება ორბელიანთა ის-  
ტორიასათვის, მხოლოდ მივუთითებთ, რომ, როგორც ჩანს, სწო-  
რედ იქ თავმყრილი საყურადღებო მასალების დიდი ღირსების გა-  
მო, იგი „სისავანის სახლის ისტორიის“ დამოუკიდებლადაც არსე-  
ბულა როგორც სომხურად, ასევე ქართულად ცალკე თხზულების სა-  
ხით.

66-ე თავის სომხური ტექსტი პირველად 1775 წელს გამოსცა  
მაღრასში ე. შაპაშირიანმა: Պատմոթիւն մնացորդաց Հայոց և Վրաց.  
ի լոյս ածեալ տպիւք և ծախիւք Եղիազարու Շամբրեան կոչէցիւով՝  
աշխատակցոթիւմք Մոլսէսի Բաղրամեան հրահանգչէն իւրոյ. 1819  
ტექսტი მეორედ, ფრანგული თარგმანითურთ, გამოსკავ 1819 წელს პა-  
რიზში სენ-მარტინმა სათაურით: Histoire des Crélian ნაშრომში: Me-  
moires historiques et géographiques de l'Arménie. t. II გვ. 56—300,  
გვ. 56—176. მესამედ კი იგი გამოსცა ოსკან Ծერ-გეორგიან ითანამდებოდა  
მოსკოვში 1853 წელს: Ստեփաննոսի արքեպիსკოպոսի Սիւնեաց՝ Պա-  
տմոթիւն ի վերայ ժագმան տոհմին Օրպէլիանց և ի վերայ լարձա-  
կման թաმთարաց ի Հայու.

ვერ კიდევ XIX საუკუნეში აღნიშნული თავი ორჯერ ითარგმნა რუ-  
სულად: ერთხელ იგი გამოსცა 1883 წელს მოსკოვში ქუჩუკ იოანნესოვ-  
მა სათაურით: История князей Орбельян. Извлечение из сочинений

Стефана Сюнийского, армянского писателя XIII века. № 1724 (XVI в.); № 2748 (1624 г.); № 3498 (1624 г.); № 3070 (1669 г.); № 1482 (1676 г.); № 2560 (1695 г.); № 4584 (XVII в.); № 6882 (1776 г.); № 7084 (1840 г.); № 8344 (XVII в.); № 8894 (XIX в.); да № 6995 (XVI в.); № 1870 (1652 г.); № 1721 (1696 г.); № 784 (XVII в.); № 791 (1644 г.).

Ниже приведены списки из Статьи № 1724 (XVI в.), № 2748 (1624 г.), № 3498 (1624 г.), № 3070 (1669 г.), № 1482 (1676 г.), № 2560 (1695 г.), № 4584 (XVII в.), № 6882 (1776 г.), № 7084 (1840 г.), № 8344 (XVII в.), № 8894 (XIX в.), № 6995 (XVI в.), № 1870 (1652 г.), № 1721 (1696 г.), № 784 (XVII в.), № 791 (1644 г.).

Составлены списки из Статьи № 1724 (XVI в.), № 2748 (1624 г.), № 3498 (1624 г.), № 3070 (1669 г.), № 1482 (1676 г.), № 2560 (1695 г.), № 4584 (XVII в.), № 6882 (1776 г.), № 7084 (1840 г.), № 8344 (XVII в.), № 8894 (XIX в.), да № 6995 (XVI в.), № 1870 (1652 г.), № 1721 (1696 г.), № 784 (XVII в.), № 791 (1644 г.).

Составлены списки из Статьи № 1724 (XVI в.), № 2748 (1624 г.), № 3498 (1624 г.), № 3070 (1669 г.), № 1482 (1676 г.), № 2560 (1695 г.), № 4584 (XVII в.), № 6882 (1776 г.), № 7084 (1840 г.), № 8344 (XVII в.), № 8894 (XIX в.), да № 6995 (XVI в.), № 1870 (1652 г.), № 1721 (1696 г.), № 784 (XVII в.), № 791 (1644 г.).

Составлены списки из Статьи № 1724 (XVI в.), № 2748 (1624 г.), № 3498 (1624 г.), № 3070 (1669 г.), № 1482 (1676 г.), № 2560 (1695 г.), № 4584 (XVII в.), № 6882 (1776 г.), № 7084 (1840 г.), № 8344 (XVII в.), № 8894 (XIX в.), да № 6995 (XVI в.), № 1870 (1652 г.), № 1721 (1696 г.), № 784 (XVII в.), № 791 (1644 г.).

Составлены списки из Статьи № 1724 (XVI в.), № 2748 (1624 г.), № 3498 (1624 г.), № 3070 (1669 г.), № 1482 (1676 г.), № 2560 (1695 г.), № 4584 (XVII в.), № 6882 (1776 г.), № 7084 (1840 г.), № 8344 (XVII в.), № 8894 (XIX в.), да № 6995 (XVI в.), № 1870 (1652 г.), № 1721 (1696 г.), № 784 (XVII в.), № 791 (1644 г.).

<sup>5</sup> А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, в. III, СПб., 1894, с. 115.

<sup>6</sup> А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, в. III, СПб., 1894, с. 115.

«Архив Грузии», № 6, 1962, с. 33—84.

აღნიშნულ ხელნაშერებს გარდა, სტეფანის სივრციელის თქმას ლების 66-ე თავის ქართული თარგმანი S — 3428 ნუსხაშია შემონახული. როგორც ჩანს, ლ. მელიქშეთ-ბეგისათვის მისი ასევე პირველი კუთხით წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მას ან გამოაქვეყნებულა A — 864-ისა და H — 2697 ხელნაშერთა ტექსტებთან ერთად, ანდა რაიმეს მაინც აღნიშნავდა მის შესახებ „ორბელთა ისტორიის“ ქართულ თარგმანებზე საუბრისას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ S — 3428 ნუსხის ტექსტის შესწავლა — ქართული თარგმანის შემოწმება სომხურ დედანთან შეჯერებით, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, გამოქვეყნებული A — 864-ის ტექსტთან მისი დამოკიდებულების გარეკონია.

S — 3428 ხელნაშერი XVIII საუკუნის ნუსხას წარმოადგენს. გადამშერად ივარაუდება კორნელი ჩაჩიქაშვილი, შეიცავს 37 ფურცელს. ხელნაშერის ბოლო ფურცელზე მოთავსებულია ანდერძი: „ხოლო სრული და წრფელი ცხოვრება ნათესავისა ორბელიანთასა სახოან ექმენით ვარდან წინამძღვრისა იოვანესითა ტიფხის ქრისტეს აქეთ ჩერპბა“<sup>7</sup>.

ჩვენთვის საინტერესო ნუსხის A — 864 ხელნაშერთან შედარებამ ცხადყო, რომ A — 864-ისა და მისი ზუსტი ასლის H — 2697-ის წარმომავლობა S — 3428 ნუსხიდან გამორიცხულია. არც ამ სამი ხელნაშერის (S — 3428, A — 864, H — 2697) სხვა რომელიმე მეოთხე ხელნაშერიდან მომდინარეობაზე შეიძლება ლაპარაკი. S — 3428 ნუსხის ტექსტი რედაქციულად განსხვავდება A — 864-ისა და ე. ი. H — 2697-ის ტექსტებისაგან. მინაშერების უქონლობის გამო, ჩვენთვის ცნობილი არ არის აღნიშნული ხელნაშერის გაღმოთაზე მნის ზუსტი დრო და გარემოებანი, მისი მთარგმნელისა და თარგმნის ინიციატორის ვინაობა. მაგრამ ქართული თარგმანების ერთმანეთან და მათი სომხურ დედანთან შეერების შედეგად გაირკვა, რომ აქ საქმე გვაქვს სომხური ტექსტიდან სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პიროვნების მიერ შესრულებულ ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ და დამოუკიდებელ ქართულ თარგმანთან. აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიტანთ რამდენიმე შაგალითს:

7 სტეფანის ორბელიანი. ცხოვრება ორბელიანთა, გვ. 114. იხ. ქართულ ხელნაშერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტომი V, თბ., 1967, გვ. 48. ჩერპბ = 1682 წ.

«Բայց վասն նախանձուն Դէորդի թագաւորին, որ ազգաւ չնշեաց գնոսա ի վրաց աշխարհէն, չնշեցին գանունս նոցա ի պատմութենէն իւրիանց և լամինայն պրիանց և յեկեղեցեաց, վասն որով և մէք քննեալ և տեղեկացեալ զսակաւն ի բազմաց ի զիսառդ արանց և ի մուացեալ Միշատակարանաց ուրեք ուրեք ևս և լաւամդաթեանց նախնեացն յորիքանց, զորժանոցին հարք որդւոց մինչի զմեկ: Ալզի ժահեալ էր յիշատակ նախնական պրոցաբանութեանց նոցա, նա և ամինայն արտիթիւնք և գործք երեխիք իւսէք ի տան վրաց ազդին Օրբէլիանց ի նորին ժին ժամանակապրոցն, զոր Քարթէլիս Ցիսորեալ կոչէնք:

Եօլոր զորհցո մյութեան Մուրուտա ալմոնցուն օգոնո նատեսած մըլման ցուարուտ ալզութորտ յըցըանսացան եօլու օգոնո սայօն յարտլուսա, համեռու ուզըլունդամ. աեռցը օլմոնեօլուն սաելոն սաելոն մատոն մոտեմատոն կըօրշընատացան հոմատա ուզտագան, տցուտա դա պոցըլտա հոմլուսատուն իցնցու գան Շիցնու դա ըըլլ- ցամոմիցնու դա Նեգ- սուտացան, հոմլուսատուն մո՛շընու ցըցանու զուցա հցեն ցամոցից- լուց դա Նեգմո՛շը- ցունոն մո՛րեցու մրացլուսացան լուց դա Նեգմո՛շը- ցունոն մո՛րեցու մրացլուսացան լուց դա գուլուսեմա-ցպաց ձարտա մատու, հոմե- լու օլցարտացանց ալ- ցոլլ-ացցոլ. դա Մշմ- ցունոն մյումը հոմեց- լու Շինանցըլտա մատ- ուցան մոտեհոնձուն ոսու սա- կըցը մամատա Ժյուլու մատու ձամեանու, ցնու մամատա Մցունոն մատու ձամեանու, մյացրեցան դա մոյ- ցունոն հցենամլց. Եօլոր Սարցըոտ օլց- ցարու Ցորցըլ Շահմո- տեհոնձատա մատու դա պոցըլու Սայմը դա Տիմ- նեց ցամոհինցըլու յա- հոլուսա Շինա Մորուս նատեսացուսա ործըլու- անտասա ցամուսա մատուսա ալ՛յուրոլու, հոմլուսա յարտլուս կըօրշընադ լունցըն:

სტეფანოს სიენიელის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს შემცველ  
ოთავე ნუსხიდან ზემოთ მოტანილი მაგალითები, გარდა უქრაინულური  
მანთა რედაქციული სხვაობისა, იმასაც აშკარად ამტკიცებული უყვარება  
ოფენ ზუსტად მიჰყევდა S — 3428 ნუსხის ტექსტი სომხურ დედანს,  
ხოლო A — 864-ის ტექსტი უფრო თავისუფალ და არაზუსტ თარგ-  
მანს წარმოადგენს. როგორც პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშ-  
ნავს. ამ გარემოებაზე A — 864-ის მთარგმნელი და გადმომწერიც მი-  
უთავებენ „სრულებით მდაბიურათ დასწერეთ“, ან კიდევ „ნუ  
მბასრობთ მე, რათამცა მეტი ანუ ნაკლები დამეწეროს რამე, ნუ იყო-  
ფინ ჩემდა, არამედ რადცა მაგალითსა შინა აღმოკითხებოდა, ის აღ-  
უწერე“. „ამისა შემდგომად ვისაც პნევდევლეს გამართვა ანუ მაღალსა  
კალამსა ზედან თხზვა ამისი, მან უწყის, რამდენსაც მიიღებს და ამა  
წერილს შეამწიბს ლექსთა გინა ზმანათა გასწორებით“ და სხვ.

A — 864 ხელნაწერის ქართული თარგმანის სომხურ დედანთან  
შედარებამ ცხადყო, რომ ბევრ ადგილას მთარგმნელს სრულიად ვერ  
გაუგა რომელიმე სომხური სიტყვისა თუ ფრაზის მნიშვნელობა და  
იმავე სომხური ტრანსკრიფციით, ან დამაზინებით გაღმოუტანია  
ქართულ ტექსტში. ზემოთ აღნიშნულის დამატებიცებელი მაგალითე-  
ბი ბევრია A — 864-ის ტექსტში (რაზედაც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგ-  
საც აქვს მითიობული), მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს მოვიტან:

#### A — 864

«**ძილოվნებან** բազմոթիւնք  
Պարսկաց և Խազրաց, Խորազմաց  
և Արաբկաց, ևս և Ակիւթացի,  
Թորքաստանեալց՝ և Ակեալ բա-  
նակեցან ի գաշտին Կարնոյ ան-  
թիւ և անհամար բանակօք».

შეკრბენ ურიცხვნი სიმრავლენი  
სპარსთანი, ხაზართანი, ხორამა-  
ზელთანი, სკვთელნი თურქისტა-  
ნელნი. ესე ყოველნი მოვიდნენ  
და დაებანაკენენ მინდორსა მას  
გარნი სასა ურიცხვსა და  
უთვალავისა ბანაკითა⁹.

მოტანილ ნაწყვეტში, გერთი, სრულიად გამოტოვებულია  
«Արաբկաց»-ის შესატყვისი ქართულ თარგმანში; «Խորազմაց», რაც  
ნიშნავს „ხორამზელთა“, თარგმნილია ხორამ აზე ლთანით, ხო-  
ლო «ի գաշտին Կարնոյ», „მინდორსა კარინისა“, გადმოტანილია შეც-  
დომით: „მინდორსა მას გარნისასა“, ასეთივე შეუსაბამობა გვხვდე-  
ბა შემდეგ ადგილას:

⁹ სტეფანოს ორბელიანი, ცხოვრება ორბელიანთა, გვ. 31.



«Բչեր, դռապիր իրը դառիծ,  
խնդրէր ի նոցանէ մենամարտի-  
կս և ասէր: «Իս ևմ Լիպարիտն  
Ափիսազաց, եկալք՝ քաջք Պարսից  
և Սրեաց, և նախամարտեսցոք  
ընդ միմեանս»:

օնակճա დա ձրգապահութիւնները  
տարբա լոռմո մրიսնանց, და გაմօն-  
տերպდա მათ მიერ მეომարს და  
იტყოდა: „მე ვარ ლიპარიტ აფ-  
էսზთა, გამოვედით, ჰე მշნენო  
სპաრსთან და ქურ რთთა ნო,  
პირველ ვებრძოლენ ურთიერ-  
თას<sup>10</sup>.

աղնօմնուլ ტექնტში «Արեաց», ց. օ. „արուելու“, Մելքոնիտա տարշմենոլո „վարդութա“-დ.

ԵՇԹԻԱԾ վարդուլ տարշմանში զեხვდებա იսետი ՍԿՆԱՇՐՈ զանմար-  
ტեბեծո, հոգորհուցա „Ճ Ճ Ճ ճ Ճ Ճ Ճ Ճ ճ“:

«Եւ Լիպարիտն իւրովքն զտե-  
ալ կաժան մի դնայ և եկեալ  
ամրոց ի առն իւր՝ դոհանայք  
զՔՀԱԿԱՆԷ:

«Քտեալ կաժան մի՝ դնայ ... = „Ոմոցա հա յիտ ծոլոյզ, ֆազութա“. Վարդուլա մտարցմելու, եթողծա, յե գրան զեր გապա. «Կաժան  
մի՝ դնայ» ցըրագրացուլ սանելու մուհինեցա და Մելքոնիտ ան-  
ցանահրտաց ֆոնադացի: „Եռլո լոկարიტ ոյու յաֆն մեցնան“. Տո-  
նաճցուլցի յո կաժան = ծոլոյզ, մի = յիտ, դնայ = ֆազութա.

A—864-ու ტեքնტშու ԵՇԹԻԱԾ աշրջեթազ ցրամաբուլու զարնու, Տորհու դա հութեան վարդուլա արամուկա տարշմուն Մելքոնիտու ամուսինու տարշմենու հոգորհու „մատուս նատեսացուս“, Սպառի յո ոյ-  
նենուն ՝ հեցնուս նատեսացուս“<sup>11</sup>.

«Իսկ Բարթլոս դնաց ի լիսան,  
որ՝ կոչի Արմագը և անդ չինեաց  
իւր առն և ամրոց մի անատիկ  
ի՞պատշաճաւոր տեղուց և կոչե-  
աց զրիրզն Օբրէթ».

Եռլո վարդունու ֆոնադա մտա-  
սա արմանի վուցցալունա და մուն  
ալոնինա սակլու დա ցոնց յիտ  
ուղղեցու մարտեցուլունա ալացսա  
და ցոնցսա մաս յ՛մ ու ու առնե-  
տու<sup>12</sup>.

10 Ն Ռ Ե Ռ Ա Ն ո ս ո ն ծ ը լ ո ս ն ո .

11 օյցօ, ՑՑ. 66.

12 օյցօ, ՑՑ. 24.

13 օյցօ, ՑՑ. 25.

Կեռուրինա արձելութիւն, ՑՑ. 34.

მოტანილ ნაშევეტში „ეწოდა“-ს ნაცვლად უნდა იყოს **კუჭი** და „რაც სწორი შესატყვისია **კუჯი** = წოდება, სახელფეხი ზმის ნამყო დროის მოქმედებითი გვარის მხოლოდითი მუშაობა გის ვე-3 პირისათვის — **კუჯავა**.

#### A — 864

«ქამან ირავ ქუჩნ აქსო ყუთმა-  
ნუნისან გრაფიკინი დირაფ և  
ქუნტახნ მხარეან იქნალუნთ მხრა-  
ზ ჯაფა և ჩ ყ.რავა»:

ამისთვის წარგზავნა კეი-  
სარმან კომინისი ტრაპიზონისა  
სამეცნიეროთი და სთხოვა ერთბა-  
ზად შემწეობა ქართველთა და  
სომებთა...<sup>14</sup>

«**ქუჯი** = წარგზავნა, მიცლინება ზმის — «**ქუჭა**» ფორმას შეესაბამება  
ქართულად „წარგზავნეს“, „წარავლინეს“ და არა „წარგზავნა“. ხოლო რაც შეეხება „კეისარმან“, რომელიც ასე შე-  
საბამისად ჩანს A — 864-ის ტექსტში: „წარგზავნა კეისარ-  
გზან“, მთარგმნელის მიერაა ქართულ ტექსტში დამატებული.  
**825 826 827** ასეთივე უზუსტობა აქვს დაშვებული მთარგმნელს იქვე, ზემოთ  
მოტანილი ტექსტის გაგრძელებისას:

#### A — 864

X 173. «**ირა և ნეტხალ ქაჯნმ ძამა-  
ნაკე ի բუნაւირ ზაყაւირებენ**» ქამან-  
აკე ზარაუი ხემ კამეხენ ქმან  
ენთ ქუნავ ჭიშაუნახელ»:

ქართველნი მას უამსა შეწუ-  
ხებულ იყუნენ სპარსთა სა-  
მფლობელოთა გან და ენე-  
ბათ სიცოცხლე სიკუდილად შე-  
ცეცხალათ<sup>15</sup>.

მოცემული სომხური ტექსტის ფრაზა «**ირა և ნეტხალ ქაჯნმ ძა-  
მანახე ի բუნაუირ ზაყაւირებენ**» უნდა ითარგმნოს: „რომელიც შე-  
ეციშობულნი იყვნენ იმ დროს სპარსთა თვითმპრობელი მეფისაგან“...

A — 864 ნუსხის ტექსტში ხშირად გვხვდება «**ქა**» წინდებულ-  
დართული საკუთარი სახელების წინდებულიანადვე თარგმნის შემთხ-  
ვები:

**ქანაქნ**

— „ზენონ“, ნაცვლად „ინა“, ანუ „ენო“-სი

**ქარაუ ქათმანნ**

— „ზარუს ხათუნ“, ნაცვლად „არუშ ხათუნი“-სა.

**ქაქეჲომნ**

— „ზელიკუმ“, ნაცვლად „ელიკუმი“-სა.

<sup>14</sup> სტეფანოს ორბელიანი, ცხოვრება ორბელიანთა, გვ. 31.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 25. ქართული თარგმანების ყველა შეცომა თუ უზუსტობა მთარგ-  
მნელს არ უნდა დავამრალოთ: ზოგი რამ, აღმათ, გადამწერ-რედაქტორის მიხეზიც  
არის.

2. ე. ცაგარევშვილი



- զԱԼՐԺ** — „ՆԵՐՇԻ“, նացելած „ՄՐԴԻ“-սա.  
**զԱՍԼԱՆ** — „ՆԱՍԼԱՆ“, նացելած „ԱԼԱՆՈ“-սա.   
**զԱՆԻ** — „ՆԱՆՈ“, նացելած „ԱՆՈ“-սա ան „ԱՆՏՎՐՈՒՇԽԱՐԱՅՈՒԵՔԵ<sup>16</sup>  
**զԱՐՊԱՆ** — „ՆԱՀՐԱՆ“, նացելած „ԱՀՐԱՆՈ“-սա դա և սեզ.

gaրդա ներտ համուտվունու սինստրոնեցնաս, առնիշնուլ տարշ-  
մանս ածլացը ազրւոց րամցնում տացաւեցնեցնա: մասնի եթուրած  
Խրուլած կամուրուցնեցնա բալույշնու նուրպա-գամուցմա, վիճա-  
ցնա ան րամցնում վիճածնա յիշու. մուշտուցնա մեռլուն րամ-  
ցնում ներտեցնան:

1) «Եւ անտանեցաւ աշխարհն այն ի կունանալ մինչեւ ի ժողով  
Սպիրու յանուն նորա Քարթէ» „დա յիշու ձեզ պահանա մաս եղանուցան  
զօջրը ենուրուս նկածնա նկածնա դա յարտլու<sup>17</sup> (յարտուլու տարշմանո  
մոցայցը Տ—3428 եղանակուրուման).

2) «Եթէ ուստի էին և որպէս» — „ու զոն օպանեցն օսոն դա զուտահ<sup>18</sup>.

3) «Ճնշեցին զանունս նոցա ի պատմութենէն իւրեանց և յամե-  
նայն գրեաց և յիկեղեցնեաց»... տարշմնունու մուս մեռլուն և I ճաշունու—  
«ածուցը սաեղենու մատնու մոտերունատա ոչտուացնա<sup>19</sup>. ցամուրուցնեցնա  
«յամենայն գրեաց և յիկեղեցնեաց». — „Կույլացան վիցնու դա զըլու-  
սուտացնա”.

4) «Ամենայն արտմիւն և գործք երեկիւք ի տանն վրաց ազգին  
Օրբէլիանց» — մասաբացու տարշմնա Տ—864-ին զյուտեղունութեանունու: „մյաց-  
րեանու դա մոյմեցնեանու հինեցնունու որիշունանու<sup>20</sup>, ցամուրուցնեցնա:  
«յարտլսա մունա գրութա»... դա սեզ.

արօս օնցու ներտեցն ուստեցնեցնու, հուցըսաւ Տ—864-ու յարտուլ տար-  
շմաննու հարտուլունու օնցու նուրպացնու դա վիճածնա մեռլունու-  
սոմենու դրուցնու առ ցաշուցնու. այց շնա ալոննունուս, հոմ օնցու  
հինարտեցնու յարտուլ տարշմաննու եթուրած կոնքութիւնուս ու բալու-  
լու նուրպացնու օնչանութեցնեցնա մոշալուցնեցնու:

ի Դարբանդ — „Համելու յենու յենու հայենու օտ-  
յմուս ալանցնու”.


իդ աթարեկ — „Համացին օտօնացն, անու կը րժուած անու-  
լուց դա մծիրմանցնեցնու”.

16 Տրեցանու ոհմանուանու, ցեղարեցնա ոհմանուանու, զ. 25.

17 օյց, զ. 24.

18 օյց, զ. 30.

19 օյց.



- ի Նորագմանս** — „Եռհացանի, յեզ օցո պետք մռնաս բարեկամ  
թաս“.
- դՊալպաք** — „Ճալծայն, Տէսատագան շնչող առաջնորդութան  
յի, կշալալ շնչող ամաս ծցը հուրօսոն  
անց օլուս յալայն“.
- կուր** — „Կուր, հռմելո ահա թիւզարոն“.
- դանձակ** — „Գանձայի, հռմել ահա գանչա“ դա նեցա մռա-  
ցալո.

Իզեն թյուր թյուրու հիմուշունու դա մտցացս շնչուս տոնեցնուսացան,  
հաւ այս շեցալ ցանցութա A — 864-ու թիւմիւնո, սուրու գոյնուց պահուսուն  
S — 3428 նուսեանո դաւուլո յարտուլո տարգման. Տավարանուց պահուսուն,  
հռմ օցո XVII Տայունեանո շնճա ոյոս Շեսրուլեցնուլո, հաջանաւ  
եղունայիւրից դարտուլո անցութիւն տանեմալ, S — 3428 1682. Վլուս  
(Քյէց) Եղանունացան ցանցուցնութիւնու Տայունեան.

Աղնունուլո յարտուլո տարգմանու Տոմենուր դրդանան Շեդահեծին  
պահուսու, հռմ օցո սուրու մերու Տոմենուր թիւմիւնու տան  
Տայունունու Շեսրուլեցնուլո. ուսուր այսարա, հռմ S — 3428 Եղու-  
նայիւրինո Շեմոնանուլ յարտուլ տարգման Ցողցուրու շնչուս տոնի դա,  
Շենուցնու օտյզան, ցրտցարու տացուսեցնուրեցն անսաւութեն. ովզաւուալ,  
մաշհամ մանց արուս Շեմոնեցուցնու, հռցուսալ յարտուլո թիւմիւնու Տո-  
մունաց ցըր գարաց ցանցունուցնու Տոմենուր մենՇենցնունուան: մաշհալուալ,  
Տոմենուր թիւմիւնու ցայցէս «**գաւառու**: «**և նստեր ի գաւառին Հարանդայ»».  
յարտուլ տարգմանու յու ցուտեցնութեն դա մշկումարյ ոյոս Տ ո ց յ լո-  
ս ա ձանձնաս». „Տոմունու“ սուրու յոնցուրութուլո ցնենա, „ցաշինու“  
Տայունունու դուդու ավմոնունուրուլո դանայուցա, մանու Շենուցնուցն  
Շենուցնու արա մահրու ցրտու, արամեց համցանում Տոմունու, դաձեցն,  
յալայցնու, այս հռմ «**գաւառու**-ու տարգման „Տոմունու“ ցրտցար շնչու-  
ս տոնին յենու. օցուց շնճա օտյզան «**գաւառու**-ու դաձա“-ս մենՇ-  
ցնունութեն տարգմանանցը. S — 3428 Եղունայիւրինո Շենուցնու յարտուլ  
տարգմանու ուղարկութուլո Տոմենուր մենՇենցնուցնու, հաւ ույշ  
Տոմենուր նախան առ արարցն, հռցուրու յու A — 864 նուսեանու  
ցանցութեն. մտարգմենցնու մաս մոմարտաց սուրու մերու Տոմենուր մենՇ-  
ցնունու անցութիւնու ցանցութիւնուալ.**

Աղնունուլուս նախան մենՇենցնու մենՇենցնու համցանու մաշհալուալ  
ցանցութիւնու ու անցութիւնուալ:



օ ժ է

«Եւ անգ շինեաց իւր տուն և  
ամբոց մի անառիկ ի պատշա-  
ճաւոր տեղւոջ».

«Եւ կոչեաց զրերդն Օրբէթ»

«Եկն նահապեստթիւնն Քար-  
թլալ»

«Եւ խնդրեն միտաբան օգնակա-  
նութիւն ի հայոց և ի Վրաց».

«Եւ թէպէտ լալ և լալ թուա-  
կանս առան, սակայն գհասարակն  
սոքա առին և սրդիքն իւրեանց՝  
և ազատեցին զաշխարհս ի դառն  
ժառալութենէ Տաճկաց».

S — 3428 եղլնաֆերմո Շեմոնեանշուլ յարտուլ տարգմաննո և այլառ  
հառացնոծութ գալութը և ամենա սուրբ ամառ օգոստոսի վահանակի օրը:

տացո ձլու օրու առաջաւութ (զօր ագլուխ) — մեջարտմացարո, մտացար-  
սարդառու.

«կարգեցին զնոսա սպարապետ  
և զօրագլուխ ամենայն տանն  
Վրաց».

«Ճա ան՛ենա մուն Տմիշիմ անթեռքի  
ճա օլ օյշ թն ա Տմիշիմ պայման  
ցանց Երեղլո աղջուլսա Շեսա Բյուզօն-  
սա»<sup>20</sup>.

«Ճա Միշուլա Կոնցեսա մաս օրծեց-  
տո, հոռմել սա օյշ Տամ-  
Շը օլ ձեւ Միշուլ օյշ են»<sup>21</sup>.

«մոցուլա ճա մուշ եւ նուլ  
օյշ թն ա Տորութելուրօնա յարտ-  
լուսա»<sup>22</sup>.

«Ճա օտեռոցը յորտոնօ ճա Շը-  
Նցենա ճա ձլու օրու ծա Տոմեյե-  
տա ճա յարտուցուացան»<sup>23</sup>.

«Եռլու Սկյուտուլմը և Տեցասա ճա  
և Տեցասա հուցեսա օլցենուլ օյմնա  
օցո, ցարնա Տրուլութ ամառ ջան-  
նցրես ճա յցըսան օցո Տամենու-  
տուսա ճա ծենո մատնո տացոսնյ-  
ուալ պանցը մթարուսա մուսան մոնա-  
ցեծուսա տուրկուսա»<sup>24</sup>.

S — 3428  
«ցանց Երենես օգոնո Տարակյ-  
ութ ճա տացու ձլու օրու առաջաւութը  
պահելու օրը Տաթլոսա Ցեւա յարտ-  
լուսատա»<sup>25</sup>.

20 Տ Ծ Յ Հ Ա Ն Ո Ս օ ր ծ ե լ օ ա ն օ,

21 օյշո.

22 օյշո.

23 օյշո, ՅՅ. 31.

24 օյշո, ՅՅ. 55.

25 օյշո, ՅՅ. 29.

ցեռցրեծա օրծելունութա, ՅՅ. 25.

Մշշնոյրեծօսա Մշտաբակեդա (պատշաճակեղ) / Աստիճան  
Սահմալցելո, լամանո, թթվենոյրո.

S — 3428 Մարդու առաջարկ

«Եթ այս լազողակ և պատշաճ ու գանձ կազմ գանձարքացեղալո գա մարդու առաջարկ»<sup>26</sup>

Սա Մոնղագ մոցոցոնարյ (ահա ապնեսանդ) — ածոծոյի հացալո, ցալոցոյ ածոծալո.

S — 3428

«Ժերե կարասցին դերժանիւ լայնմ անդնդապտոլու և ահա գնեսանդ բարկոթեանցն»

«Խոշչոյ Շեմձլեցել օյմենեն ցան-  
հոմագ սոյսկըրուլու ամուս մոյժ-  
օցատո և ա մոնց լու գո ո-  
ցոնար օսա ամուս հոսեցուսա»<sup>27</sup>.

Յորցել մտաց հոմա (նախարարութիւն) — մտաց հոմա, ծա-  
րոնածա, լուսարուսա, նախարարուսա.

S — 3428

«Վասն մեծի նախարարութեանն Օրիէկանց...»

«Ըստօսա մուտքու Յորց լու մտաց հոմա որ ծեղունան»<sup>28</sup>

Եաւ եաց մտաց հոմա (ցեղապէտութիւն) — մամատաց հո-  
մա, շահուս գործադրութանածա.

S — 3428

«Ի ցեղապէտութեան մերոյինսս սկսի նախնեոյն թորդոմայ»...

«Ն առ յ ս ա ց տ մ տ ա ց հ ո ծ ա ս ա ի ց ն օ ս ա մ ո ւ ս ա ս ա ն օ ւ տ ա հ ո ւ ս ա ս ա»<sup>29</sup> լա և եզ.

S — 3428 Ելնաֆերի Շեմոնակալու յարուլու տարգմանու ցրու-  
յութու նայլո, հոմելու ցանսայլու տարգմանու թոշահեցելու ամուսնունքնեա  
Ա — 864 Ելսեանո, արուս սայստարո սակելու, լումտացրեսագ կո ցոց-  
հագուլու, գոներտոյլու սակելու լու թահուգրենա:

Քէքաւոս	— մայերս
Աղուանից	— աշուանու
յԱռան	— նարանցլու
յԱպատական	— լուսամագանցլու

26 Տ Ե ց ա ն ո ս ո հ ծ յ լ ո ւ ն ո, ց ե ն ո ւ ր ե ն ա մ ո ւ ն ո, 27.

27 ոյցո, 83. 32.

28 ոյցո, 83. 24.

29 ոյցո.



**ქადაგებრით — ვაღაშაკინტი  
სტელანასტერით — ტეგრანიკერტი და სხვგმიშურიშვილი**

სტეფანოს სივნიელის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ქართული თარგმანების გარდა, არსებობს კადევ მის საფუძველზე აგებული ორბელიანთა კომპილაციური ისტორია, რომლის ავტორია ასლან ათაბეგოვი. მისი ხელნაწერი ინახება აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში. ნაშრომის სათაურია: „ისტორია ორბელიანთა შთამოსირებისა ჰაოსიანთა მეისტორიკეთაგან მიერ ქმნილი, ზოლო შრომითა და თარგმანებითა ჰაოსიანთა ენისაგან ქართულსა ზე-და იქმნა ასლან არუთინას ძის ათაბეგოვის სიუნელისაგან მიერ სანკტპეტერბურლასა შინა წელსა 1826“. ამას მოსდევს მეორე სა-თაური სომხურ ენაზე, საიდანაც ირკვევა, რომ იგი ავტორს უეუქ-მნია იმერეთის დედოფლის ანას დაკვეთით<sup>30</sup>.

### ტექსტისათვის

S — 3428 და A — 864 ხელნაწერებში დაცული „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ თითო ნუსხითაა ჩვენამდე მოღწეული. S — 3428 ხელნაწერის ტექსტი პირველად ჭვეყნდება, A — 864-ისა კი — ხელმეორედ, არა ლ. მელიქქეთა-ბეგისეული გამოცემიდან, არამედ უშუალოდ ხელნაწერიდან. წინამდებარე გამოცემაში, განსხვავებით 1952 წ. გამოცემისაგან, გასწორებული და დაზუსტებულია A — 864-ის ტექსტის მთელი რიგი ადგილი.

წინამდებარე გამოცემაში შეძლებისდაგვარად გასწორდა ორივე ტექსტის ორთოგრაფია: დაზუსტდა ა, ც-სა და ჟ-ის ხმარება (მაგალითად, უც შეიცვალა უე-თი; ქუცყანა — ქუეყანა. ჩუჭნი — ჩუენი და სხვ.), ასევე ძირითადად გასწორდა და დაზუსტდა შინაარსობრივი შეცდომები, ენის სინტაქსური ნორმების ზოგი დარღვევა, არმენიშმები და საკუთარ სახელთა დამახინჯებული ფორმები, ხოლო S — 3428-ისა და A — 864-ის ჩვენებები სქოლიოშია ჩატანილი.

ორივე ტექსტში გასსილია ქარაგმები (ხოლო, სრულიად, შემდგომად, ვიდრე, რამეთუ, უამსა, რომელი, შინა, თანა, ღმერთმან, რათა, ფრიად, ვითარცა, პირველად, ზედა, კუალად, წინაშე, არმედ,

<sup>30</sup> იბ. ლ. მელიქქეთა-ბეგი, „ორბელია ისტორიის“ ქართული ვერსია..., 33. 50-52.

ქრისტეანეთა, გიორგი, ყოვლითავე, ვითარმე, მას, ყოვლად, ცურობე-  
ულმან, ქრისტე, უკუნისამდე, წმიდისა, რომელმან, ყოვლისა, იეჰო-  
სალემი და სხვ.).

წინამდებარე გამოცემის A — 864-ის ტექსტში, 1952 წლის გამო-  
ცემის მსგავსად, ხაზგამშულია ქართულ თარგმანში ჩართული ის სი-  
ტკვები და წინადადებები, რომლებიც სომხურ დედანში არ არის.

S — 3428 ნუსხას აღვნიშნავთ A ლიტერით, ხოლო A — 864-ს —  
B-თი.

## ტექსტი

A

ცხოვრება დიდისა მის-  
თვის პირველმთავრო-  
ბისა ორბელიანთასა, თუ  
ვინა იყვნეს იგინი და  
ვითარ, ანუ მოსლვისა-  
თვის მათისა ქვეყანა-  
სა ამას და მრავალთა  
სიტყვათა და საჭმეთა  
და ფრიად მოთხრობა-  
თა მათვის

B

დიდისა პირველმთავ-  
რობისა ორბელიანთ  
ნათესავისა, მოსლვისა  
მათისა ქუეყანასა ამას,  
სიტყვათა და საჭმეთა  
მათთათვს თქმობანი  
მრავალნი

1. დასაწყისა მას პირველმთავ-  
რობისა ქვეყანისა სომხითისა და  
ქართლისა და ნათესავმთავრო-  
ბასა ჩვენისა ამის ტომისასა პირ-  
ველად თარგამოსისასა იყვნეს  
მისსა ძენი რვანი, მსგავსნი გმირ-  
თანი, რომელთაგან იყო უხუცე-  
სი ჰაოს, მეორე ქართლის, მესამე  
ბარდოს, მეოთხე მოვაკან, მეხუ-  
თე ლექოს, მეექვე ჰეროს, მეშ-  
ვიდე კავკასი, მერვე ეგროს!

და განუყო თარგამოს სამკ-  
ვიდრებელი თვისი ძეთა თვისთა  
და მისცა ქვეყანა სომხითისა სა-  
ზღვრით თვისით სრულიად ჰაო-

1. დასაწყისა პირველმთავრო-  
ბისა ქუეყანისა ქართლისა და  
სომხითისა და უამსა დიდგვაროვ-  
ნობისა მათისა ნათესავისასა პირ-  
ველსა მას თარგამოსს ჰყუანდეს  
ძენი რვანი:

პირველსა ეწოდებოდა ჰაოსი,  
მეორეს ქართლის, მესამესა —  
ბარდოსი, მეოთხეს — მოვაკან,  
მეხუთეს — ლიპარიტი, ანუ  
ლექოს, მეექვეს — ჰეროს, მეშვ-  
დეს — კავკასოს და მერვეს —  
ეგროს.

ხოლო მაშინ განუყო თარ-  
გამოს სამკვდრებელი ძეთა თვის-

A: 1 ერგუს.

B: 1 ბარდოს] არდაონ.

სსა, ხოლო ჩრდილოთ კერძო მისცა ქართლოსსა და სხვათა ძმათა, და წარვიდა ქართლოს მთასა მას, რომელსა აწოდების არვაზი, და ააშენა მუნ სახლი თვისად და ოლქმა სიმაგრე ერთი განუტეხელი აღგილსა შესატყვისსა და უწოდა ციხესა მას ოჩბეთი, რომელსა აწ სამშვალდედ უწოდენ, და ეწოდა ქვეყანასა მას ხენანიოგან ვიდრე სპერისა ზღვაზღმდე სახელად ქართლი.

2. ხოლო შემდგომად მრავალთა ეამთა მონაცემალეობასა მამათა თვისთა ძეთაგან მოვიდა და მოწევნულ იქმნა პირველმთავრობა ქართლისა ვიდრე უამაღმდე მეფისბასა სპარსოსა დიდისა ხორცისა, რომელსა ეწოდა ქეპუს!

ხოლო იყო წესად ქართველთა წოდებად უფროსთა თვისთა მამასახლისად, რამეთუ ვინათგან არა აქვნდათ მეფე და მჭდომიარე იყო მამასახლისი ივი ქართლს, დიდსა მას ქალაქება მცხოვას, რომელ ალეშენა მცხოვოსს, უხუცესსა ძესა ქართლოსისა, რამეთუ შეიწრებულ იყვნენ მას უამსა თვითმკურნელისა მეფისა მისან სპარსოსა და სწადოდათ სიკვდილი სიცოცხლისა წილ. და



თა, მისცა სომხეთი ყოვლიცა სახლურითა თვისთა ჰერიტეიტური ჩრდილოეთის ქუეყანა მეტერაზე ჩამოავარებულსა და მმათა მისთა, ხოლო ქართლოს წარვიდა მთასა არმაზ წოდებულსა და მუნ ალიშენა სახლი და ციხე ერთი აუღებელი მართებულსა ალაგსა და ციხესა მას ეწოდა ოჩბეთი, რომელსა აწ ეწოდების სამშვილდე ციხე.

2. შემდგომად მრავალთა უამთა გარდაცუალებათა მამა-ძეთა მისთა მოვიდა პირველმთავრობა მათი ვიდრე უამსა კელმწიფობისა სპარსეთისა დიდისა ხოსროვისასი, რომელსა ქეიქაუს ეწოდა. ხოლო სჯულ ედვათ ქართველთა, რათმცა მთავართა თვისთა სახელ-ედვათ მამასახლისი, ვინაოთგან არა ჰყუანდათ მეფე და იცუოფებოდა მამასახლისი ქართლისა დიდსა ქალაქება ამას მცხეთასა, რომელ სახელი ესე ქართლოსისა უხუცესის ძის მცხოვო სისაგან ეწოდა.

ქართველნი მას უამსა შეწუხებულ იყუნენ სპარსთა სახულელმძღვანოთაგან და ენებათ, სიცოლე სიკუდილად შეეცუალათ.

ხოლო ამეამად მთავრიად ქარ-

A: 1 ქექეოს.

B: 1 „სახლურითა“ ჩამატებულია კილეშე. 2. ქექაოზ.



A

იყო აღდგომილ მას უძმისა მთა-  
ვარი ქვეყანასა ქართლისასა არ-  
დამოს! სპარსი ბრძანებითა აფ-  
რიდონისათა, რომელი უფლებ-  
და სპარსთა, ქართველთა და ავ-  
ლინთა ზედა. ესე იგი არდამოს  
არს, რომელმან განაახლა მცხე-  
თა და მოზღვულა იგი ქვითა-კი-  
რითა და ყო ზღვუდე იგი არმა-  
ზის მთით ვიდრე მდინარედ  
მტკვრად. ხოლო შემდგომად  
ალსრულებისა მისისა კაცნი ბო-  
როტი მძლავრებდენ ქართველთა  
და შეძრწუნება და განრყვნა მრა-  
ვალი უფლებდა მათ და იყო რო-  
მელი ესე ქეიქაუს ხოსროსა ზე.  
ხოლო იყო შემდგომად ქეიქაუს  
ხოსროვისა წყლულება და ჭირი  
დიდი და იყვნენ სასოწარკვეთილ  
ყოვლით კერძო.

3. და აპა იყო მას უძმისა ში-  
ნა დაცემა მშობებისა და შფოთი-  
სა დიდისა და შეძრწუნებისა შო-  
რის ქვეყანასა მას ჯენისტანისასა, რომელ არს ალმოსავალით კერძო,  
რომელ არს იმიერ ქვეყანისა ხა-  
ლინდარეთსა, მემზღვრე ხაზარ-  
თა და პონთა, რომელ წარზიდულ  
არს სიგრძით ვიდრე ემაონისა<sup>2</sup>  
მთად.

ხოლო სიკვდილსა მეფისა, ჯე-  
ნბაკურ წოდებულისასა, ნათესავ-  
თა მეფისათა იწყეს ბრძოლად

B

თვეელთა დადგინდული წყვირი წერტილ  
დამოს! სპარსი ბრძანებული წერტილ  
რიცონისათა<sup>2</sup>, რომელი უფლებ-  
და სპარსთა, ქართველთა და ავ-  
ლინთა. ესე არდამოს იგი იყო,  
რომელმან კუალად აღაშენა  
მცხეთა და შეზღუდა ქვთყირითა  
არმაზის მთიდამ კურ წყლამდის,  
რომელი არის მტკუა-  
რი. ოდეს მიიცუალა ესე არდა-  
მოს, კაცნი ბოროტნი უფ-  
ლებდენ და შფოთი და განვრწ-  
ნილებანი წარსტყუენვიდა ყო-  
ველთა. ესე ყოველი იყო რომე-  
ლიმე ქეიქაუს ხოსროვისაგნ და  
რომელიმე მეორისა ხოსრო-  
ვისაგნ და იყუნენ ესრეთ სასო-  
წარკუეთილნი.

3. აპა ამჟამად ალსდგა შფოთი  
ალრეულობისა დიდისა სამეფოსა  
შინა კინელთასა, რომელი არს  
ალმოსავლეთსა უშორეს კალანე-  
ლთა და მესამზღვურენი ხაზართა  
და პუნთა, ესე იგი გუგა-  
რთა, რომელი მიიწევის სიგრ-  
ძითა ვიდრე ემაონ მთისადმდე.  
რამეთუ ოდეს მიიცუალა მეფე.  
ჯიმბაკურ წოდებული, მეფის ძეთ  
იწყეს ბრძოლა ურთიერთისად  
და განძლიერდა ერთი კერძო,  
ხოლო ლტოლვილ იქმნა მეორე,

A: 1 აღარმოს. 2 იემოვანისა.

B: 1 აღრამოს. 2 აბრიტონისათვ.

ურთიერთარს, და განძლიერდა ერთი კერძო იგი და მეოტ იქმნა მეორე კერძო იგი, რომელი იყო კაცი განმარჯვებული და შვენიერებისა შესატყევსი, ძლიერ გვამითა და ჭაბუკი ჰასაკითა, რომელი აღდგა სახლეულითურთ თვისით და გუნდითა სამეფოთა და საუნჯითა და ჰუნეთა ჰაერთა შინა მროველთა და მახვილ მფრინვალეთათა. და წარმოვლიდა მრავალსა ქვეყანასა ეგოდენითა საშინელითა სახითა, რომელ ვიდრე არა რომელი მყადრე იყო წინააღმდეგომად მათდა.

და განვლეს კარი დარიელისა თვალ-ახმით და მოვიდეს ქვეყანასა ქართლისასა ,მამასახლისთა თანა მცხეთისათა. და იხილეს იგრი შეიწრებულად და დიდსა დაჭირვებულობასა შინა და დაღონებულობასა სპარსთაგან.

4. და იწყეს ზრახვად მამასახლისთა მათ თანა და უფროსთა კაცთა და პრქეეს: „ჩვენ ვართ ჯენელთა მეუფეთაგანი, განყოფილი ძმათაგან ჩვენთა და მოწვენულ აქა და სათნო გვიჩნის მაგარი ეს ქვეყანა და ქალაქი თქვენი და ღმერთი თქვენი, რამეთუ ჭრთა თქვენთათვის მოგვავლინა შემწედ თქვენდა. და აშ არს ნება ჩვენი, რათა ანუ დაცხრომილ კყოთ მეფობა სპარსთა და ანუ წარვიდეთ თვითმპრობელისა ბერძნეთასა.



რომელი იყო კაცი მარჯვე, მარ- სებულის სახის მქონეჭრული ცული ძლიერი და ტანკვანი სიცამატური მომარტინი სა ჰასაკითა, რომელი სახლეუ- ლითა თვისითა და გუნდითა სამე- ფოთა და უნჯითა, ჰაერში შრო- კელითა ცხენითა მცნედ მფრი- ნებმან გამოვლო მრავალსა ქო- უანსა ეგოდენითა უსაშინელე- სითა სახითა, ვიდრე არავის ძალ- ედვა წინააღმდეგომა მისი, და გა- მოვლო დარიელა. თითქმის უზ- ესთავსისა განვებითა მოვიდნენ ქვეყანასა ქართლისასა მცხეთის მამასახლისთან და იხილნეს იგი- ნი შეიწრებულნი და დიდსა ურვასა შინა მყოფნი და შელო- ნებულნი სპარსთაგან.

4. მაშინ გამოელაპარაკენ მამა- სახლისა და უფროსთ კაცთა და პრქეეს: „ჩვენ ვინელთ მეფი- საგანი ვართ და მოვსხლტით ძმათა ჩუენთა. მოვედით აქა და მოვენდევით მაგარსა ქვეყანასა თქუენსა, ღმერთთა თქვენთა, ურ- ევისა თქუენისათვის მოგვიყვანეს ჩვენ აქა შემწედ თქუენდა. აშ ნება ჩვენი ეს არის: ანუ დავდ- გეთ სამეფოსა შინა სპარსთასა- სა, ანუ წარვიდეთ თვითმპრო- ბელთან საბერძნეთისადმი, გარნა უკეთუ ინებებთ, განგვმზადეთ

ხოლო უკეთუ სათნო გიჩნით, განვეიმზადეთ ადგილი განსას-ევნებელი, დაგვამკვიდრეთ აქა, რამთა გიქსნათ მაჭირვებელთაგან თქვენთა, და უკეთუ არა, წარ-ვალთ გზათა ჩვენთა, სადაცა ღმერთმან ჩვენმან განვისვერნს“.



ალაგი განსვენებისა და დაფარე-ბით აქა და გისსისარტყმულებები შუბებელთა თქვენასგვენ, წერტყმება მე წარვალთ გზასა ჩვენსა, სადა-ცა ღმერთი ინებებს“.

5. ხოლო ვითარცა იხილეს მა-მასახლისის-მთავართა სოფლისა-თა ესევითარნი მხნენი და ახოვან-ნი და ძლიერნი, ისმინეს სათნო საყოფელნი ესე სიტყვანი მათნი, დიდად მხიარულ იქმნეს მოსრუ-ლთა მათ ზედა და ქმნეს სიხარუ-ლი დიდი და მაღლითა დიდები-თა და დიდითა პატივითა შეი-წყნარეს იგინი და სიხარულითა მოხადეს ფრიად-ფრიად. და გა-ნუტეხელი იგი სიმაგრე ორბეთი, რომელი აღშენებულ იყო კელი-თა ქართლომზისათა, მისცნეს მათ სახლად სამყოფად მათდა და ადგილად სიმიგრისად, და სხვანი მრავალი სოფელი და სოფელ-ქალაქნი დიდ-დიდნი და ციხენი მისცნეს სამკვიდრებელად მათდა. ხოლო იგინი სარწმუნო იქმნენ ადგილისა მის და დაიმკვიდრეს ორბეთი და სახელისა მისგან ცი-ხისა მისგან მრავლით უამითგან ეწოდნეს ორბელიანნი. ესე არიან ორბეთელნი, რამეთუ ჩვეულება არს ნათესავისა ამის სახელითა ადგილისათა სახელის-დებად მთა-ვართა ვითარცა მთეულთა — მთე-

5. ხოლო რა იხილეს უსუცესთ-მამასახლისთა საქართველოსა ში-ნა კაცნი ესრეთნი მჯნენი და ძლიერნი, და ესმათ სათონებით სიტყუანი მათნი, დიდათ განიხა-რეს და ჰყვეს სერი დიდი და მაღ-ლისა დიდებითა და დუღასა პა-ტივითა მიიღეს იგინი და ფრად-ფრიად შეიყუარეს, ხოლო აულე-შელი სიმაგრე ორბეთი, რომელი ალეშენებინა ქართლოსს, მისცეს სახლად სამკუდრებელად სიმავ-რისაოვს, და მრავალნი სოფელი და დაბანი დიდ-დიდნი და ციხე-ნი მისცეს სამკუდრებელად მათ-და. მაშინ ერწმუნენ მას ალაგს და დაემკვდრნენ ორბეთში და ციხის სახელის გამო შემდგომად ხანთა მრავალთა ორბელიანი ეწ-ოდათ, ესე იგი ორბეთელნი. რა-მეთუ ჩვეულება არს, გუართა და გუარის მთავართა ადგილის სა-ხელს უკმობენ, ვითარცა შთი-ულნი და ჰერეთის გამო კავახ-ნი, ჯავახეთის გამო კავახ-ნი, ანუ ჯავახიანნი, კახეთის გა-მო კახნი, გინა კახელნი და სხვანი მრავალნი ვიდრე დღევან-

A

ულნი და მრაველთა — მრაველნი და ჰერეთელთა — ჰეროსთონი და გავახთა — გავახნი და კახთა — კახნი და ლიხელთა — ლიხელნი და სხვანიმრავალნი, რომელნი არიან დღენდელად დღედმდგრადობისა ამის მიზეზისათვის ეწოდნეს ორბელიანნი ნათესავსა ამას, რომელთა პირველად ჭენელად უწიდდენ. ეს თვით ჭენელნი აწ ვადა აქამომდე ესრეთ იყენენ და შემდგომად თავისათვისისად შემოიკრიბეს ყოველი სახლი ქართველთა, და შეკრიბეს სპანი და ალგეს ყოველთა მაჭირვებელთა თვისთა ზედა და მოსტყვიდნეს და განსლენენს და შემძლებელ იქმნეს წინააღმდეგომად სპარსთა. და იყო მშეიდობა ქვეყანასა ამას და ამისთვისცა განაწესნეს იგინი სპასპეტად და თავად ძლიერთა ყოველთავე სახლთა ზედა ქართლისათა.

6. ხოლო მეფობასა ქართლისასა პირველად ფარნაოზ მეფისასა უმეტესად პატივუფერულ იქმნენ რობელიანნი მისგან და არავინ იყო მსგავს მათდა ქვეყანასა მას და არცა სწორ მათდა გარეშე მეფისა. და აქა ესერა ვსტანთ მცირედ რამე ცხოვრებისაგან ქართველთასა. ხოლო გორგი მეფემან შურითა აღმოხოცნა იგინი ნათესავითურთ ქვეყანისაგან ქართლისა, რამეთუ აღმოხოცნა

B



დღადმდე. ამ მიზეზით კვანა მას ორბელიანი ეწოდა უძრავდებული სა პირველ ჭენიულნი ეწოდა, ეს იგი ჭინელნი. ხოლო აწ ოდებ ესრეთ მოკლა, მაშინ შეკრბენ ქართველნი და შეკრიბეს ჭარი და აღსდგნენ ყოველთა მაწუხებელთა თვსთა ზედა და მოსრნეს იგინი და განსლევნენს და წინა აღუდგებოდნენ სპარსთა. და ამით მოკლა მშედობა ქუეყანასა მას ქართლისასა, რომლისათვის განაწესეს იგინი სპასპეტად და ძალმთავრად ყოვლისა საქართველოსად.

6. ხოლო ოდეს გამეფდა ქართლში პირველი მეფე ფარნავაზ, აღმატებით პატივი მიიღეს მის შეირ რობელიანთ და არავინ იყო მსგავსი მათი ქართლში თვალი მეფისა. ხოლო ეს ამბავი მცრავედ ვსტანით ქართველთ მოხსრობათაგან. გარნა შურითა გორგი მეფისათა, რომელმან გუარით აღხოცა იგინი საქართველოდამ. ახოცეს სახელნი მათნი მოთხრობათა თვსთაგან, რომლი-

სახელნი მათნი ცხოვრებათაგან  
თვისთა და ყოველთაგან წიგნთა  
და ეკლესიათაგან, რომლისათვი-  
სცა ჩვენ გამოვიყვლივეთ და ზედ-  
მიწვნულობით ვსცან მცირე  
მრავლისაგან მეცნიერთ კაფა მი-  
ერ, და გულისხმა-ყუვათ იედგარ-  
თაგანცა ადგილ-ადგილ და შემდ-  
გომად მერმე რომელი წინანდე-  
ლთა მათთაგან მოთხრობილ იყო,  
რომელი-იგი ამცნეს მამათა შეი-  
ლთა ვიდრე ჩვენადმდე, ხოლო  
უარეყოთ იედგარი პირველ წარ-  
მოთხრობათა მათთა და ყოველი  
საქმე და სიმხნე გამოჩინებული  
ქართლსა შინა შორის ნათესავი-  
სა ორბელიანთასა, უამისა მათისა  
აღწერილი, რომელსა „ქართლის  
ცხოვრებად“ უწოდენ. ამისთვის  
ჩვენ არა უწყოდით ვითარებანი,  
საქმენი და განწესებანი მათნი,  
რამეთუ გზა გვეყო მატიანისა  
მათისა. ხოლო რომელიცა-იგი  
ვპოვეთ წიგნი ენისა სომხურისა,  
დავდევით მოსახსენებელად მათ-  
და და კუალაღცა სრულიად და-  
სასრულთა შვენიერისა ცხოვრე-  
ბისა მათისა, რომელ-იგი გვამც-  
ნო ჩვენ მხითარ ანელმან!

7. ხოლო აშ რიცხვსა სომხურ-  
სა ოთხას ოთხმეოცდა ათვრამეტ-  
სა<sup>2</sup>, მეფობასა ქართლს დავითი-  
სასა და სომხეთა ზედა გაგიყი-  
სასა და შავშავინისასა, ხოლო  
კეისარმცყრობელისა ბერძენთა  
ზედა მონომახისასა<sup>3</sup> იხილვნეს



სათვს ჩვენცა გამოძირულს და გამ-  
ზედ-მიწვნით ვსცან მცირებული  
დო მრავლისაგან მცოდინარეთა  
კაცთაგან და დანაშობმთა მოთხ-  
რობათაგან, გინა უწყებათაგან  
წინაპართა მათთა, რომელი აუწ-  
ყეს მამათა ძეთა თჯსთა ვიდრე  
ჩვენადმდე, ხოლო ვინათვან  
ახოცილ იყო სახსენებელი წინა-  
პართა მათთა ჰამბავთანი, მეც-  
რებანი და მოქმედებანი ჩინე-  
ბულნი ორბელიანთანი მათ უამ-  
თა მწერალთაგან, რომელსა-  
„ქართლის ცხოვრებას“ უხმობენ,  
ამისთვის ჩვენ ვერავსცანით ვითა-  
რება და რიგი სიტყვსა, რათამცა  
რავისებრ დაგვეწერა წერილსა  
ამის შინა. გარნა რამცა ვპოვეთ  
სომხურსა წერილსა შინა, მცი-  
რედ მოვიხსენეთ დაბოლოვებაც  
უასასრულისა მათისა, რომელი-  
მტკიცედ გვაუწყა ჩვენ შვენიერ-  
მან მოთხრობამან მხითარ ანელი-  
სამან.

7. აშ მეფობისა უამისა ქართ-  
ველ დავითისასა და სომეხთა  
გაგიკ შავშავისასა და კეისარ-  
ბასა ბერძენთა მონომახისასა იხი-  
ლვნეს შეიწროებულნი გუარნი  
ქრისტიანეთანი აგარისაგან შო-  
ბილთ ისმაელთ. მაშინ აუწყეს.

A: 1 მიხითარ ანელმან. 2 კ. ი. 1049 (498+551) წ. 3. მონომახისასა.

**A**

დაკლებულად ნათესავნი ქრისტიანეთა ჰაგარიანთა და ისმაილელთაგან, რამეთუ ხმა უყვეს ურთიერთარს ხვარასნელთა და ხვარაზმელთა, სპარსთა, ქირმანელთა, ბუხარელთა და მაზანდარანელთა, არაყელთა და ბაღდადელთა, ბასრელთა, არანელთა და ადარბადაგანელთა და შეკრბეს ურიცხვი სიმრავლე სპარსთა და ხაზართა, ხორაზმელთა და არაბიელთა და კუალად სკვითთა და თურქისტანელთა და აღმოვიდეს და დაიბანაკეს ველსა კარნისისასა ურიცხვითა, უჭამრავეთა ბანაკებითა და იზრახეს ზრახვა, რომელ-იგიცა ვერ დაამტკიცეს ესრეთ, რომელ იყვნენ ახუმად<sup>1</sup> და ახოცად წესს და სახელსა ქრისტიანეთასა — სომეხთა, ქართველთა და ქვეყანისა ბერძენ-თასა.

8. და აპა ანბავი, მწარედ სასმენელი, და ხმა, წარსაშმენდელი ქვეყანისა, მისრულ იყო პირველად კეისრისა ბერძენთასა და შეედგათ ძრწოლა შესაძრწუნებელი და შეიპყრნა თირკმელნი ყოველთა კაცთანი. ამისთვისცა წარავლინეს კომნინოს ტრაპიზონელთა ძლიერთათა და ითხოვეს ერთობა და შეწევნა და ძლიერება სომეხთა და ქართველთაგან,

A: 1 ახმად.

B: 1 ხორასმაზანსა, 2 ბულლარსა, 3 „ხაზართანი“ კიჯეზეა ჩამატებული.  
4 ხორამშელთანი. 5 გარნისასა.

**B**

ურთიერთას ხორასანსა, უზორაზმისა, სპარსეთს, ქირმანსა, ბუხარასა<sup>2</sup>, მაზანდარანსა ურდიცებულები ბაღდადსა, ერანსა და აღმანისეუჯანსა და შეკრბენ ურიცხვი სიმრავლენი სპარსთანი, ხაზართანი<sup>3</sup>, ხორაზმელნი<sup>4</sup>, სკვითელნი, თურქისტანელნი. ესე ყოველნი მოვიდნენ, დაებანაენენ მინდორსა მას კარნისასა ურიცხვსა და უთვალავისა ბანაკითა და განიზრახეს ზრახვისა, რომელი ვერა მაღიდვეს დამტკიცებათ, რამეთუ ენებათ ალება და ახოცა სჯულთა და სახელთა ქრისტიანეთა, ესე იგი ბერძენთა, სომეხთა და ქართველთა.

8. აპა ამბავი, მწარედ სასმენელი და ქვეყანისა ამავრებელი, განითქვა და მიაშია პირველ საბერძნეთისა კეისრისადმი და ძრწოლამან სათრთოლებელმან შეიპყრა თირკმელნი ყოვლისა კაცისანი. ამისთვის წარგზავნა კეთისა არმან კომნინოსი ტრაპიზონისა სამკედლროთი და სთხოვა ერთბამად შემწეობა ქართველთა და სომეხთა განსარინებელად

ნუუკუე! შემძლებელ იქმნენ გან-  
რომად უფსკრულთა ამის მოქმე-  
დათა საშინელად მფოფინარისა  
ამის რისხვისა ბლვარით კერძოსა-  
თა. ხოლო ვითარცა ისმინეს ესე  
მეფეთაგან გაგიკ და დავით, არა  
იყადრეს წინააღმდეგომად ისმაიტ-  
ელთა გუნდისა.

9. ხოლო დიდითა ვეღრებითა  
შეაჭირვებდეს მხნესა და მიუღ-  
რებელსა ლიპარიტ ორბელიანსა  
წარსლვად და შერთვად ბერძენ-  
თა, ნუუკუე შეუძლონ ბრძოლად  
მოსრულთა მათ. ხოლო იგი და-  
ვეღრებულ ყვეს და თვით იგინი  
მიეფარნენ და შეევლტოდენ მა-  
გართა აღგილთა. და თაეს-იდვა  
ლიპარიტ უშიშისა გულითა და  
თქვა: „წარვალ მე წინაშე უცხო  
თესლთასა და დაესდებ სულსა  
ჩემსა ქრისტიანობისა სჯულთათ-  
ვის, და ძლიერებითა ლვთისათა,  
ანუ წარვაქციო მუნით იგინი,  
ანუ მოვკედე ქრისტესოვის, არა-  
მედ, ჰო მეფეო, უკანა დაშ-  
თომილთა ჩემთა შენ შეგვედრებ,  
რამთა არა მზაკეარ იქმნე მათ ზე-  
და მოშურნეთა და ბოროტთა ქა-  
რთველთა აზნაურთაგან და არა-  
კვებულ ყო პატივისა და მამული-  
საგან ჩვენისა“. ესე თქვა თვით  
მან ლიპარიტ და აღრიცხა აზნა-  
ურნი და მონანი თვისნი და ახო-  
ვანნი. რამეთუ აქვნდა ნახევარი  
მეფობისა და განვლეს ორიცხ-




თვისად ჭურლმულსა შინა შეამო-  
ქმელისა და საშინელაზე შემდებრების  
რისა მრისხანებისა წილის მიმდევად.  
მსმენელმან ამისმან მეფემან და-  
ვით და გაგიკ ვერა იყადნიერეს  
წინააღმდეგომა ძალთა ისმაილი-  
ანთა.

9. მაშინ დიდით ვეღრებინ  
მჯნესა მას უძლეველსა ლიპარიტ  
ორბელიანსა და ჰრქვეს: „წარ-  
ვედ შენ და შევედ სამვეღროსა  
საბერძნეოისასა და წინააღმდეგ  
მომდევარისა მტერსა“. ხოლო თა-  
ვადთა სწადდათ შესულა ქუაბთა,  
კლდეთა და სიმაგრეთა შინა. მას  
უმსა შინა თაეს-იდვა ლიპარიტ  
უშიშარისა გულით და ჰრქვა:  
„წარვალ მე და აღმდები წინა-  
შე უცხოთა ნათესავთა და სულ-  
სა ჩემსა დაესდებ სარწმუნოებისა  
ქრისტესოვს, და ძალითა ღმრთი-  
სათა ანუ უკუნ-ვაქცევ მუნევ და  
ანუ მოვკედები სახელისა ქრის-  
ტესოვს, გარნა, ჰო მეფეო, შე-  
გვედრებ შენ შემდგომთა ჩემთა,  
რათამცა შერის მეძიებელთა და  
ბოროტმოქმედთა ჩინებულთა  
ქართველთ ბირებითა არა უმზაკ-  
ებრო, არა დასცე პატივისაგან და  
არა მიმძლავრო მამული მათი“. ხოლო  
ოდეს ესე ჰრქვა ლიპარიტ,  
განცხადება ჰყო ჩინებულთა და  
ძალთა თვისთა, რამეთუ აქუნდა  
ძალი მეფობისა ნახევარ და ამას

**A**

ვათა შორის შეიდისთა დიდ-დიდ-თა აზნაურთა, რომელნი იყვნეს მეცნიერნი მისნი და ათექვსმეტ ათასი კაცი მებრძოლი, ხოლო სპანი მეფისანი კაცნი ათი ათას-ნი აღიღო და წარვიდა ვანანდს, ველსა კარნისასა. და შემოერთნეს სპანი ბერძენთანი კაცნი ათხუთ-მეტი ათასი და იქმნეს ერთობით ორმეოცდა ერთი ათასი ამხედ-რებული. ხოლო უცხო თესლთა მათ მოესპოო სოფელი ვორდრუ პირველად...!

**B**


განცხადებაში განვლეს აზნაურ-თა და დიდებულთა შეკლასთა, როგორც მელნი იყუნეს სამარადეს უშესებულებები ნანი მისნი და ათექვსმეტმან ათა-სმან კაცმან მეომარმან, ხოლო სამეფოსა ძალთაგან ათმა ათას-მან და წარვიდა ვანანდსა, მინ-დორსა მას კარნისასა. აღერივ-ნებსცა მათ შორის ძალნიცა ჰო-რომთანი, კაცნი თუთხმეტი ათას-ნი, რომელნი ერთბაშად შეიქ-ნენ ორმოცდართი ათასნი. შა-შინ დაუპირდაპირდენ ურთიერ-თას, უამსა ამას განთიადისასა და განაწყვეს სამ გუნდათ: წინად, უკან და საშუალ. სიმრავლისა გამო ძალთა ისმაელიანთა ძალ-ნი ლიპარიტისანი არარად სჩნდენ, არამედ ვითარცა მეწყ-ლენი, მათ თანა ეგრეთ აღირა-ცხებოდენ. ოდეს იხილა იგი მკჩე-მან და უძლეველმან ლიპარიტ, განაძლიერა გუნდი თვისი და ეტ-ყოდა: „ნუ გეშინისთ, არამედ გა-ნდლიერდით სახელითა ქრისტე-სითა და აღიბეჭდენით ნიშითა წმიდისა ჯვარისათა, რომელ ჩვე-ნი არს მძლეველობა“, ხოლო თა-ვადი გარდაჯდა ცხენისაგან და იღრიკნა მუკლნი და აღბეჭდევდა თავსა თვისსა ნიშითა წმიდისა ჯვა-რისათა და მიენდობოდა ქრის-ტეს და შეიბა ყელსა თვისსა ნაწი-ლი მაცხოვრისა ძელისა და ეგ-რეთ შეჭურვილი ამკედრდა ცხენ-

A: 1 ხელნაწერს აქ აკლია ერთი ფურცელი.

3. ე. ცაგარევშეილი

სა, და გარდაიგდო კუჭურულუშებულები  
 კედილი ფარი ბეპხეშეშეუძლიათ მარ  
 პირი ბასრი კრმალი მარჯუნენდა  
 კელსა იპყრა და აქუნდა ნაჯახი  
 ამიერ და იმიერ და მას  
 საზარელთა რაზმთა შორის გან-  
 ვლიდა ამ კერძოთ და იმ კერძოთ.  
 და ოქროთ მოკედილისა ფარისა  
 მისგან და მუზარადისა მიერ სხი-  
 ვნე სცოდნენ, ვითარცა მზისა მი-  
 ცრ, იზახდა და ბრდლვინვიდა.  
 ვითარცა ლომი მრისხანე და გა-  
 მოითხოვდა შათ მიერ მეომარს  
 და იტყოდა: „მე ვარ ლიპარიტ  
 აფხაზთა. გამოვეყით, ჰე, მკნენო  
 სპარსთან და ქურთთანო, პარ-  
 ველ ვებრძოლნეთ ურთიერთას!“  
 თუმცა მრავალგზის გამოითხოვ-  
 და, გარნა ვერა რომელმან იყალ-  
 და წინა ალდგომა მისი და რომე-  
 ლსა ალაგსა გახლტებოდის, მჯნე  
 იგი ლიპარიტ ეჩევენ გა-  
 დის და დაეცემოდის მათ ზე-  
 და, ვითარცა ორბი, ხოლო  
 იგინი უკან იქცეოდიან ერთი მე-  
 ორისა ფერქთაგან დათრგუნვითა.  
 მაშინ ივრძნო მკნემან ლიპარიტ,  
 რამეთუ შეიმუსრნენ გულნი მა-  
 თნი და სუსტ იქმნა ძლიერება  
 მათი. მოიქცა რაზმადევ თვალაკ,  
 განამჯნობდა ჭარსა თვესსა და აწ-  
 ვევდდა ბრძოლად. ხოლო მაშინ  
 იწყეს ზანილი საშინელისა ღა-  
 ლადებითა და ვაიმართა ბრძოლა  
 უსაშინელესითა გრგვინვითა. ეს-  
 რეთ ალირიცხებოდა, ვითა ქუ-

**A**

ხოლო მარჯვენით მისსა და მარცხენით დიოდა მდინარე სისხლისა და დაზენინებდა მძორსა და მოსწყვეტდა გუნდ გუნდთა უცხო-თესლთასა, და ვითარცა-იგი არვესა ყურდგელთასა, ეპრეთ განაბნევდა ველთა.

**B**


ხილი ვრავალთა ქართველული ვითარცა კექანი ელვათმისპლატფორმებისა და თავადი ლიპარიტი, ვითარცა ღრუბელი ცეცხლმქონებელი, შევიღოდის და განვიღოდის და მეხით თრგუნვილს ჰყოფდა მრავალთა. და მსგავსად ცეცხლისად მოსწუევდა მათ, ვითარცა ლერწამს, და განპეტექდა რაზმთა მათთა და განვლიდა მარჯვნივ და მარცხნივ და ადენდა ღვარსა სისხლთასა და დაყენებდა ხორად მძოვრთა მკუდართასა, და ვითარცა არვესა ყურდგელთა, ეგრეთ განაბნევდა მინდორსა ზედა.

10. და ესრეთ მოსწყვიდნა და სძლო ისმაირელთა და მეორე უობირედ დაშოთომილნი მხენემან ლიპარიტი ქლიერებითა იესო ქრისტეს ღმრთისა ჩვენისათა.

ხოლო შემდგომად შუადღისა მიიჩუნ დიდად მაშვრალნი დიდისა მაღლობითა და მრავლობა სიხარულითა.

ხოლო წყეულთა და მკულელთა უფალთასა ქართველთა, შეშინებულთა საშინელისა ძლიერებისაგან მისისა, ზრახვა ყვეს დიდებულთა და მთავართა ლიპარიტისათვის, და უცნაურად მოკვეთნეს ძარღვნი ცხენისა მისისანი და დასცეს ქვეყანასა ზედა ესე ლიპარიტ და გარე-მოადგეს მრავალნი და მოკლეს იგი ადგი-

B: I მპენემან.

10. ეგრეთ მოსრინა და სძლივა ისმაილიანთა და მცირენი დანაშოთმნი ლტოლვილ ჰყო ძალითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისათა მჯნემანი ლიპარიტ და შემოგომად საშუალსა დღისასა უკუნ-იქცა დიდ-მოლვაწე შრომათაგან თვესთა დიდისა მაღლობითა და მრავლის მხიარულებითა. ხოლო წყეულთა და მკულელთა უფალისა თვესთა ჩინებულთა ქართველთ, შეშინებულთ გასაცემელისა ძლიერებისა მისგან ზრახვა ჰყვეს დიდებულთა და ძალთმთავართა თანა ლიპარიტისათა და უცებ შესჭრეს მოსართავი ცხენისა მისსა და გარდამოაგდეს ცხე-



ლობნ, და მოაწივეს ბნელი და გლოვა ყოველთა ქვეყანათა ზე-და.

და ესე რა ესმათ ისმაირელთა, მოიქცენ დიდითა სიხარულითა მუნით და აღილეს მათ ზედა მა-ხვილი და მოსწყვიდნეს სპანი ქართველთანი, და რომელნიმე ივლტოდენ და განიბნივნენ ქვე-ყანად.

და ესე იყო სრულიად წარწყ-მენდა სომებთა და ქართველთა ქვეყანისა. რამეთუ ეუფლნენ თურქნი ყოველსა სოფელსა და დაიყრეს მცირედისა შემდგომად ანი რიცხვსა ხუთასასამეტსა! აღფარსლან სულტანმან, და და-იყრეს კუალად კარი და კუალად სოფელნი შირაკისანი<sup>2</sup> სრულიად და ვანანდი და არშარუნიქი და არარატიანი და ქვეყანა სისაკისა და ბაღქი და ყოველი ქვეყანად ვიდრე ტფილისისა. ხოლო აშ ეს-ევითარი კარი დიდისა წარწყმენ-დისა და დამხობისა სრულიად ქვეყანისა ქრისტეანეთასა მას დღესა განახენეს წყეულთა და მკვლელთა უფალთასა მთავართა მათ ქართველთა.

ხოლო არამედ მე არა შევრაცხ სიკვდილსა მას ლიპარიტისასა სიკვდილად, რამეთუ პოვა ცხოვ-რება დიდი და დადვა სული თვი-სი სამწყსოსათვის ქრისტესისა და დიდად რჩეულ იქმნა უბრალოდ

ნისა მისგან მ კ ნ ე უაშაურული პარიტ, შუა შეიპყრობელისა მის და მიაყენეს სიბრძლე და გოდება ქრისტიანეთა.

ოდეს ესმათ ესე ისმაილიან-თა, დიდისა სიხარულითა მოიქ-ცენ და ჯრმლითა მოსრინეს ძალ-ნი ქართველთანი. და რომელნიმე ლტოლვილ იქმნენ და განიბნივ-ნენ ქვეყანასა ზედა, ხოლო ესე იყო აღსასრული წარწყმედისა სასომხითოსა და საქართველომ-სა, რამეთუ იპყრა თათარმან ყო-ველნი სოფელნი და დაბანი<sup>3</sup>. აღილეს ყამს უკან ანის ქალაქი, რიცხვსა ფრი<sup>2</sup>. აღილეს ყარსიცა ყოვლისა სოფლებითა და და-ბებითა შირაქისათა, ვანანდი-სათა, არშარუნისათა<sup>3</sup>, არარა-ტისათა, სისიანთა და ყოველი ქვეყანა, ვიდრე კარადმდე ტფი-ლისისათა. ხოლო აშ ესრუთი კარი წარწყმედისა დიდისა და ყოვლად შემმუსრველი ქრისტეა-ნეთა მათ დღეთა შორის განუდეს წყეულთა და უფლის მკულელთ ძალთ.

გარნა მე მოკუდინებასა ლი-პარიტისასა არა აღვრაცხავ წარ-წყმედად თვალი. არამედ მპოვ-ნელად დიდისა ცხოვრებისა, რა-მეთუ დასდგა სული თვისი ცხო-ვართა ზედა ქრისტესთა, უდი-

A: 1 გ. ი. 1064 (551+513) წ. 2 შეირაკენისანი.

B: 1 აღფონმან. 2 გ. ი. 513, რაც = 1064 წ. 3 არშორონისათა.

სიკვდილისათვის თვისთაგან, მოწმებრისა სისხლითა გვირგვინონსან იქმნა და წარეკიდა ყოველთა მეუფისა ქრისტესა და მოილო მისგან მადლი და ნიჭი დიდითა მით შრომითა და ღვაწლითა თვისთა.

ხოლო ერთგულთა თვისთა მონათა აღილეს სიჭაბუკისა იგი შეუნიერი გვამიმისი, მიუღრეველი და ახოვანი დიდითა გლოვითა და წარილეს კარს და შეუმზადეს მას ცხედარი და შეამკვეს ოქროქსოვილითა სამისლითა და სამეუფოთა სიმდიდრითა, აღილეს და წარილეს დიდსა მას და რჩეულსა მონასტერსა თვისსა ბეთანიას, რომელი აღმენათ პირველთა მისთა საფლავად თვისად.

1.

11. ხოლო მოვიდა მეფე და ვით ყოვლით დიდებითურთ თვისთ და ყვეს ტყება<sup>1</sup> დიდი მას ზედა და დადგვეს იგი საფლავსა მამისა თანა თვისისა.

ხოლო პატივი და დიდება ტყებისა თრბელიანთასა სახლსა მეფისასა იყო ეს: რამეთუ იყვნიან სპასალარ ყოველთა ძლიერთა ზედა, მშრანებელ ყოველსა ქვეყანასა ქართლისასა. და ყოველთა საქმეთა მშერობელობანი სახლსა მეფისასა იყო კელთა მთთა, და აქვნდათ სამკეიდრო ათორ-



დესად განცხადდა და უთანადო მთა სიკუდილითა თვისთა შეუძლებელი ბულობითითა სისხლითა დაქორწინდა მეუფისა ქრისტეს მიმართ, რათამცა მის მიერ მიიღოს სახუდელი და ნიჭი დიდ-მოღვაწეთა შრომათა თვისთა. ხოლო მაშინ სარწმუნოთა მონათა მისთა აღილეს ცხედარი შვენიერისა ჭაბუკისა მის და უძლეველისა მჯნისა, დიდითა გოდებითა მიიტანეს ყარსს და მუნ შეუმზადეს საკაცე და შეამკვეს ოქრომკედისა საცმელითა და სამეფოთა დიდებითა აილეს და წარილეს დიდსა და ჩინგბულსა მონასტერსა თვისსა ბეთანიას, რომელი აღმენებინათ წინაპართა მისთა სასაფლაოდ თვისად.

11. ხოლო მოვიდა მეფე დავით ყოვლითა დიდებულებითა და სამეცდროთი და ჰყო გოდება დიდი მას ზედა და შთაასვენა საფლავსა მამა-პაპათა თვისთა თანა. ხოლო პატივი და მაღალი ალაგი ორბელიანთ ნათესავისა სახლსა მეფისასა იყო ესე, რომელ იყუნეს სპასალარი ქართლისა და ყოველნი მოსაქმენი სამეფოსა სახლისანი იყუნეს ჭელთა ქუეშე მათთა. აქუნდათ სამარადისოთ, დროშა ათორმეტი და თვოოს დროშასთან ჰყუანდათ კაცნი ათა-

A: 1 ტყება.

მეტი დროშა და ყოველსავე დროშასა ზედა ათასი კაცი. რა- მეთუ განწესებულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა აღმისა და წი- თლისა ნიშნისა, და უბრძანეს მათ წითლისა აღმისა ქონებად, დრო- შისა და თეთრისა ნიშნისა მას ზე- და და ძეცეოდნენ წინაშე მეფისა. ხოლო დადგმისა აქვნდათ კვერ- თხი ლომთავოვანი და უამსა ვა- მისასა დაჯდომად მარტოდ მრა- ვალთა ზემორ ვიდრე ყოველთა დიდებულთა და პირველთასა, და სკამდენ პურთა ეცხლისა ტაბ- ლითა, და ესენი იყვნენ გვირგვი- ნისა დამდგმელნი მეფისანი.



სი. სკულ-ედვათ მეფეფშე უფლუბე- მცა შეემოსათ თეთრისა უბრძანებულ ცა მუნდირი და აქუნდათ ნიში წითელი, ხოლო უბრძანეს ამათ შემოსა სამოსლი- თა წითელითა და თეთრისა ნი- შისა ქონება, რამეთუ არა იყო მსგავსი მათი სა- ქართველოსა შინა ქრი- სტეს მოყუარულნი, მო- წყალენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. და აქუნ- დათ ბრძანება ლომისა თავოვანი- თა კვერთხითა დგომა კელმწი- ფისა წინაშე და უამსა სეფისასა ჯდომა საკუთრად მიყრდენითა დორსა ზედა, და ჭამეა პურისა ვერ- ცხლისა ჭურითა, და ჰსგდებოუნ უზენაეს ყოველთა დიდებულთა და ესენი იყუნენ მეცურგვნენი მეფისანი.

12. ხოლო შემდგომად მრავ- ლისა უამისა მეფობასა დავით ძლიერისასა, ძისა გიორგისა, დი- დი იგი სპასალარი ორბელიანი ძლიერად აღდგომილ იყო და გა- ნახენა საზღვარნი ქართლისანი და ბრძოლა უყო თურქისტანსა და გამოიუღო ტფილისი თურქთა და ტაუში, გავი და სამეფო იგი ლო- რე და ანი რიცხვსა ხუთას სამე- ცუდა ათორმეტსა! და ამისთვი- ცა უმეტესად შეუყვარდა იგი მე-

12. ხოლო აშ შემდგომად ხან- თა მრავალთა უამსა მეფობისა დავითისა, ძისა გიორგისასა, დიდმან სპასალარმან ითანე ირ- ბელიანმან ფრიად განავრცელა სამზღვარი ქართლისა. ებრძოდა თურქთა და წამრთვა ტფილისი, ლორე და ანი რიცხუსა ფობი, რომლისათვის დიდად პატივცე- მულ და შეუუარებულ იქმნა მე- ფისაგან და გარდა მამულისა

ცესა და პატიულებულ იქმნა უფროს მამთა თვისთაგან. მიეცა ცა მეფისაგან ლორე სოფლითა და აგარაკითა თვისთა და ალვალად დარბაზისა სამშერლდე, რომელი-იგი იყო მამთა მისთა, კუალა-ლა-და მიეცა სოფლით თვისითურთ დიდითა იელგარითა და სარეფონთა ბეჭდისა და მეტეპა ჩა მამულად.

13. ხოლო შემდგომად სიკულისის დავით ძლიერისასა მიიღო მეფობა ძემან მისმან მხნე-ნან დიმიტრი, რომელი წარხდა სიხნითა პირველთა თვისთა, და წეუბობდა იგი წელსა ოცდაათსა-ხერსა.

მან უმეტეს შერგვარა და პატიულებულ ყო იოვანე და ძე მი-ს სუმბატ. დღეთა ამისთა და-წერეს იოვანე და სუმბატ ხუნა-ნი. რომელი მრავლით წელთა-ვან აქვნდათ თურქთა. და კუა-ლად დაუმკერდლათ მამულად მითდა რიცხვესა ხუთას სამეოცდა-ოშეიძმეტსა!

14. ამის შემდგომად მოკვდა იოვანე მოხუცებული დლითა და ხოლო უფლება მისი ძემან მისმან სუმბატ და სუმბატ გულისხმა-ყავა. რომელ ამშანლებულ იყვნენ წართველთა მეფისა და სომეხთა-ც მეფისა კვირიკესათა. რომელ-



თვისისა მიეცა მეფისა მიერ სა-სახლედ გინა პ მუშავებული  
ტად ლორე გარემონთა შემუშავებული  
თა, ეგრეთვე სამშვლდე, რომე-ლი იყო მამული მათი, კუალად  
მიეცა მათ დაბებითურთ, და ესე  
დღითა სიგლითა და სამეფოთა  
ბეჭდითა დაემტეცა მათ მა-მეულად.

13. ხოლო ოდეს მოკვდა ძლი-ერი იგი დავით, მიიღო მეფობა  
მისი ძემან მისმან მკნემან დიმიტ-რიმ, რომელმან, მ კ ნ ე მ ა ნ  
დ ი მ ი ტ რ ი მ, უმჯობესობით  
გარდამატა წინაპართა თვეთა,  
რომელმან იმედა წელსა ოცდაათსა-მეტსა და მან უმეტესად შეიუუა-  
რა დღითა პატივისცემითა იოანე  
ლიხელიანი და ძე მისი სუმბატ-ჟამსა ამისსა დაიპყრეს იოანემ  
და სუმბატმან ხუნანი<sup>2</sup>, რომე-ლი აღრით უამითგან ეცყრათ თა-  
თართა, ესეცა ამთ მიეცათ მტკი-ცე მამულად რიცხუსა ფოზ<sup>3</sup>.

14. ამისა შემდგომად მიიცა-ლა იოანე ჟამსა მოხუცებულო-  
ბისასა და მიიღო სამფლობელო  
მისი ძემან მისმან სუმბატ, ხოლო  
ესე უწყოდეთ, რამეთუ ესენი  
მძახლობითა ეყვოდნეს სომეხთ  
მეფეს კვირიკეიანთ, რომელი

A: 1 კ. ი. 1128 (577+551) წ.

B: 1 პალატ, 2 ხონანი, 3 ლ-ზ. ფოზ=577=1128 წ.



B

არიან ბაგრატიონი. ერთშემსრულდებო  
ქართულელთასა. და ჭრილი მარტინი  
მიიღეს მათგან სახელნი, ესე იგი  
სუმბატ და ივანე, რომელი არს  
ითანა, ხოლო ლიპარიტ, ელიკო  
მი და ბირთულ მიეღოთ წინა-  
პართა თვისთაგან და სახელნი სხუ-  
ანი ქართველთაგან მიიღეს.

**A**  
ნი იყვნენ ბაგრატიონი, და ამის  
მიზეზისათვის მიიღეს მათგან სა-  
ხელი ბაგრატიონობისა ამან სუმ-  
ბატ და ითანა. ხოლო ლიპარი-  
ტობა და ელიკობა და ბურთე-  
ლობა აქვსთ ძველად პირველ-  
თაგან, რომელი მოვიდნენ ჯე-  
ნისტანით და სხვანი ესე სახელნი  
ეწოდნეს ქართველთაგან.

15. ხოლო კუალად დაიპყრა  
სხვამან ითვანე, ძემან აბულეთის-  
მან, ღმანისი.

და შემდგომად მრავლისა გან-  
მარტვებისა და დიდ-დიდისა სიმ-  
ხნისა მოკუდა დიმიტრი მეფე რი-  
ცხესა ექვსასშეიდასა! და მიიღო  
მეფობა მისი დავით, მსგავსმან  
მამისამან, კაცმან ძლიერმან და  
ბრძენმან, და ცხოვნდა წელსა  
ორსა და მოკუდა. და უამსა ალ-  
რულებისასა მოუწოდა კათოლი-  
კოსსა და დიდ-დიდთა დიდებუ-  
ლთა და ძმასა თვისსა გიორგის  
და მცირესა ყრმასა თვისსა დი-  
მიტრის და დაიდგა წინაშე თვის-  
სა თვავილი ხატი და განმაცხოვე-  
ლებელი ჭუარი და სახარება და  
თქვა:

„პო დიდებულნო ქართველ-  
ნო, თქვენ თვით კეთილად უწყით,  
თუ ვითარ იღვაწა მამამან ჩემ-  
მან თქვენთვის და კუალად განა-  
სხლა მეფობა ესე და უამსა სიკ-  
ვდილისასა დიდ-დიდითა აღთქ-  
მითა და წიგნითა მომმადლა მე

15. შემდგომად იღოცა მეო-  
რემან ივანემ, ძემან აბულეთის-  
მან, ღმანისი და შემდგომად მრა-  
ვალთა გამარტვებათა და დიდ-დი-  
დთა მჯნებიბათა მოკუდა დიმიტ-  
რი და მიიღო მეფობა მისი ძემან  
მისმნ დავით, მსგავსმან მამისა  
ძლიერისა და ბრძნისამან. იცო-  
ცხლა ამან წელსა ორსა და ესეცა  
მოკუდა. ხოლო უამსა ალირულე-  
ბისა მისისასა უკმო კათოლიკო-  
სა და დიდებულთა და ძმასა თვისსა  
გიორგის და მცირესა ყრმასა თვი-  
სა დემნას, წარმოსდგა ხატი მაც-  
ხოვრისა, ეგრეთვე ჭუარი ცხო-  
ველმყოფელი და სახარება და  
თქვა: „პო, დიდებულნო ქართ-  
ლისანო, თქვენ თვალთ მენეთ  
უწყით, უკეთუ ვითარ დაშვრა  
მამა ჩემი თქვენ ზედა და კუა-  
ლად განაახლა სამეფო ესე და  
უამსა სიკუდილისა თვისსასა დიდ-  
-დიდითა აღთქმითა მიბობა მე სა-  
მეფო ესე, ხოლო აწ ვეახლოე  
ალსასრულსა და ძმასა ამას ჩემსა

მეფობა და შეცა უამსა ამას მი-  
გახლებულ ვარ აღსასრულსა და  
შენ, ძმა ჩემო გიორგი, არარა  
გაქვს ნაწილი და რიცხვი საყ-  
დარსა ამას, არამედ ვითარცა მა-  
მამან ჩემმან მომადლა მე სამე-  
ტოდრო საყდარი ესე და სამეფო,  
მსგზავსადვე მისსა მე ძისა ჩემისა  
დიმიტრისა მიმიცემის თქვენ  
ყოველთავე მოწამეობითა. ხოლო  
შენ, ძმა ჩემო, გიორგი, და-  
ლეგ ადგილსა ჩემსა და ქმენ ძალ-  
შთავრობა ქვეყანასა და იყოს  
შენდა ნაწილი სამკუთრებელისა,  
რომელ-იგი მავამან ჩემმან მოკუ-  
შენ, ვიდრე ალიზარდოს ყრმა ჩე-  
მი“. და მოუწოდა წინაშე ოცვანე  
რობელიანსა, ძესა სუმბატიასაა,  
და აფუცა ყრმისა მისთვის დამა-  
რცხად აღოქმისა მის ანდერტისა,  
და უპყრა ხელი ყრმისა და მისცა  
ხელთა ოცვანესთა და შევეღრა  
და ყოველწივე იგი დიდებულნი  
ათვეცა, რამეთუ არა ზაკვა ყონ  
ყრმასა მას ზედა და ოდესცა ასა-  
კეულ იქმნეს, სცხონ მას მეფობა.  
ესე ყო და აღსასრულა, და და-  
იღვა გელათის მამათა თვისთა თა-  
ნა.

და შემდგომად დღეთა მათ  
წარჩინებულ იყო ყრმა იგი სახლ-  
სა ოცვანესსა და ისწავლიდა და  
აღორძნდებოდა.

ხოლო თვით იგი გიორგი გარ-  
და ქცევდა გულსა დიღ-დიღთა  
მთავართა და კათალიკოზისასა  
კუალად და ენება განმეფება და



გიორგის არარა სიტყუა და კ-  
ლება აქუს ტახტისა ადისტურული  
ვითარცა მამამან ჩემმან შე-  
ბოდა სამკუდრებელად ტახტი ესე  
მეფობისა, ეგრეთვე უბოძებ შე-  
ცა ტესა ჩემსა დემნას, და გიმოწ-  
მებ თქვენ ყოველთა და შენ,  
ძმათ ჩემო გიორგი, იყავ მოად-  
გილედ ჩემდა და ჰყავ ძალმთა-  
ვრობა ქუეყანისა ამის და მიიღე  
ნაწილი სამკუდრებელისა შენისა,  
რომელი მოგცა შენ მამამან ჩემ-  
მან. ვიღრე ალიზარდოს ყრმა  
ჩემი“. შემდგომად წინ წარმოა-  
ყენა ივანე, ძე სუმბატ ორბელი-  
ანისა, და შეაფიცა ყრმასა მას  
ანდერტისა მისთვის, რათა დაეც-  
ვა ალოქმა ანდერტისა. იპყრა  
კელი ყრმისა და მისცა კელსა  
რვანენსსა და შთაბარა მას და  
სხვათა ღიდებულთა ყოველთა  
აფიცა, რათა არა ემზაკურათ  
ყრმისათვის, არამედ ოდეს მოწევ-  
ნელ იყო პასაკად, ეცხოთ იგი  
მეცედ. ესე პრქუა და მიიცუა-  
ლა და დაეფულა მამათა თანა თვა-  
თა გელათისა.

ხოლო დღეთა მათ ამიერ სახლ-  
სა შინა ივანესსა ალიზრდებოდა  
ყრმა იგი. ამჟამად გიორგიმ  
თვისდა მიიზიდა გულნი ღიდებუ-  
ლთა მთავართანი და კათოლიკო-  
სისა და პნებევდა გამეფება და  
ვერ გაებევდა გამოცხადება განზ-  
რხევისა თვისისა ღიდისა სუმბატ

A

ვერ ხელეწიფებოდათ განზრახვისა  
განცხადებად დიღისა სუმბატ  
ორბელიანისა და ძეთა მისთა  
— იოვანესა და ლიპარიტისა.

16. ხოლო შემდგომად თვისა  
ერთისა შეერბენ ყოველნი დიღე-  
ბულნი და აზნაურნი გიორგისა.  
და მივიღა მათ თანა იოვანეცა  
თვისითურთ, და განცხადა გან-  
ზრახვა იგი გიორგი მრავლითა  
ვეღრებითა და დაჯერებულ ყო  
სიტყვით: „უკეთუმცა ასაკეულ  
იქმნეს მმისწული ჩემი, არა დაკ-  
ლებულ ყო იგი, არმედ ანდერ-  
ძისაგბრ ძმისა ჩემისა დავსვა  
საყდარსა მეფობისასა“. ამისთვის  
სცხეს მას მეფედ. და იყო განმარ-  
ჯვებული ყოველსა ზედა სიმხნი-  
სასაქმეთა და ფრიად ბრძენ. ხო-  
ლო დღეთა მისთა იყო მრავალი  
კადნიერება მეფობისა მათისა და  
მრავალთა ბრძოლათა მძლე ექმ-  
ნა თავით თვისით ხელითა მხნი-  
სა და ახოვნისა სპასალარისა  
იოვანესითა, რამეთუ შეაძრწუნა  
ყოველი სახლი სპასეთისა და  
იურქთა. ხოლო ამან გიორგი და-  
იპყრა ქალაქი ანი რიცხვსა სომ-  
ხურისა ექვსასათსა და ყოვე-  
ლი იგი სახლი შირვანისა მი-  
მაღლა იოვანეს, ამირსპასალარისა  
ქართველთასა, ძესა სუმბატ ორ-  
ბელიანისასა, და დაუმეკიდრა მას  
მამულად.

B



ორბელიანისა და ძეთა შეკუპურებული  
ნესა და სუმბატისთვის უკავიარებენ

16. ხოლო შემდგომად ერთისა  
თთვისა შეერბენ ყოველნი დიღე-  
ბულნი და მთავარნი გიორგის-  
თან, სადაცა იმყოფებოდა იქა-  
ნეცა თვისეულითა, მაშინ განც-  
ხადა გიორგიმ განზრახვა თვისი  
და მრავლოთა სიტქმობითა არ-  
წმუნებდა მათ და ეტყოდა, რა-  
მეთუ: „ოდეს მოიპასაკების ძმის-  
წული ჩემი, არა უვარ-ვპყოფ ან-  
დერძისა ძმისა ჩემისასა, არამედ  
დავსვამ ტახტისა ზედა მეფობისა  
ჩემისასა“. ამისთვეს დაერთისიტყ-  
ვავდენ და სცხეს იგი მეფედ, რო-  
მელი იყო მარჯუე ყოველსა საქ-  
მესა შინა სიმკაცრისასა და მე-  
ტად გონიერი.

ხოლო ამისსა შემდგომად მიე-  
ცა ფართოება სამეფოსა მისსა და  
მრავალი ომი გარდაიხადა თავით  
თვისით და შემწეობითა მკნი-  
სა! სპასალარისა ივანესითა ყო-  
ველი სპასეთი და თურქისტანი  
შეაძრწუნა. ამან გიორგიმან აი-  
ლო ანის ქალაქი რიცხუსა ქართველი და  
უბოძა ამირსპასალარისა ივანეს,  
ძესა დიდისა სუმბატ ორბე-

A: 1 გ. ი. 1161 (610+551) წ.

B: 1 მპნისა. 2 ქ“=610=1161 (610+551) წ.

ამან იოვანე ერთგზის სტლო უაპარმენს! კარსა ანისასა, რომელი მოსრულ იყო ორმეოცისა ათასისა კაცითა ქალაქსა მას ზე-ღა.

17. ხოლო დალათუმცა შოსტულ იყო მეფე გოორგი, გარნა ეს-ვე იყო მხოლო მძლეველ ბრძოლათა. კუალა დ ერთგზის მეორე ყო დიდი ათაბაგი ელდეფუზ ველსა გაგისასა, რომელი მოსრულ იყო ასი ათასითა კაცითა გიორგის ზედა და ენება ყოვლითავე ღონითა და ახოვნითა სიმხნითა მოწყველა ყოველთა ქართველთა და შეკურნბა მეფისა. ხოლო ვგოდენთა იშროებათა შთაგდებულ ყო იოვანემან, რომელ ღამე დაუტევეს კარავნი და საჭურველნი და ყოველნივე იგი სიმდიდრენი თვისნი და ტვირთმზიდავნი და ივლტოდენ მცირედ ძლით.

18. ხოლო იოვანე ამას ყოველსა იქმოდა და მრავალსა კეთილის-ყოთასა და დიდთა საქმეთა აჩვენებდა მეუხესა, და იგიცა ამის ლიქნითა აღმაღლებდა მას. ხოლო ველსა შინა მარადის ეშინოდა მისგან ყრმისა მისთვის, რომელი შევეღრებულ იყო მისდა და ეძიებდა უამსა მარჯვესა მზაკვარიბით ფარულად წინააღმდეგომად ყოველითა ლონითა და ვერა პოებდა. ხოლო უწყოდა გუ-



ლიანისასა და დაემკულრა მათ მა-მულად. ივანემან ამან დაუშენებირთვება ერთგზის შაპარმენ, რომელი მო-სულიყო ორმოცი ათასის კაცით ანის ქალაქზედ.

17. თუმცა შეეწეოდა მას მე-ფე გოორგი, გარნა ეს იყო მე-ბრძოლი. ერთგზის ლტოლვილ ჰყო დიდი ათაბაგი ელიტიკოზი მინდონსა გაგისასა, რომელი მოსრულ იყო ასი ათასითა კაცითა გიორგისა ზედა და ენება ამო-წყუერთა ყოველთა ქართველთა და შეკურნბა მეფისა. რომელი დი-დითა მანქანებითა და სიმაცრი-სა მკნეობითა ეგოდენ შეაწუხა ივანემან ვიღორე საშუალსა ლამი-სასა დაუტევენს კარავნი, საჭურ-ველნი და ურიცხვნი უნჯნი და თვალნი ლტოლვილ იქმნენ.

18. გარნა თუმცა ყოველსა ამას ჰყოფდა და სხუასაცა ამას ლუაწ-ლსა ჰსდებდა და დიდ-დიდსა საქ-მესა მოქმედებდა სასარგებლონსა მეფისასა. ხოლო იგი თვალლებით უდიდესისა დიდებითა და პატი-ვითა აღმაღლებდა მას, გარნა მოშიშობდა მარადის გულსა შინა ყრმისა მისთვს, რომელი მის-და იყო შევეღრებულ და ეძი-ებდა უამსა მარჯუესა, რათა ევნო მისთვს ფარულითა მანქანებითა

A

ლსა თვისსა ესე იოვანე. და შა-  
მა მისი სუმბატ მოხუცებული  
დღითა მოკვდა და დადგეს საფ-  
ლავსა თვისსა და დაიმკვიდრეს  
მთავრობა იოვანე და ლიპარიტ,  
რიცხვსა სომხურისა ექვსას ოც-  
და ექვსსა იქმნა ალმური და  
შეფოთი შორის შეფობისა ქართ-  
ველთასა და ძირითურთ ალმოფშ-  
ვრეს და დასცეს სახლი ორბე-  
ლიანთა მეფობასა გიორგისასა  
შეოცდაერთსა წელსა.

B



და ვერ ჰპოვებდა. იფრაჭურული  
იგანემაცა. ხოლო მფრდა მარიშუა  
ხუცდა და გარდაიცუალა ამიერ  
სოფლით და დაეფლა მამათა  
თვსთა თანა. და მიიღეს სამკუდ-  
რებელი მისი ძეთა მისთა — ივანე-  
გან და ლიპარიტ. ხოლო რი-  
ცხვსა სომხურსა ქვე<sup>1</sup> აღსდგა  
შეფოთი სამეფოსა შინა საქართუ-  
ლომასასა და სრულიად აღიფხუ-  
რა სახლი ორბელიანთა, რამეთუ  
იქეფა გიორგი წელსა ოცდა ერთ-  
სა.

19. ხოლო ასაკოვნობასა ჭა-  
ბუქობისა დიმიტრისასა მჯდომა-  
რე იყო იოვანე ძმითა და ძი-  
თურთ თვისით აგარაკად, სახელ-  
ოებულსა მას დარბაზს, და მხია-  
რულ იყვნენ ერთობით. და მო-  
ვიდნენ მისა დიდთა დიდებულ-  
თაგანნი და მოვიდა დიმიტრიცა  
და ეტყოდეს მას: „მოიხსენე,  
იოვანე, ალთქმა შენი და ფიცი,  
რომელ ეფუცე მეფესა დავითს  
და ნუ თანა-წარხლები ალთქმასა,  
რამეთუ აპა მოწევნულ არს უამი  
მეფობად ყრმისა დიმიტრისა, და  
გიორგი მჯდომარე არს მცხეთას  
კაცთა მიერ მცირეთა და ჩვენ  
ყოველნი მტკიცე ვართ ფიცსა  
მას ზედა, რომელ ვეფუცეთ მა-  
მასა ამისსა“. და რქვა იოვანე:  
„ნუ იყოფინ ჩვენდა ეგი, რათა

19. და ოდეს მოიწია ჰასაკად  
დემნა, ჯდა ივანე ძმათა და ძეთა  
თვსთა თანა აგარაკასა მას, რო-  
მელსა ეწოდებოდა დარბაზი ზა  
რშვებდიან. მოვიდნენ მასთან დემ-  
ნა და დიდებული და ჰრეჭუეს მას:  
„მოიხსენე, ივანე, ალთქმა შენი და  
ფიცი, რომელი შეჰფიცე მეფესა  
დავითს, და ნუ იქმნები გარდა-  
მავალი ალთქმისა. აპა მოწევნილ  
არს უამი მეფობისა ყრმისა ამის  
დემნასი, და გიორგი ზის სახატე-  
სა მას მცირედითა კაცითა და  
ჩუენ მტკიცედ ვართ ფიცისა მა-  
მასა ამის ზედა“. მაშინ ჰრეჭუა  
ივანე: „ნუ იყოფინ ეგე ჩუენ-  
და, რათამცა განვიზრახოთ სიკუ-  
დილი ცებულისა მეფისა, არა-  
მედ ფიცისა და ალთქმისა ჩუენი-

A: 1 ე. ი. 1177 (626+551) წ.

B: 1 ქვ=626=1177 წ.

## A

უზრახოთ შოკულად ცხებულისა მის მეფისა, არამედ ფიცისათვის ჩვენისა და აღთქმისა შევიპყრათ გიორგი, ვიდრე მეფედ ვყოთ დიმიტრი და გამოვართვათ აღთქმა და ფიცი და ხელოთ-წერილი, რათა მორჩილ იქმნეს ძმისწულისა თვისისა, და შემდგა გომად განუტეოთ იგი, რამეთუ დააღდრეს და დაჯდეს ნაშილსა სამკვიდრებელისა თვისისა, რომელი-იგი მისცა მამამან მისან».

და ვითარცა თქვა ესე, მოეწონეს ყოველთა და იწყეს შევრებად სპათა მეყსეულად!

20. ხოლო ესმა განზრახვა ესე შეურაცხსა ერთსა, ესმა ყრმასა და წარვიდა ღამე და ამცნო მეუესა. ხოლო იგი ამხედრდა ცხენსა და ივლტოდა მყის, და შევიდა ტფილისა და მუნ მტკიცე იქმნა. და არა უწყოდა ესე იოვანე, არამედ შეკრებდა სპათა ძლიერთა და განამზადებდა. და იყვნეს ერთობით ყოველნი თავაღნი და აზნაურნი იოვანეს თანა, ყოველნივე იგი ერთ გუნდ მისრულ და მიწევნულ მისსა აგარისა დარბაზისასა: ქართლისა ერისთავნი ყორყორელნი, ჭავახნი, კახნი და შვილნი მათნი და კამრაგელი<sup>2</sup> დიდი და ჭაყელ მემნა<sup>3</sup> და ტაშირელნი და კაუნელი

## B



სათვს შევიპყრათ გიორგი, ვიდრე გავამეუოთ დემნა, დურჭეულებული მე ესთხოოთ მას აღთქმებული მორჩილებისა და კელწერილი მორჩილებისა ძმისწულისა თვისისა და შემდგომად განდევნისა უფლებდეს სამკვიდრებელსა თვესსა!, რომელ მისცა მას მამამან თვემან». რა მათ ესე თქვეს, მოუწოდეს ყოველთა და შემოიყარეს ჭარი.

20. ხოლო ესმა განზრახვა ესე, შეურაცხსა ყრმასა ერთსა, წარეიდა ღამესა მას და აუწყა მე-ფესა. მაშინ ამჟედრდა იგი ცხენსა და მეყუსეულად ლტოლეთა შევიდა ტფილისში და მუნ განმაგრდა. არა იცოდა ესე ივანეგან, შეკერებდა სამკედროსა და განკეარევდა ჭარსა და იყენენ თანავმანი ყოველნი დიდებულნი და ჩინებულნი ყოველნი ივანესი. და ყოველნი თავიეთს<sup>2</sup> რაზმით მოვილნენ აგარაქსა მას დარბაზ წოდებულსა, ქართლიდამ ერისთავნი და ჭავახურნი და კახეთიდამ ძენი მათნი — კამრაგელ და ჭაყელ მემნა<sup>3</sup>, ეგრეთვი

A: 1 მყავსეულად, 2 კამარგელნი, 3 ჭალელი ემნიან.

B: 1 „შემდგომად... თვისსა“ ჩამატებულა კიდეზე, 2 თავეთის, 3 ზალელემნა.

**A**

ჰასან<sup>1</sup> და ანელი გრიგოლ აპი-  
რატიანი<sup>2</sup>, რომელთა სპანი იყვ-  
ნეს რიცხვით უფროს ოცდაათი  
ათასისა.

21. ხოლო მეფე გიორგი მარ-  
ტოდ იყო ტფილისს თვინერ  
სპათა და მოუწოდა თავისად ყივ-  
ჩაყასა ერთსა, ყუბასარ სახელდე-  
ბულსა<sup>3</sup>, და მოიპოვა კაცნი ვითარ  
ხუთას ოდენ და სხვა არავინ აქვ-  
ნდა შემწე ვინმე.

და ვითარცა ესმათ შესლვა მე-  
ფისა ტფილისს და სიმაგრე მისი  
მუნ, არა წარვიღენ მას ზედა,  
არამედ უმზირდეს გამოსლვასა  
მისსა მუნ.

ხოლო ვითარცა განუგრძელ-  
დათ საქმე, ვითარცა წესი არს  
კაცთა კეთილად დაუმტკიცებელ-  
თა, განვიდა ერთობისაგან მათისა  
დიდი იგი კამრაგელი და ფარუ-  
ლად წარვიდა გიორგისა. და ესე  
ვითარცა იხილა გრიგოლი მაეის-  
ტროსიანმან<sup>4</sup>, იჯიცა წარვიდა გი-  
ორგისა. და ესრეთ იწყეს სხვა-  
თაცა თვითონეულთა ფარულად და  
განპარვით წარსლვად მეურა თა-  
ნა.

22. და ამისა შემდგომაშ იწყო  
განძლიერება გიორგისა კერძომან  
და მოკლებულ იქმნა კერძო დი-  
მიტრისა. რამეთუ რომელნიცა მო-  
ეიდიოდეს გიორგისა, დიდითა პა-

**B**


ტაშირელნი, კაინელი ჰასან და  
ანელი გრიგოლ და უსამარტინელნი  
რომელთა ძალნი იყუნენ რიცხ-  
თა ოცდაათი ათასი.

21. ხოლო მეფე გიორგი სჯდა  
ტფილისსა შინა თვინერ ძალთა  
და უწოდა რომელსამე ყივჩალს,  
რომელსა ეწოდა ყუბასარ, და  
ჰეოვა ჭარი ვიდრე ხუთ ათასამ-  
დე და გარდა მისსა არავინ ჰყვა  
შემწედ. ოდეს ესმათ შესვლა მე-  
ფისა ტფილისში და მუნ გამაგ-  
რება, არღა მოვიზნენ მას ზედა,  
არამედ ელოზნენ გამოსულასა  
მისსა. ვინაითგან ესრეთ განგრ-  
ძელდა საქმე, ვითარცა დაუმყა-  
რებელისა სახოვნებისა კაცთასა  
ჩეეულება არს, ეგრეთ გავიდა კა-  
მრაგელ თანამობისა მათისაგან  
და იდუმალ მივიდა გიორგისთან.  
ესე იხილა გრიგოლ აპირა-  
ტიანმან, ესე იგი მაეის-  
ტროსიანმან, ესეც მივიდა გიორ-  
გისთანა. ეგრეთვე სხუთა იწყეს  
თვთონეულად გაცლა და მივიდ-  
ნენ გიორგისთან.

22. იწყო განძლიერება გი-  
ორგის მკარემან და მოკლება მკა-  
რემან დემნასმან, რამეთუ რო-  
მელნიცა მივიდოდიან გიორგის-  
თან<sup>1</sup>, დიდითა პატივითა მიი-

A: 1 კაინელისან. 2 აპირატელიანი. 3 სახელდიდებულისა. 4 მაეისტროელიანმან.

B: 1 „გიორგისთან“ ჩამატებულია კილეზი.

## A

ტრა-თა შეიტყნარებდა და უზომო-  
ლა ნიჭითა მხიარულ ყოფდა და  
უოველთა სიმღიდრეთა და მამუ-  
ლთა ორბელიანთასა ალუქმიდა  
მიცემად მათდა.

ხოლო მას ეამსა ვითარცა გან-  
ძლიერდა და მრავალიერ იქმნა  
უორგი, ცოდა, რამეთუ მოკლე-  
ბულ იყო კერძო ძმისწულისა  
ოვისისა და იოვანესი, წარვიდა  
ჯიდითა მომზადებითა მათ ზედა.

და ეს ვითარცა ესმა იოვანეს,  
შეკრიბა ყოველი მონაგები თვი-  
ნი ციხესა შინა სამშვილდისასა,  
რომელი იყო სახლ საუნგეთა მა-  
თთა პირველ უძველესთა მათთა-  
ნა, სავსე ურიცხვითა საუნგითა და  
დაადგინა მუნ მცველო — ციხისა  
თავინი კაცნი და თვით აღილო სპა-  
თვისი და დიდი მთავრნი, რო-  
ელნიცა იყვნეს მის თანა და დი-  
მიტრის თანა, და წარვიდა ლორეს  
და განმაგრდა ფრიად.

ხოლო ძმა თვისი ლიპარიტ  
ორთა მიერ ძითა მიავლინა ათა-  
ბაგისა ელტეუსა თანა მოყვანე-  
ბად სპისა. შესაწევნელად მისგან.

23. ხოლო მეფე გიორგი მოვი-  
და და ვერა პოვა იგი აგარავსა  
ჰას, და გარე-მრადგა ციხესა მას  
ოცდა ხუთსა დღესა და გამოილო  
ციხე იგი დი აღილო იავარი მრა-

A: 1 „მრავალიერ იქმნა“-ს შესატყვისად სომხურ ტექსტშია „წადმანაუკ“. რაც ნიშნავს „გამრავლებას, მატებას“.

B: 1 ელიტო. 2. „მოასაჩას“ შესატყვისად სომხურ ტექსტშია „სისამარ (სის-  
მარ), რაც ნიშნავს „ალყის შემორტყმას“. 3 ე. ი. 25.

## B



ლებდა, უზომოსა ნიჭითა განა-  
დიდრებდა მათ და ყაჩასტრიცემული  
მამულსა ორბელიანთასა აღუზი-  
ვიდა მიცემად მათდა. მას უამსა  
შინა, ოდეს განძლიერდა გიორგი,  
ესმა ულონება ძმისწულისა  
თვისისა და ივანესი, დიდად მომ-  
ზადებული წარვიდა მათ ზედა.  
რომელიცა ესმა ივანეს და თვისი  
ყოველი ქონება შეიტანა ციხესა  
მას სამშვილდესა შინა, საფაცა  
იყო საუნგე წინაპართა მისთა, ალ-  
სავსე ურიცხვთა უნგითა. ხოლო  
დაადგინა მუნ რამდენიმე თავინი  
კაცნი მეციხოვნედ და თავადმან  
ჯარითა თვისითა წარიყუანაცა  
დემნა და წარვიდა ლორეს და გა-  
ამაგრა იგი. ხოლო ლიპარიტ ძი-  
თა ორთა წარგზავნა ელიტიკოზე  
ათაბაგთან მოსაყუანად ჯარი-  
სად შემწედ თვისად.

23. ხოლო მოვიდა გიორგი და  
ვერა პოვა იგინი აგარავსა.  
მე-  
რე შემოადგა ციხეს და იყო მო-  
ასარა<sup>2</sup> დღესა კე<sup>3</sup> და აღილო იგი.

ვალი საუნგეთა მათთა და ყოველი მონაგები მათი. და წარმოვიდა და დაიბანავა ლორესა გარემოს. ოვესა ივლისსა ათცხრამეტსა შევიდა იოვანე ლორეს და დაყო მას შინა ვიდრე მარტისა სამაღმდე. და ვითარ შეიშრებულ იქმნენ მეციხოვნენი იგინი, იწყეს აზნაურთა თვითოვეულთა დამოკიდებით ღამე გარდასლებად ზღუდით და შევრდომად წანაშე მეფისა. ხოლო დიდ-დიდთა დიდებულთა, რომელნი იყვნენ მოყვარენი და ერთსიტყვაში იოვანესი, იწყეს ფარულად წერად წიგნისა სიტყვით, გარდასტყორცეს ისრითა ციხესა მას შინა იოვანეს თანა მოწონებად და დამორჩილებად, რამეთუ ეშინოდათ მოსლვისათვის ელდეუსა ათაბაგისა, ხოლო იყო წიგნი იგი ესრეთ:

„დიდო იოვანე ორბელიანო, მკნეო, ძლიერო, მიუდრეკელო, რომელი ხარ ქვეყანისაგან ჯენისა, ტომო თვითმპყრობელისა მეფისაო, მოსრულო ქვეყანად ამა ქართლისა, პოვნიერო პატივისა უსაზომოსა, ებგურო და თავო სახლისა მეფისასა და სპასალარო გიორგისო, უკეთუ განსსაკენებელი შენი გწადს, ცხოვრება და პატივი გულის სათქმელი და მამული უსაზომო, რომელ არს ნახევარ უფროს ქართლისა, დაუტევე შენ ფიცი პირველი, აღთქმა და ანდერძი დავითისა მის. მოვედ მორჩილებად გიორგისა,



მოსრნა იგი ყოველი და უკუველი განძი და ქოხებშესტუმინისტული იმძლავრა, რომლისა შეძლგომად მცირდა და დაებანავა გარემოს ლორესა. სეკდემბერს ცამეტს შევიდა ივანე ციხეში და იყო მარტის ხუთამდის. ამისთვის შეწუხდენ ციხეში მყოფნი და იწყეს თვითოვეულად გაპარება და ციხიდამ საბლით გარდაეშვებოდიან და მივიღოდიან მეფესთან. ხოლო ჩინებულთა და დიდებულთა, რომელნიცა იყუნენ საყუარელნი და თანჯმანი ივანესნი, იწყეს მათ იღუმალ წიგნის წერა, შეაბემდიან ისარსა და გასტყორციდიან ციხეში და უჩჩევდენ მოპჩილებასა, რომელ ეშინოდათ მოსულისა ელიტიურზ ათაბაგისა, ზეპორე ჰესენებულისა.

ხოლო იყო წერილი ეს ელექტსად. გარნა ლექსად აღარ გარდ მოვიდოდა და ამბად დავსწერე: „დიდო ივანევ ორბელიანო, მკნეო, ძლიერო და უძლეველო, რომელი ხარ ქუეყანისა მის ჭინეთისაგან მოსრულო და ტომი თვითმპყრობელისა მეფისა. ოდეს მოხვედ ქუეყანისა ამას ქართლისასა, აქა ჰპოვე პატივი უზომო, იყავ მთავარი და თავი სახლისა სამეფოსა და სპასალარი გიორგისა. აწ უკეთუ გნებავს განსუენება და სიცოცხლე, პატივი სასურველი და განუზომელი

ქართველთა დიდ-ტლიცერისა მე-  
ფისა. მოიღე და შესწირე ძლვე-  
ნი კეთილი — დიმიტრი, ყრმა რე  
დავითისა, რომელ გეჭმნა შენ  
მიზეზ ბოროტ და მრავალთა  
ამა ქვეყანისათა“.

24. და ვითარცა იჩალა წიგნი  
ესე იოვანე, მიუწერა თვით პა-  
სუხი და მოაბა ისარსა მის და ვა-  
სტუკორცა გარე:

„ჰოი დიდებულნო, საყვარელ-  
ნო ჩემნო, დიღნო და ძლიერნო  
მთავარნო კეთილნო, მე, იოვანე  
ორბელიანმან, აღმოვიყითხე წიგ-  
ნი სწავლისა თქვენისა, გარნა  
არა ვარ თვეს-მდებ მაგ ზრახვისა,  
რომელ გეწერათ ამა წიგნსა ზე.  
კაცი სიცოცხლისათვის მოცოუნ-  
დეს, დაუტეოს სარწმუნო უფა-  
ლი, აღთქმისა გამტებ თვით იქმ-  
ნეს, მიიღოს ნაწილი უარისმყო-  
ფელისა, წარუალისა გეენისა  
სატრანზელი და მოდასე იქმნეს  
ეშმაკთა. მე, წარმავალი კაცი,  
მოსიკედიდი, ვერ ძალ-მიც დათ-  
რგუნვად აღთქმის დებისა დღისა  
ამისთვის ცხოვრებისა საპატიოსა,  
არა ვეცრუო ფუცსა შას საზარელ-  
სა. დაუტეო ცხოვრება დღეინდე-  
ლი. წარეცდე უფლისა ჩემისა გუ-  
ლის სათქმელისა. მივიღო აღთქ-  
მული გამოუთქმელი. რომელი  
არავისგან მიიღებოდეს“.

ხოლო დალათუმცა ენითა



მამული შენი, რომელი სჯობბ  
ნახევარსა ქართლისასა უნდა გადა-  
და მოართვი ყრმა ეგე რე დავი-  
თისა, დემნა!, რომელი იქმნა მი-  
ზეზი ბოროტისა შენისა და სხვა-  
თა მრავალთა“.

24. ოდეს აღმოიყითხა წე-  
რილი ესე ივანემან, მისწერა მან-  
ცა პასუხი, შეაბა ისარსა და გარ-  
დააგდო, აიღეს და წარი-  
კითხეს, ხოლო ესე იყო  
მიწერილი დიდებულ-  
თა თანა.

ესეც ლექსად იყო და  
ამბად აღვსწერე:

„ჰოი დიდებულნო, საყუარელ-  
ნო ჩემნო, დიღნო და ძლიერნო,  
მთავარნო კეთილნო. მე, ივანე  
ორბელიანმან, აღმოვიყითხე წე-  
რილი სწავებისა თქვენისა, გარნა  
მე არა მომწონს განზრახვა ესე  
თქუნენი, რომელი მოგეწერათ  
ჩემდა. კაცი, რომელიცა იშვებს  
სოფელთა ამათ და დაუტევებს  
ბრძანებასა უფლისასა, გარდა-  
ვალს აღთქმასა, იგი მიიღებს ნა-  
წილსა უარისმყოფელისა და უშ-  
რეტსა ცეცხლსა შინა დაიწვება  
და ეშმაკთა თანა დაედასების. მე  
კაცი ვარ წარმავალი, ორის დღის  
პატივისათვს მე ვერა გარდავალ  
მას, რომელიც აღმითქუამს და  
ცერცა უარყოფ ფიცსა მას სა-

## A

ქართულითა ოლწერეს ესე, ხოლო ჩვენ ენითა სომხურითა შევცვალეთ სიტყვა ესე და განვაწყევით.

## B



შინელსა, არამედ მეუწყველებულები ფიცისათვის ჩემისა ჰყაბჭყაჭყამურა სულეველსა უფლისა ჩემისა მიერ და მივიღებ ქონებასა გძოლოთქმელსა უფლისა ჩემისა მიერ, რომელ ვერა რომლისაგანმე გაიცრავებოდეს“. ხოლო თუმცა წერილი ესე ქართულად ეწერათ, გარნა ჩვენ სომხურად შევსცუალეთ და ლექსად დავსწერათ.

25. ხოლო ვითარ გულისხმა-ზე მიუღრეველი ნება მათი, სასტიკად ყვეს მათ ზედა ბრძოლა. და დიმიტრი იგი უგულისხმოლ შეშინებულ იქმნა, განვიდა ლამაც და დამოკიდა ზოლდესა შას, შოვიდა და წარვიდა ჩამისა ძმისა თვისისა და დავარდა ფერსტა მისთა თანა და ელოდა მიმაღლებად მისგან მხოლოდ სიცოცხლისა. და ესე ვითარუა იხილა მეფებინ, განიხარა დიღად და წარგზავნა მოციქული იოვანეს თანა და ეტყოდა: „რომლასაუკავება მბრძოლი მე და შურ-მაგებდ, აპა ესერა მოსრულ არს ესე ჩემდა. და აშ შენ, რომლისათვისლა ვანდგომილ ხარ? მოვედ ჩემ თანა“.

ხოლო იოვანე რქა მას: „სიტყვანი ეგე მისნი მართალ არს, რომელ უბრძანების, არამედ მეფუცოს მე, რათა არარა მავნოს და არა მიმტაცოს მამული ჩემი და მოვიდე მე მისა“.

26. ხოლო ეფუცა გიორგი და ოლთქმა ყო მის თანა დიდად ფრი-

25. ოდეს ესმათ დაუდრეველი ნება მისი, გააფიცხეს ომი. მაშინ დემნა უგუნურებითა თვისითა შეშინდა, გამოვიდა ღამე, ზღუდედ გარდმოეკიდა, მივიდა ბიძასა თვისსა თანა და ფერკ ქვეშ მოეჭნა და ევედრებოდა მხოლოდ სიცოცხლისათვს, რომლისა მხილველმან მეფემან ფრიად განიხარა და წარგზავნა დესპანი ივანესადმი და შეუთვალი ესრეთ: „რომლისათვსცა შენ მებრძოდი, აპა მოვიდა ჩემდა. აშ ვისთვილა ურჩობ? მოვედ ჩემდა“. მან უპასუხა დესპანსა: „პეშმარიტი არს, რასაც იტყვი, გარნა შემომფიცოს მე, რათა არარა მავნოს და მე მივალ მისდა“.

26. ხოლო მეფემან შეჭირა და შეიკრა მასთან ალთქმითა და

ად. ამისთვის კადნიერ იქმნა იმანა იმანებ და მოვიდა მეტესა თანა. ხოლო მეფემან განიხერა! დიდად ფრიად და პირველისაებრ შეიწყნარა სიყვარულით და პატივ-სცა დიდითა პატივითა, ვიდრე ხელთ იცხო ყოველი ძენი და ნათესავი ტომინი მისნი. ხოლო აშ მტყუარ ყო ვაორგი აღთქმა თვისი და შესათბუნებელი ფიცი იგი და შეიპყრა იმანებ და აღმოხადნა თვალნი მისნი, ხოლო დიმიტრი, რომელი დასიძებულ იყო იმანანესა, შეიპყრა და აღმოხადნა თვალნიცა მისნი და მისცა იგი განჩრცხად ნეტარებისაგან და „ნუ იყოფინ, — თქვა, სამყიდვებელი მისი“, ხოლო უმრწემესი ძმა იმანები ქავთარ და ძე მისი სუბჰატ და ძმისწული მისი ინა? მისცა სიკედილად.

ყოველი ტომ-ნათესავი მისი და ყოველივე ყრმა-წული და დედანი თანასწორად აღხოცნა და წარსუყმიდნა, რომელნიმე მოშთობით და რომელნიმე წყალთა შთაგდებით და რომელნიმე კლდეთა გარდატევებით. და ამისთვის აღმოიღო სახლისაგან ქართლისა სახელი მათნი და ბრძანა აღმოხოცად სახსენებელი ნათესავისა არბელიანთასა ცხოვრებისაგან მათისა და ეკლესიათაგან ჯასცა აღწერად წიგნისა განდგომლებისა. არა, ვითარცა იყო, ეგ-



დიდისა პირობითა, რომლისკენცეცული იკადნიერა იცან ე მ ამისწულების მივიდა მეფესთან. ამჟამად დიდით განიხერა მეფემან და დიდისა სიყუარულითა და პატივით მიიღო იგი, ვიდრე კელთ იგდო ყოველი ძენი და გუარ-ნათესავი მისი. ამისა შემდგომად უმტყუვნა აღთქმასა თვესა გიორგიმ და დასთხარა თვალები იკანეს და დაასაჭურისა იგი, რათა არა ჰყოლოდა მეცვლე. ხოლო უმრწემესი ძმა იკანესი ქავთარ, ძე მისი სუმბატ და ძმისწული მისი ინა! და ხოცნა, ყოველნი მამა-ყრმანი, ყოველი ნათესავი და დედანიცა და მეუღლენიცა მისცა ასხოცად და ამოსაგდებად: რომელიმე დაარჩეუს, რომელიმე წყალში მოაშვეს, რომელიმე კლდეზე დაჩეხეს, და ესრეთ აღმოფხურა ქართლიდამ სახელი მათი. ეგრეთვე ბრძანა ახოცა სახსენებელისა ორბელიანთ გვარისა მოთხოვბათა საქართულოსთა. მერმე უბრძანა ეკლესიელთა აღწერა პამბისა ამის არათუ ნამდვლისა, არამედ სიცრუვისა და სხვა და სხვა მიზეზით ბრალდებისა, რაც ბოროტ შეცვასა ამისსა პნებელია. შემდგომად განაწესა შეჩერებაცა შეჩერებაცა, რათა არა მოიხსენონ სახელი

A: 1 განმარტა, 2 ზინონ.

B: 1 ზემო.



მათნი და არა დაუტენტული ციფრული საქართველოსა შილდი ბოროტისა საუნგე-  
სა თვისა. ხოლო იქმნა ეს წელ-  
სა უფლისასა ჩროზა.

რე ჭეშმარიტი მიზეზი, არამედ  
თვისისაებრ ნიშატისა ღიღ-ღიღ-  
თა ცილისწამებათა მათ ზედა და  
შეამზადნა, განაწესა შეჩვენება,  
რამთა არა კუალად მოხსენებულ  
ყონ სახელნი მათნი და არა დაუ-  
ტეონ მათგან ვინმე ჭვეყანასა  
ქართლისასა, და დადგა ანდერძი  
ბოროტი საუნგეთა თვისთა.

ხოლო იყო ესე რიცხვისა ექვ-  
სას ოცდაექსისა.

27. და ესრეთ იქმნა მტყუვა-  
რი განლგომილება და მოწყვეტა  
და გნედევნა ნათესავისა ორბე-  
ლიანთასა სამკვიდრებელთაგან  
თვისთა და მამულთაგან თვეუთა,  
რამეთუ მოსლვისა მათისა ჭვეყა-  
ნით ჭენით ვიღრე მას უამიდ-  
მდე შემოსლვასა რიცხვისასა აჯა-  
სსა წელსა უმეტესსა. და ზოგნი  
ცილსა იტყოდენ მათოვის, ვი-  
თარმედ: განიზრახვიდენ თავით  
თვისით, ენებათ დიდება თავთა  
თვისთათვის და მოლებად მეფო-  
ბისა. რომელ ყოველნივე მტაშ-  
ვარ არიან, ვითარცა ძალინი მყე-  
ფარნი, არამედ ფიცისა მისთვის  
და ალთქმისა, რომელი იყო და-  
ვით მეფისა თანა ძისათვის მისი-  
სა, ცხოვრებანი თავისა თვისი-  
სანი სიკედილად მისცნეს, ვითა-  
რცა ჯერ-არს კაცთა, ალთქმისა  
დამმარხველთა და მოყვარეთა  
უფალთასა, რომელთაცა-მათ, გან-

27. აპა ესრეთ იქმნა აღსასრუ-  
ლი, ამოხოცა და დევნულება  
სამკულებელთა მამეულთა თვი-  
სთაგან, რომელთ მოსულა ორბე-  
ლიანთი ამ ჟამამდე იყო, უმეტეს  
წელთა ათასთა. რომელიმე პბა-  
რობენ მათ და იტყვან, უკეთუ:  
ზრბევა ჰყვეს და ენებათ მეფო-  
ბისა თვისად მიმდლავრება. რომე-  
ლი ყოველითურთ სიცრუე არს  
და ამაოდ იტყვან, არა-  
მედ ალთქმისა და ფიცისათვს მე-  
ფისა მის დავითისა, რომელმან  
შეაფიცა ძესა თვისსა, სიცოცხლე  
თავეთი სიკუდილად შესცუალეს,  
ვითარცა სჭული არს ალთქმის  
დამმარხველთ და უფლის მოყუ-  
რულთ კაცთა, რომელთ დამჩაგ-  
ვრელთა და დჩიაგრულთა სამარ-  
თალი ღმერთმან უწყოდეს თვისსა  
უთვალებოსა სამართალსა შინა.

A

წირულთა და გამწირავთა-სამართლი ღმერთმან უსაფოს თვისითა თვალუხვავითა სასჯელითა.

B



28. ხოლო ლიპარიტ, ძმა ივანესი, რომელი წარსრულ იყო ათაბაგისა ელტექნისა თანა ორითა ძითა, ელიკუმითა და ივანესითა, შეარყევდა სახლსა სპარსოსა და მრავლითა უძითა მოვალდოდა შეწევნად ძმისა თვისისა, ვითარ სამეოცათა კაცითა. ხოლო კმა რა მათ ესმა შემთხვეულისა მის ბოროტისა და თქვა: „უბრალოთა ქრისტიანეთა რა სცოდეს, რათა წარვიდე წარწყმენდად მათდა? სისხლისა იგი თანამდებნი საღლამე გამოჩნდენ, რათა ხელთ ვიგდო იგინი“. მოუწა მუნით და მოიწიგა ელდკუზსა თანა. ხოლო მწარისა მწველობითა ძნიად ბოროტისა გულისა მიერ მცირედთა დღეთა ცხონდა და მოკვდა უცხოსა ქვეყანასა. ხოლო ეგ მისი ელიკუმ დაადგრა მუნ, და ძმა მისი წარვიდა ამირასა თანა განძაქ და მუნ მრავალი დიდება და პატივი პოვა და დაადგრა მუნ.

ხოლო ამისა შემდგომად მრავლითა ვედრებითა და ფიცითა დღეთა თავმარისათა მოაქციეს მუნით და მისცეს მამული თვისი ორბეთი, ხოლო რომელთა შეეს ძენი, და იგინი არიან ორბელიანნი.

28. ხოლო ლიპარიტ, ძმა ივანესი, რომელი წარსრულ იყო ელიტექნის ათაბაგთან ორითა ძითა თვისითა, ელიკუმით და ივანესით, გან რის ხდა და აღძრა სპარსეთი და სამოცის ათასის სამკედროთი მოვიდოდა შემწედ თავის ძმისად. მაშინ ესმა კმა ბოროტის შემთხუევისა მათისა და თქვა: „საწყალობელთ ქრისტიანეთ რასა შეუცოდავთ, რომ წარვიდე და წარვსწყვიდნე იგინი? მოსისხლენი ჩუენნი არსად სჩანან, რომელი შევიძყრა მე“. მიიქცა მუნვე და დადგა ელიტექოზთან; და დიდისა მცმუნვარებისაგან და საზარელისა ტირილისაგან მცირეს ხანს იცოცხლა და მოკუდა უცხოს ქუეყანაში. და ე მისი ელიკუმ მუნვე დადგა და ძმა მისი ივანე წარვიდა ამირთან, ანუ მთავართან თავრიზისადმი და მუნ მიიღო დიდება და პატივი მრავალი. რომელი ხანთა მრავალთა ბირებითა და ფიცითა დიდითა უამსა მას თამარისასა მოიყუანეს და მისცეს მას მამულთაგან თვისთა მხოლოდ ორბეთი, რომელმან ჰმუნა ძენი, და აშ იგინი არიან ორბელიანნი.

A: 1 ამირანისა.

## A

29. ხოლო განდევნისა ორბე-ლიანთასა განუყო მამული მათი მეფებან გიორგი რომელთამე მტერთა მათთა და შემასმენელ-თა და ზოგი მისცა ყიფახსა, რომელსა ეწოდა ყუბასარ, რო-მელი ზემორ ვასენენთ და მიანი-ჭა აღგილი მთავრობისა მათისა და დაადგინა სპასალრად ყოველ-სა ზედა ქართლსა.

ხოლო თვით მას გიორგის არ აქვნდა სამკეიიდრებელი. მეფობი-სა თვისისა თვინიერ ასულისა ერთისა, თამარად სახელდებუ-ლისა, და აღესრულა რიცხვსა ექ-ვსას ოცდა ათ სამეტსა!, ხოლო მეფობდა წელსა ოცდარესას.

ხოლო დაიპყრა მეფობა ასულ-მან მისმან, რომელსა მოვგარეს ქმრად ძე მეფისა ხაზართასა, რომელსა სახელი ეწოდა გიორ-გი, ამან დაიპყრა ქალაქი დვინისა და მცირედისა შემდგომად მოკვ-და.

ხოლო შეირთო თამარ მეორე ქმარი, სოსლან სახელდებული, და მან შეა ძე მხოლო, ლაშა გიორ-გად წოდებული.

30. ხოლო შემდგომად აღს-რულებისა გიორგი მეფისა მო-ხადა ძეთა სარგისისათა, ძისა ზა-ქარია მთავრისა, რომელი იყო ნათესავით სომხი და წრფელი სარწმუნოებითა, ზაქარია და

## B

29. ხოლო ოდეს უჭირდუჯუჭული გიორგიმან ორბელითქმული მამული მათი სხუათა, რო-მელიმე მისცა მტერთა და მიმ-ცემელთა მათთა და დანაშობი მისცა ყიფახსა მას ყუბასარს, რომელიცა ზემორე ქსტევით, და მისცა მას აღადგი მთავრობისა მა-თისა და ამყოფა სპასალრად, გინა სპასპეტად ყოვლი-სა საქართულომასა. ხოლო მე-ფესა გიორგის არა ჰყუანდა მემ-ცედრე მეფობისა თვისისა თვინიერ ასულისა ერთისა, რომელსა ეწო-დებოდა თამარ. და მიიცუალა მე-ფე გიორგი წელსა მაცხოვერისასა ჩრდილი. ხოლო დაიპყრა სამე-ფო მისი თამარ და მიიღო ქმრად ძე რუსეთის კელმწიფისა, რო-მელსა ეწოდებოდა გიორგი. ამან მიიღო დვინი<sup>2</sup> ქალაქი, დია მცი-რედი იცოცხლა და მოკვდა. კუ-ალად შეირთო თამარ ქმრი მე-ორე, რომელსა ეწოდებოდა სოს-ლან. რომელმან ვშეა ძე ერთი, რომელსა უკმობდენ ლაშა გი-ორგის.

30. ხოლო შედგომად აღსრუ-ლებისა მეფისა გიორგისა თამარ-მან პატივი დიდი მიაპყრა სარ-გისს, ძესა ზაქარია მთავრისასა, რომელი იყო გუარად სომეხი და მეონე მართლმადიდებლობისა

A: <sup>1</sup> გ. ი. 1184 (633+551) წ.

B: <sup>1</sup> ჩრდილი=1184 წ. 2 ლუნა. 3 სავასლან.

ოვეანე, და აღამალლნა იგინი დი-  
დებითა და პატივითა და დაად-  
გრნა ზაქარია ადგილსა ზედა ორ-  
ბელიანთასა მირსპასალარად ქა-  
რთველთა და მისცა მამული ორ-  
ბელიანთა ლორე.

ხოლო მა მისი იოვანე დაად-  
გინა ათაბაგად ქვეყანასა სომხი-  
თისა და ქართლისასა, რომელთა  
დიდითა ლვაწლითა განარინეს  
სომხითი სპარსთაგან და გამოი-  
ლეს არანი, ვიდრე ქვემო ბასე-  
ნადმდე და ბარკუშატამდე, ვიდ-  
რე მარნავერტად, დაიპყრეს კა-  
რი და ვალარშაკერტი<sup>1</sup> და კალ-  
ზევანი და წმინდა მარი და ანი<sup>2</sup>  
და უციხო<sup>3</sup> იგი ბიჭნი<sup>4</sup> და გარნი  
და დვინი დედაქალაქი, გარდმა-  
ნი, განძაკი, ქალაქი ჩარექი,  
შამქორი, შაქი, ბარდა, ჩარაბერ-  
დი. დაიპყრეს რიცხვსა ექვესას  
სამეოცას<sup>5</sup> სიუნისა ოროტნი,  
ბოროლანი, ბლენი<sup>6</sup> და ბარგუ-  
შატი.

ხოლო უკეთუმცა სხვასა და  
სხვასა რიცხვსა აღებულ იქმნა  
იგი, გარნა სრულიად ამათ დაიპ-  
ყრეს, და ქვეყანა იგი სომხი-  
თისა და ძენი მათნი თავისუფალ  
ყვნეს მწარისა მისგან მონაგები-  
სა თურქთასა.

31. ხოლო ელიუშმ, რომელი  
დაშთომილ იყო სახლსა ათაბა-

A: 1 ვალაქერტი. 2 ზანი. 3 სომხურ ტექსტშია „ანეხებუ“, რაც=უციხო.  
4 ლიბერტი. 5 იქაქი. 6 კ. ი. 1211 (660+551) წ. 7 ზოეროტი. 8 ბლაი.  
B: 1 მწევერტამდის. 2 ალაშეირტი. 3 ლუნა. 4 ჩალაბირდი. 5 ბაზენი. 6 ბარ-  
გეშიდი.

და დაადგინა ზაქარია ამინი სპა-  
სალრად, მოადგილედ ორტადეცაცული  
ასთა, და მისცა მას სამკუშებულებული  
ლი მათი ლორე, ხოლო მას  
მისი ივანე დაადგინა ათაბაგად  
სასომხითოსა და საქართველო-  
სა. რომელთაც მრავლითა ღვა-  
წლითა თვისითა გამოიხსნეს ქუ-  
ყანა სპარსთაგან. აიღეს არანი-  
დამ, რომელი არს ქალაქი ერთი  
შცირისა სომხითისა, ვიდრე მცი-  
რო ბასენამდის და ბარკუშატი-  
დამ მარნავერტამდის<sup>1</sup>, აიღეს  
ყარსი, ვალარშაკერტი, რომელ-  
სა ეწოდება, აწცა ვალ-  
შეკერტი<sup>2</sup>, კალზევანი, მარი, ანის  
ქალაქი, ანბერდი, ბიჭნი, გარნი,  
დვინი<sup>3</sup>, კალზევანი, ქალაქი<sup>4</sup>,  
განძაკი, რომელი არს  
განჯა, ჰერი, შამქორი შა-  
ქი, რომელი ზემორე  
ეს თქვით, ბარდა და ჩარა-  
ბერდი<sup>5</sup>. ხოლო აიღეს წელსა  
უფლისასა 1211 სივნელთ  
ქუყანა (ჩს ია): ოროტნი, ბარ-  
და, ბლენი<sup>6</sup>, ბარკუშატი<sup>7</sup>, თუმ-  
ცა სხვასა და სხვას რიცხვში  
აიღეს, გარნა ერთობით  
ამათ განათავისუფლეს მწარი-  
სა მონობისაგან უსჯულოთასა,

31. ხოლო ელიუშმ, რომელი  
დაშთა სახლსა შინა ელიტი

გისასა, პოვა მოწყვალება და სუკარული მრავალი მისგან, ომელ შვილთა თვისთა ფალავანისა და ყიზილ ასლანისა პატივსა და დიდებასა მაღალსა უმეტეს მიანიჭებდა ყოველთა დიდ-დიდთა მთავართა და მხნეთა ქვეყანისა სპარსეთისათა. და მისცა მას ათაბაგმან დიდი იგი ქალაქი ჰამიანი და უწოდა მან ძედ თვრისად და დაუმტკიცა მას მამული წიგნითა ქეშმარიტითა და განცხადებულითა. და დაიღვინა მან ამირად და მთავრად დიდად ქალაქისა დედქალაქსა სპარსოსა რეოს, ისპაპანს, ყაზვინს წელსა ათორმეტსა. და შეაკირვებდა მას სულტანი სიძეობად თვისად მოღებად დიდსა ნაწილსა ქვეყანისასა და დატევებად სჯულსა ქრისტესსა.

32. ხოლო ელიკუმ დალაცათუ ყრმა იყო ჰასაყითა, გარნა სავსე იყო უზომოსა სიბრძნითა და არა გზა-სცემდა ადგილსა სიტყვათა მისთასა და არცა მოუქლურდებოდა სარწმუნოებისაგან, ამისთვის შეაიწრებდენ მას სპარსი, ხოლო მას შეეშინა სარწმუნოებისათვის, რათა არა მძლე უყონ მას, ითხოვდა მიხეხით ადგილსა ნაჩევანისა სოფლისასა და იტყოდა: „ქვეყანა იგი მანლობელ არს ქართლისა და მუნით



კოზ ათაბაგისასა, მიიღო მან მის მიერ სიყუარე უწინეთებულები და მოწილეობა შრავა-ლი და ფრიად ესაყუას ლებოდენ მას ძენი ელიტკონისნი ფალავან და ყიზილაბანი. შემდგომად მისცა მას ათაბაგმან დიდი ქალაქი იგი ჰამიანი და ძედ თვრისად უკმობდა მას და დაუმტკიცა მას ქალაქი იგი სამკუდროდ და მამეულად სიგლითა და დაადგინა იგი ამირად და ქალაქ-მთავრად დედქალაქთა მათ სპარსეთისათა რეება, ისპაპანისა და ყაზვინისა, წელსა ათორმეტსა. აწვევდა სულთანა. აწ უხებდა და ეტყოდა: „შეიქენ სიძე ჩემი და მოგცე შენ უდიდესი ნაწილი ქვეყანისა ჩემისა. ხოლო შენ დაუტევე სარწმუნოება ქრისტესი“.

32. ესე ელაკუმ თუმცა ყრმა იყო ჰასაყითა. არამედ აღსავსე იყო მეცნიერებითა და სიბრძნითა, არა ურწმუნებდა, არა მოაკლდებოდა სარწმუნოებისაგან. ამისათვის შეშინებულმან სპარსთაგან და შეწუხებულმან სარწმუნოებისათვის მიზეზითა რომლითამეგ გამოსთხოვა ალავი ნახჩევანსა შინა და ჰსთქვა: „ქუეყანა იგი ახლო არს საქართულოსად და უადვილეს არს მუნით მოკითხვა სისხლსა მამათა

A: 1 ამინი.

B: 1 ყაზლასან.

აღვილ არს ჩემდა შური სისხლისა მამათა ჩემთა და ძმათასა“.

ხოლო თანა-სათნო იყო ათაბაგი და მისცა მას ციხე ერნგავისა! და ჰაუკავანი და ქალასრია, ნახჩევანი და სხვა მრავალი გასაგებელი და დაადგინა საქმისა მცყრობელად და თავად ძლიერთა ამიერ კერძოთა.

33. ხოლო მან განტყო ჸვეყანა ორთა ძეთა თვისთა და მისცა ხორისანი<sup>2</sup> და ორაყი და ქვემო ნაწილი სპარსეთისა ყიზილ ასლანს, რომელი ითარგმანების წითელი ლომი. ხოლო ზემო კერძო სპარსეთისა და ადარბადაგანი და ორანი და ნახჩევანი მისცა ფალავანსა ამისთვის, რამეთუ კელთა მისთა შთაუდვა კელი ელიკუმისი და ვედრებდა რქმით, ვითარმედ: „შენ იყავ მამა მაგისი და ეგე იყოს ტედ შენდა“. და წარგზავნა იგი მრავლითა სიმრიდრითა და საჩინოთა დიდებითა ქალაქსა ნახჩევანსა.

ხოლო მოვიდა ელიკუმ, დაეუფლა ჸვეყანასა მას და მოუწოდა წინაშე თვისსა ეპისკოპოზისა სკინისასა მამა სტეფანეს, ძესა მამა გრიგოლისასა, და დიდითა სიხარულითა შეიწყნარა იგი და დავარდა წინაშე მისსა და ალუვარებდა ზედა გარდახდომილთა თვისთა დიდითა სინანულითა და

და ძმათა მისთასა“. ამისთვის ინება ათაბაგმან და მისცა მეტად ციხე ერნგავისა, რ ზემო უფლებით არს ალინგა კაპუკი და ქარგასლა ნახჩევანისა და სხვა მრავალი საბორვარი, და დაადგინა იგი ძალომთავრად მჯარესა მას.

33. რამეთუ გაეყო ჸუეყანა თუსი ძეთა თვისთათვს და მიეცა ხორისანი, არაყი და ქუემოთი კერძო სპარსეთისა ყიზილ ასლანისათვის, ხოლო ზემორე მჯარე სპარსეთისა, აღრბადაგანი<sup>1</sup> გსე იგი ადრიბეჭ ანი, ირანი, რომელი ზემორე ვს თკა და ნახჩევანი მიეცა ფალავანისთვის. ამისთვის იძყრა კელი ამისი და მისცა კელსა ელიკუმს, შეუთვალა მას: „შენ ექმენ მაგას მამად და ეგე იყოს შეკილი შენდა“ და წარგზავნა იგი მრავლითა უნგითა<sup>2</sup> და ჩინებულითა დიდებითა ქალაქსა მას ნახჩევანს. მაშინ მოვიდა ელიკუმ და დაიძყრა საზღუარი იგი, უპმო ეპისკოპოსსა სივნელთასა, უფალსა სტეფანეს, ძესა უფლისა გრიგოლისსა, დიდისა მხიარულებითა მიიღო იგი, დაეცა წინაშე მისსა და აღიარნა შეცოდებანი თვისი დიდითა შენანებითა და სოხოვდა მას სჭულსა და

A: 1 ეირინგაქსა. 2 ხვარასანი.

B: 1 აღრაბადანი. 2 „უნგითა“ ჩამატებულია კიდეზე.

**A**

ითხოვდა მისგან სარწმუნოებასა. ხოლო აზიარა მან სჯულისაებრ და დასდგა ხელი მას ზედა და აკურთხა იგი.

**B**


დასდგა თავსა მისსა კელი და  
აკურთხა იგი. ურთიერთები  
გიგანტური მიერთება

უყ საყდარი სივნიერისა და ტა-  
თევისა, და დაიპყრა ელეგიქი და  
ყოველი სოფელი ვაივისა, კე-  
ვისა ფოლაპანებისა<sup>3</sup>, ურწი<sup>4</sup> და ვე-  
ზი ქვეთ თვისით ერერონისა და  
კოტაიქი<sup>5</sup> და გელაქუნი, მრავალ-  
ნი შენნი და მონასტერნი, და  
განათავისუფლნა ეკლესიანი და  
მღვდელნი მთავრობითა თვისითა  
და ყოველი ქვეყანა სომხითისა.  
და აღაშენნა მონასტერნი და ყო-

58. რამეთუ პირველად კუჭუყოცელი  
იყო დაპყრობილი, ვითარების პირველი  
ნა, რომელი იყო ასლანისგან და  
მეორედ მეფისა მიერ ბოძებუ-  
ლი, რომელიცა უდიდესითა ფა-  
სითა, მანათებელითა გუპარითა,  
მიიღო. ხოლო მიიღოცა ბრძა-  
ნება განთავისუფლებისა ეპკლე-  
სითა სომხეთა და მღვდელთა  
და ეგრეთ დიდითა პატივითა  
გან ძლიერ დებოდა კარის  
სა მის მეფისა მიერ. ხოლო მო-  
ვიდა საჩქაროთ ქუეყანისა მმას  
და გამოგვიბრწყინვა მშვდობა;  
ეითარება მშე საშუალსა ლამისა-  
სა, პირველად იხილა ბაჩუ  
წო ძნი და ქვეანი მთავარნი  
და მათ მიერცა მიიღო შემწეობა,  
აილო და დაიხსნა ქუეყანა ორო-  
ტნისა, ვიდრე ბლენისა! და ბო-  
როტნისა საზღვრადმდე, სადაცა  
იყო აოჯრებულ საყდარი, გი-  
ნა ტახტი სივნიერი ტაოე-  
ვი<sup>6</sup>, აილოცა ელეგიქი, უღლა-  
ჰანქი, ურწი, ვეღი<sup>7</sup> ვიდრე ერე-  
რონადმდე და კოტაიქი<sup>8</sup>, რო-  
მე ლ ს ა ს ხ ე ა თ ა ე ნ ი თ ყირ-  
ხბულის უხმობენ (ესე იგი  
ორმოცი მდინარე და  
არსცა მუნ მდინარე და  
წყარო ორმოცი) და  
ესე არს მამული ერე-  
ვნისა ვიდრე გელაქუნა-  
მდის. დაიპყრაცა მრავალნი სო-

A: 1 ვაროტანისა. 2 ბლენისა. 3 ფოშანისა. 4 ზურწი. 5 კოტაისი.

B: 1 ბლენისა. 2 ტაოევი. 3 ფოშაპანი, ორწი, ვიტევი. 4 კოტაიქი ვოტისნი.  
5 გოლექუნამდის.

ველნი მოოხრებულნი ეკლესიანი, და იქმნა მრავალი სიხარული. მღვდელთა და ყოველთა ქრისტიანეთა, რამეთუ საყდარი სივნიერისა მოოხრებულ იყო მრავალი უამითგან და მოხუცებულ იყო ეპისკოპოსი მამა იოვანე და ძმისწული მისი უფალი მამა პეტრი<sup>1</sup>. და ბრძანებითა ცოლისა ბაჩუისათა იწყო შენებად მონასტრისა, რომელ იყო დაგლაზაკებულ. აშ რომელ ესოდენითა მკვიდრობითა იყო პირველ და სახლიცა ერთი არა დაშოთომილ იყო ეკლესიისა მის, რომელ ესრეთ მევიდრ ყო თვით სუმბატ. და იწყო ყოვლითა ღონითა თავს-დებად, შენებად და შემკბად ეკლესიისა და მიტაცებულნი სამკვიდრონი უუუნ-აქცივნა.

ხოლო ვიდრე ესრეთ იყო და შემდგომად კეთილისა მოძულებან ეშმაქმან იწყო შთაგდებად შურისა და აღძრვად სახლისა ავაგისა და დიდ-დიდთა ქართველთასა წინა-აღმდგომად სუმბატისა, რამეთუ თვით ავაგ აღსრულებულ იყო რიცხვა ეჭვსას ოთხმეოცდათოცხრამეტსა<sup>2</sup> და ცოლისა მისსა გვანცას აქვნდა ასული ერთი, სახელით ხოშაქ, და მთავრობდა ყოველსა ზედა სამთავროსა თვისსა. და მისთვის შექმნენ ტიოზნისა არღუნისა<sup>3</sup> წი-



ფელნი და დაბანი და განათავსუფლნა ეკლესიანი უფლისწერული ლონი სამთავროსა შესისა ყოვლისა სომხითისა. ამანვე აღაშენნა მონასტერი და მრავალნი იავარქმნილნი ეკლესიანი და მრავალი მხიარულება მიუღინა ქრისტიანეთა, ამეამად საყდარი სივნიელთა<sup>4</sup> აღრიც უამითგან იყო ახხრებული და მოხუცებულ იყო ეპისკოპოზი მათი ითანე და ძმისწულსა მისსა უფალს მამამთავარსა ბრძანებითა ბაჩუნოინის ცოლისათა ეწყო შენება მონასტრისა და ეგრეთვე სიგლაზაკესა შინა იყო. ეგოდენთა სამკვდრებელთაგან არცა ერთი სახლი იყო, რომელი დაიმკუდრა სუმბატმან, და მოჰყვა შენებასა მისსა ყოვლისა ღუაწლითა და ცდილობდა გამდიდრებასა და წარტაცებულისა სამკვდრებელისა მისისა კუალად განაპლებასა. ხოლო ოდეს ეს ესრეთ ეშყობოდა, ამეამად კეთილისა მოძულებან ეშმაქმან იწყო აღძრვა შურისა და აამღრია სახლი ავაგძისი და შეაშფოთნა დიდებულები საქართველოსანი. რამეთუ ავაგი აღსრულებულ იყო წელსა ჩინენ<sup>5</sup>. და ფერცხლა მისსა, ესე იგი ცოლსა გვანცასა<sup>6</sup>, ჰელა ასული ერთი, ხოშაქ წოდებული, და იგი უფლებდა ყო-

A: 1 „მამა პეტრი“-ს შესატყვისად სომხურ ტექსტშია „ნაერაպხო“, რაც „მამამთავარს“ ნიშნავს. 2 კ. ი. 1250 (699+551) წ. 3 არყვნისა.

B: 1 სევნელთა. 2 ჩს-ნ=1250 წ. 3 გონძასა.

**A**

ნაშე, რომელი იყო ვაზირი და პასხაზი, დადგინებული დიდისა ყაენისა ზედა ყოვლისა ქვეყანისა. რომელი იყო მბრძანებელი ყოვლავე და მთავარი ხარჯსა სამეცნიეროსა, რომელმან აღწერა ყოველი სოფელი რიცხვსა შვიდას სამსა!

ხოლო მრავლითა ქრთამითა წარადოდათ წარწყმენდად სუჩბატისა და არარა მეკიდრ ყოფად ქვეყანისა თვისსა, რომელ ვერა კადნიერ იყო არღუნ.

59. ხოლო არამედ მისტაცეს სუმბატს მრავალნი ადგილნი, დაშოთომილთა მათ მოახსრებდენ, რომლისა ჯერისათვის იქმნა წარსელა მისი კუალად მანგუ ყაენისა თანა. და აღიყვანა სახლისაგან ასლან ნოინისა შემწე თვისი და წარვიდა ძლიერებითა ღვთისათა. ხოლო პირველად წარსელისა მისისა მიუწოდათ არღუნისა კარსა, რამეთუ შეესმინათ იგი რომლისათვისმე, ხოლო ეითარცა მიიწია იგი მუნ, იყო შეცყრბილ იგი. და სევინჯბეგ<sup>2</sup> სხვა ვინმე მის თანა, ხოლო შარაფადინ მდივანსა ქვეყანისა ამისსა ენება მოკვლა არღუნისა და თვით ადგილსა მისსა და სევინჯბეგსა<sup>2</sup>, იგი მტერ იყო სუმბატისა, და

**B**


ველსა სამთავროსა მისსა. მიისა თვს შეკრბენ ტფილისსა შინაგანი დუნთან, რომელი იყო ვაზირი მარტინ დადგინებული დიდის ხანისა მიერ ყოველსა ქვეყანისა ზედა, ესე იგი ბრძანებისა გამცემი ყოველთა ზედა და მფლობელი სამეფოსა ხარჯისა და დიდისა სამდივნოსი, რომელმან აღწერა ყოველი ქვეყანა წელსა მაცხოვრისსა ჩს-ნდ<sup>1</sup> და მრავლითა ქრთამითა სთხოვდენ წარწყმედასა სუმბათისასა და არა დამკვდრებასა მამულისა მისისასა, რომელი ვერა იკადნიერა არღუნმან.

59 არამედ წარულნეს სუმბატისა მრავალნი ადგილი და დანაშთომსა ოდესმე წარსტაცებდენ, რომლისათვს საჭირო ექმნა მას წარსულა კუალად მანგუ ხანთან. შეიწია კაცნი ასლანისაგან და წარვიდა წარმართებითა ღმრთისათა. გარნა უწინარეს ამის წარსულისასა დაებარებინათ არღუნი შებეზღებითა რომლითამე. და ოდეს მივიდა ესე, იყო იგი მუნ საპყრობილესა შინა. და სევინჯბეგ წოდებულს დიდებულთაგან ერთსა და შარაფედინ მდივანსა ამა ქვეყანისასა ენებათ სიკუდილი არღუნისა, რათა თავადნი მოსულ იყუნენ მოადგილედ მისათ. ესე სევინჯბეგ მტერი იყო სუმბათისაცა, ენება სიკუდილიცა

A: 1 ე .o. 1254 (703+551) წ. 2 ინჯებეგსა.

B: 1 ჩს-ნდ=1254 წ.



A

ენება მოკვლა ზაკვით იგი. ხოლო იგი რა მოიწია პალატად, წარდგა პირისპირ მანგუ ყაენისა.

ხოლო ვითარცა იხილა მან, იცნა იგი, რამეთუ ფრიად უყვარდა მას სუმბატ და ჩუამდა იგი. მიუწოდა წინაშე თვისსა და პრქვა: „მოვედ, მონიშატეო მეფისაო, და მაცნობე ვითარებან ქვეყანისა მც და სპისა ჩემისა“. ხოლო მან წესიერად მიუთხრა მას. და კითხა არღუნისათვის, თუ ვითარ ემძლავრა ქვეყანასა და ანუ ვითარ დამოკიდებდა მღვდელთა და თუ ვითარ მოეკლა ერთი მღვდელთაგანი ვინმე, ვითარცა გულასხმა-ეყო შემასმენელთაგან. მიუგო სუმბატ და განამართლებდა არღუნსა და მტყუარ ყოფდა ყოველთა შემასმენელთა. რომლისათვის განრისხდა მეფე დიდ-დიდთა თვისთა ზედა, რასათვის არა მართლიად გამოიკვლიეს და მყის ბრძანა, რათ ბრჭობა ყონ და გამოიკვლიონ სუმბატითურთ, რომელ მსწრაფლ ყვეს ესე და მტყუეარ ჰყო სუმბატ იგინი მასვე უამსა. და მოქლეს სევინჯი და შარაფედინ და გამოიყვანეს არღუნი საპყრობილით და წარადგინეს წინაშე მეფისა.

ხოლო მეფემან დიდებულ ყოდა მისცა პირველი მნეობა მნეობად და დაუჭირა ჭელი სუმბატის და დავედრა მას და ბრძანა

მისი. ხოლო იგი ოშესმუჩრდები პალატა შინა, მყისეულ გარემოდ და მანგუ ყაენთან. ხოლო მან რა იხილა, ჰსცნა იგი და ვანათვან უყვარდა იგი და ერწმუნებოდა ფრიად, თუსდა მიუწოდა და პრქვა: „სამეფოსა მოვედ და მაუწყე მე ყოველი ვითარება იმა ქუეყანისა და სამჭედროთა ჩემთა“. და მან იწყო რიგით მოთხრობა. შემდგომად ჰყითხა უკეთუ ვითარ იავარპყო არღუნმან ქუეყანა იგი და ვითარ დამოკიდა მღუდელნი და მოკლა ერთი ახათვანი. მიუგო სუმბატ და განამართლა არღუნი და ყოვლითურთ გააცრუვა შემასმენელნი. ამისთვის გაუწყრა მეფე დიდებულთა თვსთა და პრქვა: „რა-სათვს არა სიმართლით გამოეძიებთ?“ და ბრძანა ყოფა სამსჯავროსა სამართლისა, რომელიცა მოპქდა დღესა მეორესა. ბრძანა მეფემან და სუმბათ წარმოადგინეს და შექმნეს თქმობა. ხოლო განაცრუვნა იგინი სუმბატმან. და მსწრაფლად მოაკუდინეს სევინჯბეგ და შარაფედინ მდივანი და არღუნი გამოიყუანეს საპყრობილისაგნ და მიიყუანეს წინაშე მეფისა და პატივით მიიღო იგი მეფემან მიცემითა პირველისა საკელოსა თვისისა. და იპყრა ჭელი სუმბატისა, შთააბარა მას და პრქვა: „დაუწერინე წიგნი წყალობისა, რათამცა უმ-

A: 1 არყვნისათვის.



B

ტკიცეს შეიქმნას მამული შეცვლული სამკუდრებელად მაგისა ჭრის შეცვლული თესავთა მაგიცთა“. და ეგრეთ დიდ-დიდითა გამარჯვებით გამოემართა მუნიც არღუნითურთ და მოვიღნენ ქუეყანისა ამის. გარნა დიდისა ლუაწლისათვეს, რომელი დასდგა მას სუმბატ. არა უწყოდა არღუნმან, უკეთ ვითარითა სიყვარულითა შეცვლული სუმბატს. ხოლო მოსვლისათვის სუმბატისა სირცხვილეულ იქმნენ ყოველნიერ მტერნი და წინააღმდეგომნი მისნი, რომელ ეუფლა ყოველთა სოფელთა და დაბათა თვისთა.

ხოლო შემდგომად ნებსით სიყვარულისათვის და ერთობისა, რომელთათვის-მე უკუნ-სცა და მიანიჭა აქა და იქი სოფელი და ავარაკნი და სხვანი განიმტკიცნა სამკუდრონი მამული ნათესავისა და ძეთა თვისთანი.

A: 1 გ. ი. 1251 (700+551) წ. 2 გ. ი. 1256(705+551) წ.  
B: 1 ჩს-ნა=1251 წ. 2 ჩს-ნა=1256 წ. 3 პულაზუ ყადნისა] სულაიხანისა.

60. ხოლო პირველ წარსელი-სასუმბატისა მანგუ ყაენისა წინაშე შეიქმნა რიცხვი შვიდისი. ხოლო მეორე — შვიდის ხუთი<sup>2</sup>. ესე დიდითა დიდებითა პატიცებულ იქმნა თვალთა წინაშე ჰულაგუ ყაენისა და დაადგინა მრავალთა ზედა საქმეთა თვისთა. ამან აღაშენა საკვირველი იგი კარის-ბჭე აქლის მონასტრისა სასაფლაოსა

60. ხოლო პირველი წარსელვა სუმბატისა მანგუ ყაენთან იქმნა წელსა უფლისასა ჩს-ნა<sup>1</sup>. და მეორე წარსელვა — წელსა ჩს-ნე<sup>2</sup>. ესე დიდითა დიდებითა პატიცებული და შეცვარებულ იქმნა ჰულაგუ ყაენისა<sup>3</sup> მიერ და დაადგინა მან იგი მრავალთა საქმეთა თვისთა ზედა. ამან აღაშენა საკურველად ქმნილი სამლოცვე-

A: 1 გ. ი. 1251 (700+551) წ. 2 გ. ი. 1256(705+551) წ.

B: 1 ჩს-ნა=1251 წ. 2 ჩს-ნა=1256 წ. 3 პულაზუ ყადნისა] სულაიხანისა.

**B**

ლო ერთი ნორაგანსა შინა, კსეჭი  
იგი არს მონა უწყებულებები  
ა ა ლ ს ა შინა, სასაფლაო-  
სა თვისა ზედა. და ჰყო მუნ  
მრავალი წარმატებანი და გა-  
ნამდიდრა იგი და შეამყო მყქლე-  
სია იგი და შესწირა სოფელი  
და ვენაცინი. ვითარცა ზემორე  
ესთქუთ, წარვიდა ესე ბასენს  
ბრძანებითა ჰულაგუ ყაენისათა  
რჩეულთა ძელთათვს, რათა აღა-  
შენებდენ დიდსა სამეფოსა პა-  
ლატსა მინდორსა მას გარნისა-  
სა. რომელს ალატს უჭრობენ.  
მუნით წარვიდა მონასტერსა თა-  
თულისასა. მრავლითა სახიდ-  
ლითა და დიდითა ლვაწლითა  
აიღო ნაწილი ერთი თავისა მიერ  
წმიდისა გრიგოლისა, განმანათ-  
ლებელისა ჩვენისა, რამე-  
თუ მუნ იყო კერძო  
თავისა მისისა და მოიღო თხემი  
წმიდისა გრიგოლისი საკვირველთ-  
მოქმედისა, რომელი მიღებულ  
იყო და შეკრებულ მუნ. ხოლო  
შემდგომად გაგიკ, მეფემან ბაგ-  
რატიონმან, დადგა დაცვად უა-  
მისათვის ლელვაგვემულებათასა.  
ხოლო მიიღო მიუთხრობელი სა-  
უნჯე იგი საღმრთო და შეამყო ოქ-  
როთა და ვეცხლითა საფუძველი  
იგი და მცველი, დაამკვიდრა მა-  
ლალი საქადაგო იგი აღგილსა ახ-  
ლისა მონასტრისასა და მისცა  
შემყობად საზომსა თავადისა მის  
ძელისა ჭეშმარიტისასა აქროსა-  
გან წმიდისა სახედ სარკმელისა  
ქონებითა ორისა ბჭისათა და და-  
წერა ზურგით კერძო მოსახსენე-  
ბელი თვისი.

61. ხოლო მათ დღეთა შინა  
მოკვდა ძმა მისი შეენიერებავი-

61. მათ დღეთა შინა აღესრუ-  
ლა ძმა ამისი, შეენიერი ყუავი

A: 1 თაოილუისა.

## A

ლოვანი ოოვნე და დასვეს ელი-  
კუმის თანა, რომელსა დაშთა  
შეილი ერთი, კეთილად აღმოცე-  
ნებული, ლიპარიტ სახელდე-  
ბული. ხოლო შემდგომად მცი-  
რებდა დღეთა მოკვდა სხვა იგი  
ძა, მენე სპარაზენი<sup>1</sup> ფახრადუ-  
ლა<sup>2</sup> და დაიდვა მათ თანა. ხოლო  
ძისწული მათი ბირთველ წარ-  
გადა კევსა ჰულაგუსასა ბრძო-  
ლად ბერქა ყაუნისასა, ველსა ხა-  
ზართასა, რომელსა აშ ყივჩაყად  
უწოდენ, დიდისა მის თანა მდინა-  
რისა, რომელსა თერგად სახელს-  
სდებენ. და მოკლეს იგი ბრძო-  
ლასა მას შინა რიცხვსა შვიდას  
ათსა<sup>3</sup>.

ხოლო შემდგომად მათსა გარ-  
დაიცვალა ყოვლად კურთხეული  
დედა მათი ასფარინ რიცხვსა შვი-  
დას ათორმეტსა<sup>4</sup> და დაიდვა ძე-  
თა თანა თვისთა.

ხოლო დაუშობოლა სუმბატს  
შემწე ერთი, უმრწევესი მა თვი-  
სი ტარსაიჭი, რომელი იყო კა-  
ცი ძლიერი და მებრძოლი და  
წარმართებულ ყოველთა საქმეთა  
ზედა. ესე იყო კეთილმსახურ  
და ფრიად ღმრთისმოყვარე, რო-  
მელსა მოყვანა ცოლად თვისად  
ისმაიტელთაგანი, ასული უფლი-  
სა სივნეოთამა არუზ ხათუნი,  
რომელი იქმნა ქრისტიანე და იყო

## B



ლი ივანე, და დაიდვა ულიკ-  
მისა თანა. ხოლო დაშეგუმუშელე  
ძე ერთი კეთილი ნერგი, რო-  
მელსა ეწოდებოლა ლიპარიტ და  
შემდგომად მცირეთა დღეთა მო-  
კუდა, და მეორეცა ძმა მისი მენე  
მებრძოლი იგი ფახრადული<sup>5</sup>, და  
იგიცა მოკუდა, დაეფლა მათ თა-  
ნა. ხოლო ძისწული ამათი ბირ-  
თველ გაჰყვა ჭარსა ჰულაგუ ყა-  
უნისა საბრძოლად ბერქა ხანისა,  
მინდორსა მას ხაზართასა, რო-  
მელსა აშ ყივჩაყად უქმბენ, და  
მდინარისა მის სიახლოეს, რო-  
მელსა აშ თერგს უწოდებენ, და  
მოკლეს ბირთველ მუნ ომში,  
რიცხუსა მა ცხოვრისასა ჩს-  
ჩს-ჩა<sup>6</sup>. ხოლო ამისა შემდგო-  
მად მიიცუალა ყოვლად კურ-  
თეული დედა ამათი ასფარი რი-  
ცხვსა ჩს-ჩგ<sup>7</sup> და დაეფლა ძეთა  
თუსთა თანა. ხოლო დაშთა სუმ-  
ბატს შემწედ მხოლოდ უმრწევე-  
სი ძმა თვისი ტარსაიჭი, რომელი  
იყო კაცი ძლიერი და მეომარი და  
მარჯვე ყოველსა საქმესა შინა და  
იყო კეთილმსახური და ფრიად  
ღმრთისმოყვარე, რომელსა შე-  
ერთო ცოლად წართმეული ის-  
მალიანთაგან ასული სივნიელთ  
მეპატრონისა, როშელსა  
უ ხმობდენ არუზ ხათუნი,  
რომელი გაქრისტიანდა და აღივ-

A: 1 „სპარაზენის“ შესატყვისად სომხურ ტექსტშია „սպაռազէნն“. რაც  
ნიშნავს შეიარაღებულს. 2 ფახრადოლ. 3 ე. ი. 1261 (710+551) წ. 4 ე. ი. 1263  
(712+551) წ. 5 ზარეზ ხანებ.

B: 1 ფახრატოლან. 2 ჩს-ჩა=1261 წ. 3 ასპან. 4 ჩს-ჩგ=1263 წ. 5 ზარუს.

## A

სავსე სარწმუნოებითა და მო-  
შიში ღმრთისა. რომლისაგან  
იშვნეს სამნი ძენი: ელიუმ,  
სტეფანე, რომელ იქმნა ეპისკო-  
პოს, და ფახრადულან. და უფლე-  
ბდა ტარსისკე კერძოსა ოროტნი-  
სასა. ამან შეამკო ეკლესია დი-  
დი იგი ტაოევისა, სამსახურე-  
ბელნი და შესამოსელნი შვენი-  
ერნი შეწირნა წმინდასა მას ეკ-  
ლესისა ვალინჯისასა, რომლი-  
სა მიხმულ იყო სამკვიდრებელი  
თვისუჟ პარეისი<sup>1</sup> საზღვრით თვი-  
სით და ცური საზღვრით თვი-  
სით და კელითა თვისითა და-  
ნერგულნი ენავნი სამდელოვან-  
ნი და ქეთივანქი<sup>2</sup> საზღვრითურთ  
თვისით. და დაწერა ქვასა ზედა  
მოსახსენებელი, სვეტსა ზედა  
სამხრით კერძოსა, რომელ იყო  
ესრეთ სახედ: „ესე წიგნი მოსახ-  
სენებელი და შეუცვალებელად  
ალქაროცელი იყავნ ტარსიაკისა-  
თვის მთავართ-მთავრისა, ძისა  
დიდისა ლიპარიტისა, ძმისა სუმბა-  
ტისა, დიდისა მის მთავრისა, კერ-  
ძოთა-მცყრობელისა, ამის მიწეზი-  
სთვის, რომელ იყო მთავარ სოფე-  
ლთა ამათ კარითაგან ბარგუშადისა  
ვიდრე საზღვრადმდე ბიჭნისა<sup>3</sup> შე-  
ვერთვე ტაოევის წმინდასა მოცი-  
ქულსა და მივეც ნაწილი სული-  
სა ჩემისა მეკიდრი აღნათქვამი  
ჩემი წმინდას ეკლესისა ოთხი  
სოფელნი, რომელთა გესმათ, ვი-

## B



სო სარწმუნოებითა უდიდესი ქალი  
თა ღმრთისათა, გირზე მოყვანილი  
ჰქონა ძენი სამნი: პირველი ელი-  
უმ, მეორე სტეფანე, რომელი  
იცხო ეპისკოპოსად და მესამე  
ფახრადულან. და ტარსიაკი უფ-  
ლებდა მფარეთა ოროდნისათა.  
ამან აღაშენა დიდი ეკლესია ტა-  
ოევისა კურითა და განძითა შუ-  
ენიერითა და მისცა ეკლესისა  
შის აღრით უამითაგან წარტაცე-  
ბული სამკვდრო მამული თვისი  
პარეისი<sup>1</sup> სამზღვ-  
რითა თვისითა თვისითა, ცური<sup>2</sup>  
სამზღვრითა თვისითა, ხოთი სა-  
მზღვრითა თვისითა თვისითა,  
ხოთი სამზღვრითა თვისითა  
თვისითა ნაშენი  
ენახი და ქეთივანქი<sup>3</sup> სამზღვ-  
რითა თვისითა და დაწერა ძეგლი,  
რომელი იყო სამხრეთის კერძო  
მოსახსენებელად თვისად, რო-  
მელსა აქუნდა მაგალითი ესე: „ქ.  
ესე ნაწილი მოსახსენებელთა  
ჩემთა და ძეგლი აუხოცელი დავ-  
სწერე მე ტარსიაკ მთავართ-მთა-  
ვარმან, ძემან დიდისა ლიპარი-  
ტისა, ძმისა სუმბატისა, დიდისა  
მთავრისა. კერძოთ-მთავრისა  
ამა მკრისამან, რომელი არს  
მფლობელი ამა კერძოთა კარი-  
დამ ბარვეშატისა<sup>4</sup> ბიჭნის<sup>5</sup> სამ-  
ზღვრადმდე ესრეთ, რომელ შე-  
ერთებულ ვიქმენ მე ტაოევისა  
წმიდასა მოციქულსა თანა და მი-  
ვეც სულის კერძი ჩემი, რომ-  
ლისაცა სადაცე ვარ,

A: 1 პარ. 2 ფიშროისა.

B: 1 პარეს. 2 ცორი. 3 ქოთავანი. 4 ბაგროშატისა. 5 ბენის.

A

თარმედ ძველით უამითგან ყოფილ ას მცენიდრ ამისა შინქერი და ხოტნავანი საზღვრით თვისით. მთით და ველით და სამდელოთ, და ესე კელითა ჩემითა ღასტული ვენახი და ცური საზღვრით თვისით, მთით და ველით და ჰარუესი საზღვრით თვისითურთ, რომლისა ნახევარი საუნგისა ფასითა მომელო და ბოროტი და ქეთივანქი საზღვრით თვისით. და ოდგალისა ამის ეპისკოპოსინი უფალმან მამა პეტიმ და მამა სოლომონ დავვიმტკიცეს ჩვენ სახელებელი და განგვიწესეს ჩვენ წირვანი წლითი წლად ერთგზის ორმეოცი: ათგზის წირვა განტაღებასა უფლისასა, ათგზის წირვა ოდგომებასა, ათგზის მიცვალებასა ყოვლად წმინდისასა და ათგზის საუფლოთა დღესაშაულთა, ოც დღე ჩემ ტატარუებისათვის, და ოც დღე ძმისა ჩემისა სუმბატისათვის.

B



ესე იგი სოფელი გრძელი გელი. გვესმოდა აღრუთ მუნიციპალიტეტი მთგან ყოფა ამის სამცდომოებისა და ესე იგი მიწერასა შინა ხოტნავანი სამზღვრითა თვისითა, მთითა და მინდვრითა, ხოთავეთსა შინა კელითა ჩვენითა ღანტერგილი ვენახი, ცური სამზღვრითა თვისითა, რომლისა ნახევარი მიყყიდნა ფასით, და ბოროტსა შინა ქეთივანქი სამზღვრითა თვისითა. ხოლო ეპისკოპოსითა ამა აღვილისათა უფალმან მაშამით ავარმან და უფალმან სოლომონმან განგრენესეს ჩვენ და დაგვიმტკიცეს წლითი წლადმდე ორმეოცი: (ი')<sup>3</sup> დღე უამსა გამოცხადებისასა, (ი'ე)<sup>4</sup> ოდგომებასა, (ი) — ღმრთისმშობლის დღე საწაულთა თანა და ათი საუფლოთა დღესასწაულთა შინა. ამისი განწესდა ოცი დღე მეტარსაიჭისათვს და ოცი დღე მისა ჩემისა სუმბატისათვს.

62. ხოლო არამედ შემდგომად ჩვენსა ანუ ჩვენთავანმან კანტე, ანუ უცხოთაგანმან, ანუ მთავარმან, ანუ მცყრბელთაგანმან ესე მტკიცე პაემანი და ლაურლეველი იძულებული შლად კელ-ყოს, ანუ სოფელინი ესე ანუ ვენაჯი ესე საყდრისა

62. აშ რომელმანცა შემდეგთა ჩვენთა უცხოთავან მთავართავან, გინა მოხელეთავან პელ-ჰიკონ შლად ამა მტკიცისა პაემანისასა ინებონ განქარვებად დაურლდე ევველისა ანდერძისა ამის, ანუ სოფელინი, გინა ვენაჯი წარსტაცის ეკლესიისა მას, ნაწილი

## A

ამისგან გამოკვებად განიჩრახონ, იყავნ ნაწილი მისი იუდისა და ჯვარსმეტლთა თანა და კაენისა თანა და სხვათა ბოროტისა-მოქმედთა მიიღოს პატიჟი და სამთა წმინდათა კრებათაგან შეჩვენებულ იყავნ.

ხოლო უკეთუ წარმართთაგან-მან უფალმან ვინე შესცვალოს და გამოკვებად კელ-ყოს, ლმრთისა და წინასწარმეტყველისა თვისისა აბეზარ იქმნეს და ეშმაკისა თანა ჯოჯოხეთად შთახდეს და სახლეულით და შვილითურთ მოფხრულ და ოლებულ იქმნეს, წმინდა თვისი არაშინდა ექმნეს და ათას-ათას-ათასჯერამცა შეჩვენებულ იქმნეს. აღიშერა რიცხვსა შვიდას ოცდასამსა, თვესა ნოენბერსა ათსამეტსა.

ხოლო არიან აღწერილისა ამის მოწამე მამა სარგის<sup>2</sup>, ახლისა მონასტრისა ეპისკოპოსი და სარგის, კლიტეტბყრობელი წმინდისა ეკლესიისა, და აზნაურთა ჩემთაგანი: ჰასან<sup>3</sup> კარაპეტის ძე, ოროტ<sup>4</sup> შაჰ, ლორის ძის ძე, მირან ნივერას ძე. დაემტეკიცოს ნებრთა ღვთისათა და ღმერთმან წარმართოს წმილისათვის ეკლესიისა სასოებითა ღვთისათა, მეტარსაიჭ კელით-წერილითა ჩემითა დავამტკიცე ძლვენი ესე.

ხოლო შემდგომად ჩემსა ძეთა ჩემთა, ანუ ბადიშთა, ანუ სხვათა-

## B



ლი მისი იუდამა და სუსათვის არის-მცემელთა თანა უკუმუნებელი უ კაენისა და ყოველთა ბოროტ-მოქმედთა მიიღოს და წმილითა კრებათაგან შეჩვენებულ იქმნას.

ხოლო უკეთუ თათარი მთავრობდეს და წარტაცება ინებოს ღმრთისაგან და თავისის ფელამ-ბრისაგან, ესე იგი მოციქულისაგან, გიმა წინას-წარმეტყველისაგან, შეჩვენებული ცყოს და ეშმაკთა თანა ჯოჯოხეთსა შინა შთახდეს, სახლითა და ძითა ახოცილ და ოლებულ იქმნას და თვისი ალალი ჰარამად შეეცეიალოს. ესე იგი მართალი, გინა წმიდა ბილწ ექმნას მას და ათი ათასი კიდევ ათასი ნალათი მას, რომელ არს შეჩვენება, გინა წყევე-ა-რის კვამაცხოვერისა ჩს-ოდი, თვესა ნოენბერსა იგ<sup>5</sup>. და ამა წერილისა მოწამე არს უფალი სარგის, ნორავანის ეპისკოპოსი და სარგის, კანდულაკი ეკალესიისა, ამის ჩემთა აზნაურთაგან კარაპეტაშვილი ჰასან<sup>3</sup>. ღმერთმან უბედინეროს ესე ეკლესიასა ამას სასოებითა ღმრთისათა. მეტარსაიჭ კელითა ჩემითა ალესწერე და დავამტკიცე შესაწირავი ესე: აშტერმართაცა შემდგომთა ჩემთა, შვილთა და შვილისშვილთა

A: 1 ე. ი. 1274 (723+551) წ. 2 სერგის. 3 ასან. 4 ვროტ.

B: 1 ჩს-ოდ=1274 წ. 2 იგ=13. 3 ასანა.

**A**

შე მთავართა სულიერისა ამის ჩენისა გამოკვებად კელ-ყოს და სასოებისა ჩენისა შლად და ჩენისა განსაზღვრებულისა დარღვევად ინებოს, სამას ათერამეტთა მამათ-მთავართაგან შეჩენებულ იყავნ ცოცხალი და მკვდარი და განკვეთილ და ოპოცილ იქმნეს ამას ცხოვრებასა და მერმესა მას, ამინ იყავნ“.

63. ხოლო სუმბატ შვილებულ იყო სახლსა ავაგისასა და ზრახვა ყვეს სხვათა მთავართა სიკვდილად მიცემა შორის ზღვასა გვანცისი ბრძანებითა ჰულაგუ ყაენისასა.

ხოლო თვით მთავრობდა ყოველსა სამთავროსა ავაგისასა, და მისცა ასული მისი ხოშაქი ცოლად დიდსა მდიდარსა, უფალსა სამსჯავროსასა, რომელსა აქვნდა კელითა-პყრობილად ყოვლისა ქვეყანისა უფლება აბალა ყაენისა, რომელ იწოდების მქონებელად დიდისა მის მატიანისა სამსჯავროსა რიცხვთა ათას ორმეტდათისა დუმანისა, (რომელ დუმანი ერთი არს ერთი ბევრი). და იგი იყო თავი სამსჯავროსა და ზედამდგომელ ყოველთა ზედა, ხოლო იყო ესე რიცხვსა შეიღიათშეიღმეტსა!

**B**


ჩემთაგან, ანუ სხვათ მთავართა კელ-ჰუნ განბნევად სულთა ჩელ-ჰუნ განბნევად სასოება ჩენი უნდა მოგემოგებული ეოს დარღვევითა განსაზღვრებულთა ჩენთა, სამას ათერამეტთა მამათაგან შეჩენებულ იქმნას უამსა სიცოცხლისასა და სიკუდილისასა, მოკუეთილ და მოსპობილ იქმნას ცხოვრებათა მისთა და განმზადებულთაგან, ამინ იყავნ, იყავნ“.

63. ხოლო სუმბატ მამხობელ ექმნა სახლსა ავაგისა, ზრახვა ჰუნ სხვათა მთავართა თანა და მოაშოვეს ზღვასა შინა გვანცა, ცოლი ავაგისი ჰულაგუ ყაენისა ბრძანებითა და იგი ჰულობდა ყოველსა სამფლობელოსა ავაგისასა, და მისცა ასული მისი ხოშაქ დიდსა ხოჭასა, საპიპ მდივანსა, რომელსა კელთ ებურა ყოველი ქუეყანა სამფლობელოსა აბალა ზანისა, რომლისათვის იტყვიან, დავთრითა მათითა კომლსა ასორმოცდათს დუმნასა (ერთი დუმნა ერთი ბევრი არის). და ესე იყო ყოველთა მდივანთ-უხუცესი და ზედამდეგი ყოველთა, რიცხუსა მაცხოვისა ჩი-ჟართ.

A: I გ. გ. 1268 (717+551) წ.

B: I გონია. 2 ჩს-დო=1269 წ.

64. ხოლო დიდი და კეთილი მსახური იგი მეცე, მპყრობელი ქვეყანისა, ფრიად თვალმგებელი ქრისტიანეთა, ჰულაგუ ყაენი მოკვდა რიცხვსა შვილასათსა-მცტისა! და მის თანა მოკვდა ყოვლად ქურთხეული ტონლუზ ხათუნ<sup>2</sup>, ცოლი მისი, სასიკვდი-ნეთა წამალთა მიერ მრავალო-ნიერისა საპიბ მდიდრისაგან. რო-მელი უწყის უფალმან, რამეთუ არარანი იყვნეს თვინიერ კეთილ-მსახურებისაგან კიდე, ვითარ კოსტანტინე და დედა მისი ელე-ნე, რომელთა იმეცეს წელსა რვასა. ხოლო დაჭდა აზგილსა მისსა ძე მისი აბალა, კაცი ძლიე-რი, კეთილი და მშვიდობის მყოფელი და მოყვარე ქრისტია-ნეთა კეთილ-მძლიერობით და გამარჯვებით წელსა ათვრამეტ-სა, და მოკვდა ბრძოლისა რომელ-თამესა ჰამიანს რიცხვსა შვილას-ოცდათერთმეტსა<sup>3</sup>.

65. ხოლო სუმბათ, უძეოდ მყოფმან, აღიყვანა შვილად ერთი ძმისწულისაგანი, ძე ტარსაგვისა და შვილად ჰყო თვისად და მისცა სწავლად წიგნისა და წესსა



64. ხოლო დიდი და კეთილი მსახური თვომპყრობელი მარტინი ქრისტიანეთი ჰულაგუ ხანი მოკვდა რიცხვსა ჩს-მდ. რომლისა თანა მიიცუალა ყოვ-ლად კურთხეული ტონლუზ ხა-თუნ<sup>2</sup>, ესე იგი დედო-ფალი, ცოლი მისი, რომელი მოწამლული იქმნენ მრავალისა მან-ქანების მეონებელის საპიბ ხო-ჯასაგან. უწყის უფალმან, არა ჰეონდათ განწუალება, არცა ნაკლულევანება კოსტან-ტინეს და ელენესგან კეთილმსა-ხერებითა, რომელთა იმეცეს წელსა ც<sup>3</sup>. ხოლო შემდგომად დაჭდა აზგილსა მისსა ძე მისი აბალა ხანი, რომელი იყო კაცი ძლიერი, კეთილი და მშვიდობია-ნი, და ესე იყო მოყუარულ ქრის-ტიანეთა, რომელმან ჰემნა ხა-ნობა, ესე იგი მთავრო-ბა კეთილმძლეველობითა და გამარჯვებითა წელსა იც<sup>4</sup>, და მო-კუდა ხრიკითა რომლითამე მტე-რითაგან თვესთა ჰამიანის<sup>5</sup> ქალა-ქსა შინა რიცხვსა მაცხოვ-ისასა ჩს-ვბ<sup>6</sup>.

65. ხოლო სუმბათ, ვინათგან იყო უძეო, იშვილა ერთი ძეთა-გან ტარსაგვისა და მისცა სასწავ-ლოსა შინა წერილობისა და მღუ-დლობისასა, და თავადი შემდ-

A: 1 გ. ი. 1264 (713+551) წ. 2 დოკუზ ხანებ. 3 გ. ი. 1282 (731+551) წ.

B: 1 ჩს-მდ=1264 წ. 2. დოხალ ხათუნ. 3 ც=3. 4 ც=0=18. 5 ჰამიანის. 6 ცს-ვბ=1282 წ.

**A**

მღვდელობისასა. ხოლო თვით იგი შემდგომად მრავლისა აღმ-შენებლობისა ქვეყანისა და მო-ნასტერთა და კულტურისათა და დიდ-დიდთა და საჩინოთა საქმეთა, რომელი წარხდა ყოველთა პირ-ვილთა თვისთა, წარვიდა დიდისა შეიგნობრისა, მდივნისა მის მე-ფისა, წინაშე არღუნისა და საპი-ბისა დავრეცს შაისტანსა და მუნ დასნეულდა სნეულებითა დიდი-თა და მოკვდა. და მისცეს ყო-ველი მთავრობა მისი ძმასა მის-სა ტარსაიჭს, და შევეფრა მან არ-ლუნს და საპიბს და თვით მიიცვა-ლა წესსა ანგელოზთანა მასლო-ბელად მყოფისა ნეტარისა და წმინდისა რაბუნისა<sup>1</sup> შალვასათა, ქვენა მთავრობა დიდი პატივითა და საჩინოთა დიდებითა წელსა ოცა.

ხოლო მოვიდნენ ყოველნი დი-დებულნი, დაიტირეს იგი და დი-დითა პატივითა შეამკვეს ცხედა-რი მისი სახელ მეფეთა ბრწყინ-ვალებითა და ესრეთ ამაღლებულ იქმნა მრავალთაგან ჯვაროვანია ლროშაკთასა სანთლოვანთაგან მსახურებითა, დიდად და კმაბაღ-ლად, სიმრავლითა მღვდელთა-თა, განკვირვებითა ქვეყანისა მის შემოკრებულთა დედაქალაქისა-თა და წარმოიღეს კეთილმსახუ-

**B**


გომად მრავალთა ქუეყანათა აღ-შენებათა მონასტერთა და კულტუ-სიათა და დიდ-დიდთა ჩიუდანის მიერთა საქმეთა შინა წარემატა წი-ნაპართა თუსთაგან, წარვიდა კრ-სა სამეფოსა მას არღუნისასა და საპიპცა იყო დავრეც შაპისტანს<sup>1</sup>, ესე იგი თავრიზს, მუნ დაუძლებულდა უძლურებითა დი-დითა და მოკვდა. და მისცა ყო-ველი სამთავრო თვისი ძმასა თვს-სა ტარსაიჭს და შთაბარა იგი არღუნს და საპიპსა, და თავადი მიიცუალა და მივიდა ანგელოსთა თანა. ამან იმთავრა დიდებითა წელსა კ<sup>2</sup>. იყო სიახლოესა მას ნეტარი და წმიდა მოძღვარი იგი შალვა. მოვიდნენ ყოველნი დი-დებულნი და იტირეს ამას ზედა და დიდითა პატივითა შემკვეს ცედარი მისი: სამეფოთა დი-დებითა და ეგრეთ მრავლითა ჯვარითა, ხვამლებითა, სანთლე-ბითა და ლოცვითა დიდითა, სიმ-რავლითა მღუდელთათა ესოდენ, ვიდრე განკვერდებოდენ აღსავსე იგი დედაქალაქისაშინანი და მი-იღეს მამეულსა სასაფლაოსა ნო-რავენისასა და დაფლეს იგი მამა-პაპათა თვსთა თანა წელსა უ ფ-ლ ისასა ჩს-ოგ<sup>3</sup>. და აღაშენა ძმაბან მისმან ტარსაიჭმან ეკელე-სია წმიდისა გრიგორი განმ ა-

A: 1 „რაბუნისა“-ს შესატყვისად სომხურ ტექსტში გვაქვს „მართინ“, რაც მასწავლებელს ნიშნავს.

B: 1 შორისტან. 2 კ = 20. 3 ჩს-ოგ = 1273 წ.

რეპითა კარით მათით და მოილეს მიმულსა თვისსა საფლავად, წმინდასა ახალსა მონასტერსა თანა, ქვეყანით შემოკრებულად, დადგეს საფლავსა მამათა თვისთა თანა რიცხვსა შვიდას ოცდა ორსა! და ამისთვის აღაშენა ძმამან მისმან ტარსაც სახლი მისად საფლავად და ეკლესია სახელსა ზედა წმინდისა გრიგოლისასა და მუნ მიიცვალა ძმა მისი სუმბატ, რომელსა ქრისტემან ღმერთმან, სასოებამან ყოველთმან, მიმაღლოს განსვენება და შეწყალება. და განწმინდოს ყოველივე ცორმანი სულისა მათისანი სომეხთანი და სახსენებელი მათი კურთხეულ იყავნ, ამინ.

66. ხოლო ისმინე, თუ ვითარისა კეთილის ყოფისა მოქმედ იქმნა ნათესავსა თვისსა ზედა. ესე იყო მეფობასა ქართლისასა დედაკაცისა ერთისა რუსუდანისასა. რომელ ესვა ძე ერთი ლაშას და ეწოდა სახელად დავით, რომელ მრავლითა ლონითა ძალას-სცემდა რუსუდან წარწყმენდად მას: და ეამაღ-ეამაღ შთასმოდა კიდობანსა და შთააგდებდის წყალთა და ზოგჯერმე მისცემდის მთავართა სიკვდილად და იგინი მიწით აღმოთხრილთა სცვიდენ მას. ზოგჯერ წარგზავნიდის შორესა ქვეყანასა, რათა მუნ წარ-

ნათლებელისა სახელისა ზედა და მუნ მიიღოს შემცირებული სუმბატ, რომელსც მუსკის მუსკის და მოწყალება და განწმიდოს ყოველი მწიკულევანება სულისა მისისა და განანთლოს იგი წმიდათა და დიდებულთა მთავართა თანა, და მოსახსენებელი მისი იყავნ კურთხევით, ამინ.

66. ხოლო ისმინე, უკეთუ ვითარი ლუაწლი იმოქმედა გვარისა თესისათვს ამა სუმბატ-მან. მას უამსა შინა ეპურა მეფობა ქართლისა დედაკაცია ერთისა, რუსუდან წოდებულსა, და იყო დავით კმობილი ძე ერთი ლაშასი, ძისა სოსლანისა, ქმრისა თამარისა, ასულასა მეფისა გორგისა, მპყრობელისა საქართუ ჭლოებსა, რომლისა წარწყმედა მრავლისა ცდითა ენება რუსუდანსა მას: იდესმე შთააგდებდა კუბოსა შინა და შთააგდებდა ზლუასა ში-



A

წამინდონ იგი, არამედ ყოველთა მათ განერებოდა ნებითა ღვთისათა. და წარვიდა და ივლტოდა დიდისა მის მეფისა მანგუ ყაენისა თანა და მოქმედი იგი მისგან და მოვიდა და მეფობდა ქვეყანასა თვისსა და პოვა რუსუდან მომჟედარად, შეირთო მან ცოლად ხვანდი! ნახევენელი და შეირთო სხვა ცოლად გვანცა და აქვნდა მისგან შვილი ერთი, სახელად დიმიტრი.

ხოლო სუმბატ ყოვლითა შეწევნითა ერჩიდა მას და მრავალსა და აიღსა კეთილსა უყოფდა მას წინაშე ჰულაგუ ყაენისა და წინაშე დიდებულთა მისთა და უფროსად დიდისა მას სამსჯავროსა და ეზომ შეიყვარა იგი მეფე-მან დავით, რომელ სწორად თავისა თვისისა ხელვიდა მას, და მცირე იგი ყრმა დიმიტრი მისცა კლოთა მისთა შვილად მას.

ხოლო სუმბატ მრავალთა მტერთა მეფობისა მისისათა და დიდ-დიდთა ქედმალალთა მისცემდა სიყდილად კარსა მეფისასა.

და ესოდენ მომსმენელ იყო ჰულაგუ მისსა, რამეთუ რომელსაცა ენება, მოკვლიდა და რომელსაცა ენება, სიცოცხლესა მიმადლებდა. მისთვისცა ყოველნივე ძრწოდენ მისგან და ყოველთა ყოველნი თვალ ასმიან მას თვალნი. მოხილვიდენ ჩისსა.

B

ნა, ოდესშე მისცემდა მთავართა საეუდავად და იგინი მართვის უზენა სახლსა შინა დაპირის მეტერებისა მას, და ოდესშე შორიელსა ქუეყანასა წარგზავნიდა, რათა მუნ მოკლან იგი, და ყოველთაგან განრინებულ იქმნებოდა მოწყალებითა ღმრთისთა. ხოლო ლტოლვილ იქმნა და წარვიდა დიდსა მეფეს მანგუ ყაენთან, უკუნიერება მისით, მოვიდა და გამეფდა ქუეყანასა თვისსა და პოვა რუსუდანი იგი მოკლენებული და შეირთო ასული მთავრისა ნახევანისა, რომელსა უკრობდენ ესუქან!. ეთხოვნაცა ცოლი მორჩე, გვანცა<sup>2</sup> წოდებული, რომლისაგან ჰყუა ძე ერთი, დიმიტრი ჰყმობილი. ხოლო სუმბატ ყოვლითა ერთგულებითა მორჩილებდა მას და მრავალს ღუაწლსა მოქმედებდა წინაშე ჰულაგუ ყაენისა და დიდებულთა, მეტადრე დიდსა კარსა მას და ეგოდენ შეიყუარა იგი მეფემან დავით, ვიდრე ჰსწორად თავისა თვისისა პსჩნდა, და ძე თვისი დიმიტრი მისცა მას შვილად, ხოლო სუმბატ მრავალსა მტერსა მეფობისა მისისასა დიდებულთა და გულზევთა მოაკუდინებდა სამეფოს კარზედ, რამეთუ ეგოდენ უსმენდა ჰულაგუ მას, ვიდრე ვისიცა ენება, მოაკულევინებდა და ვისიცა პნებევ-

A: 1 ხოიანდო.

B: 1 ისოქან. 2 კონდა.

7. ვ. ცაგარევიშვილი



**A** მოუწოდა მეფემან სუმბატს და სწალოდა დიდ-დიდითა ნაკითა ზღვევად კეთილის-ყოფისა მისისა, კოთხა და რქვა: „ვისარ არს ნება შენი, რათა მოვცელლა ნიჭინი დიდ-დიდინი? რომელიცა გნებავს და გთნავს შენ ეფოპა-სა ჩემისაგან, არა დავიშურუ შენდა“. ხოლო ზე აღდგა სუმ-ბატ და თაყვანის-სცა და თქვა: „ჰო მეფეო, ყოველი, რო-მელნიცა მაქვან მე, ყოველივე შენი არს და უპირატესთა შენ-თა, ესე კმა არს ჩენდა, არამედ მაქვს სახხოელი საქმე შენგან. უკეთუ გნებავს“. მიუგო მეფე-მან: „გიფუცავ, რამეთუ, რო-მელიცა-იგი მთხოვო, მოგცე შენ“, მიუგო სუმბატ და რქვა: „აღიღე ბოროტი სახსენებელი ჩენი, რომელ ცილი სწავა პირ-ველმან შენმან გოორგი უპირა-ტესთა ჩენთა, რომელ აღშერად სცა და განაწესა შეჩენება, რათა არა გვიტეონ ჩენ მამულად ჩენდა და დამარხა საუნჯესა თვისსა, მომეც იგინი პელთა ჩემთა“.

და, სიცოცხლესა მუქმალებდები რომლისათვეს ყოველიშედებით მისგან და თვალნი ყოველთანი მასი უკვერეტდენ. ამეამად დაი-ბარა მეფემან სუმბატ ტფილი-სით, რათა მაგიერი მიეგო მის-თვს, ჰკითხა მას და პრქვა: „რად გნებავს, რათამცა მოგანიშო შენ ნიჭინი დიდ-დიდინი? რამეთუ რაძ-ცა გნებოს შენ ჩემისა სამეფო-საგან, არცა ერთსა დაგარიცებ“. ზე აღსდგა სუმბატ, თაყუანის-პსცა და პრქვა: „ჰე, მეფეო, რაძ-ცა გუაქს, თქვენი არს ყოველი და წინაპართა თქვენთანი და იგი კმა არს ჩენდა, არამედ ვითხოვ თქვენ მიერ საქმესა ერთსა, უკი-თუ ინებებთ“. და პრქვა მეფე-მან: „უფუცავ, რამეთუ რაძცა ითხოვო, მოგცე შენ“. პრქვა სუ-მბატმან: „აღიღე ბოროტი მო-სახსენებელი ჩენი, რომელი გვაბრალა ჩენ სიცრუცით წინა-პარმან თქვენმან გოორგიმ და ეგოდენ სიცრუე წინაპართა ჩემთა დააშერინა და შეჩენება განაწესა და რათამცა არა გვამ-ყოფონ ჩენ მამულსა ჩენსა ში-ნა, და დასდგა იგი საუნჯესა თვისსა, მომეც იგი მე.“

67. ხოლო მეფე განკვირვებუ-ლი იქმნა და შეურაცხ-ყო მამა თვისი, თუ რასათვის ესეონი კაცნი. ძლიერნი და განმარგვე-ბულნი, განდევნა სახლით ჩენით. და უპრძანა მსახურთა, რათა მოი-ძიონ და პოონ წიგნი იგი. რომელ-

67. მაშინ განკვირდა მეფე და აყველრა პაპასა თვისსა, ესე იგი წინაპარსა, და თქვა: „რასათვე-ესრეთი კაცნი, ძლიერნი და მა-რჯვენი, განსდევნა საქართველო-დამ?“ და უპრძანა მსახურთა თვისთა ძებნა და პოვნა წიგნისა



B

ნი წარვიდენ და პოვეს მეყეულად. და მოილო მეფემან კელითა თეისითა, ზე აღდგა და თქვა: „აპა, სუმბატ, მიიღე წიგნი ესე, რომელ ითხოვე“. და მიისწრაფა სუმბატ თაყვანის-ცემად და თქვა: „პო მეფეო, ვიდრე ესოდენ შემიწყალე, რომელ სრულიად მაჩვენე მე კეთილი. ხოლო ეგე წიგნი აღწერილ ას კელითა მეფისათა და კამს, რათა აღიკოცოს კუალად კელითა მეყისათა, ბრძანე აღგზებად ცეცხლისა და კელითა შენითა შთააგდე ცეცხლისა მას შორის წიგნი ეგე“. ბრძანა მასვე უამსა ბრძანა მეფემან და აღანთეს ცეცხლი და აღმოილო მახეილი, დაჭრა! წიგნი იგი, შთააგდო ცეცხლისა და დაწევა, ხოლო ფრიად მხიარულ იქმნა სუმბატ, დიდად მადრელ იქმნა მისგან და შემდგომად მათთა ნიჭითა და სამეფოთა შესამოსლითა პატივ-სცა და შემსა იგი მეფემან, და ესრეთ მიაჭცია სახლად თვისად. და აპა ესეთისა სახითა აღიხვნა წინანდელთა თვისთა ყვედრებანი და პყო უკნა მომავალთა თვისთა- თვის სახსენებელი კეთილი.

68. ხოლო ამისა შემდგომად უფლებდა ყოველთა მთავრობათა მისთა ზედა ძმა მისი ტარსაიჭ, პატივცემული და შეყვარებული წეყვანისა მპყრობელთა და ყო-

მის. რომელი წარვიდენ და პიოვეს მსწრაფლად და მიწურული კელითა თა თვისითა, ზე აღსდგა და პრქვა: „აპა, სუმბატ, მიიღე წიგნი ესე, რომელსა ეძიებდი“. აღს- დგა სუმბატ, თაყუანის-სცა და პრქვა: „ზე, მეფეო, ვინამთვან შემიწყალე მე, სრული კეთილი მიჩვენე მე, რამეთუ წიგნი ეგე წერილ არს კელითა მეფისათა, ჯერ ას ახოცაცა კელითა მეფი- სათა. უბრძანე და აღაგზნან ცე- ცხლი წინაშე შენსა და კელითა შენითა ჰეთააგდე შის შინა წიგ- ნი ეგე“. მასვე უამსა ბრძანა მეფემან და აღანთეს ცეცხლი. მიოღო ხანგალი და დაქუწა წიგ- ნი იგი და შთააგდო ცეცხლისა მას და დაწვა, რომლისათვის დიდად განიხირა სუმბატ და მაღ- ლობდა მას. ამისა შემდგომად სხეითა დიდ-დიდითა დიდები- თა და სამეფოთა შესამოსლითა დახალათა იგი მეფემან და ეგრეთ გარე-მიაქცია სახლად თუსად. აპა მაგალითითა ამით აღიღო სუ- მბატმან ყვედრებანი წინაპართა თვისთანი და პყო შემდგომთა თუს- თათვის სახსენებელი კეთილ.

68. ხოლო ამისსა შემდგომად უფლებდა ყოველთა სამთავროთა მისთა ძმა მისი ტარსაიჭ, პატივ- ცემულ და შეყვარებულ იქმნა თვითმცყრობელთაგან და ყოველ-

## A

ველთა დიდებულთაგან, და საზარელ ყოველთა მტერთა.

ხოლო ესოდენ წარჩინებული იყო წინაშე აბალა ყაენისა, რომელ მრავალგზის სამეფოთა სამოსელთა განიძარცვევდის და შემოსდის ტარსაიჭე თავით ვიდრე ფერხადმდე და სარტყელი წელისა თვისისა, მოოჭვილისა ოქროთა მრავალსასყიდლისათა, თვალთაგან და მარგალიტთა მიერ აღსავსესა, მისცემდა შერტყმად წელთა.

ხოლო თვით იყო კაცი ძლიერად გულოვან და მებრძოლ და ჰესავითა საზარელ ყოველთა ბრძოლათა, რა წარვიდის. დიდიდიდთა და მიუთხრობელთა ძლიერებათა აჩვენებდა ხორასანს, შამსა, საპერძნეოს, ჰორომს, ჰამსა და ჰამას<sup>2</sup> და ეგვიპტეს, დარუბანდს. ცხრა გზის წარვიდა თავით თვისით ბრძოლად და უკუნ-აქცივნა მებრძოლნი. და ამისთვის დიდითა ნიჭითა პატივცემულ იქმნებოდა მეფეთა-მეფესაგან და მიიღო ოქროსა ბალიში. რომელი იყო ბრტყელი ნაკეთისა საზომსა ერთისა მტკაველისასა და წონა ერთისა ლიტრისა. რამეთუ ეს იყო იყო დასაბამ პატივისა განშარჯვებათა.

ეს წარიყვანა მეფემან დავით და წარვიდა ხაჩენს<sup>3</sup> ძისა მიმართ დიდისა მის მთავრისა ჭალალ

## B



თა დიდებულთაგან. ვანაჭებრდ სამთავროსა თვისა უწყისებდა განვებითა და ფრიად უსაშინელესად ეჩვენებოდა ყოველთა მტერთა თვისთა. ეგრეთვე ეგოდენ პატივცემულ შეიქნა წინაშე აბალა ყაენისა, ვიდრე მრავალგზის სამეფოსა შესამოსსა თვისსა გაიხდიდა და შემოსევდა ტარსაიჭე თავით ფერხადმდე. და ქვიანი თვისი, სრულიად ოქროსი, ძვირფასისა თვლებითა და მარგალიტითა, შემოარტყა მას. ხოლო იყო ეს კაცი ძლიერი, გულოვანი, მეომარი, ჰესავით საშინელი და მძლეველი ყოველსა მეომრობასა შინა, სადაცა წარვიდა. და დიდ-დიდთა მძლეველობათა მოქმედებდა და უძლეველისა ძლიერებასა იქმნდა ხორასანსა, შესახ, ჰორომს, ჰამსა და ჰამას, მისრელთა გინა ეგიპტელთა თანა ბრძოლითა, დარბანდსა, რომელი ენითა ჩვენითა ითქმის კარი ალანელთა. ცხრას გზის გარდა იხადა გამარჯვებით ომი და დასრულნა ბრძოლანი, რომლისათვის დიდ-დიდითა ნიჭებითა პატივცემულ იქმნა მეფეთ-მეფესაგან და მიიღო ბალიში ოქროსი, რომელი არს ერთის მტკაველის ოდენი და წონით არს ლიტრა ერთი. რამეთუ იგი იყო მაშინ მძლეველობისა პატივი.

A: 1 ზანბინს. 2 მას და მას. 3 ხანჩენს

B: 1 აბალანისა. 2 შამბინსა.

## A

ათაბაგისა და შეირთო და მისი ცოლად მინა-ხათუნ<sup>1</sup> სიცოცხლე-საღა პირველისა ცოლისასა, რომ-ლისათვისცა არა სათნო იყო სჯულმან და მოძღვართა და მეც-ნიერთა ეკლესიისათა.

ხოლო მიიყვანა სახლად თვი-სად და უშვა მან ქე ერთი რტო-შვენიერი, და უწოდა სახელად ჭალალ, და ასული ორნი, რო-მელთა უხუცესი მისცა ცოლად ღიდსა და ღიდებულსა მთავარსა ხაჩინისასა, გრიგოლს, ძესა ჰასა-ნისასა<sup>2</sup>, ძეთაგანისა ღიდისა გრიგოლისასა, რომელი იყო ღისწული ოვანე ათაბაგისა. ხო-ლო სხვა იგი შემდგომად მამისა თვისისა მისცეს ძმათ სძლად სა-ხლსა ქართველთა მეფისასა, ცო-ლად ძმასა დავით მეფისასა მა-ნუელს, ძესა ღიმიტრი მეფისასა, რომელ მოაქლდა რიცხვსა შვი-ლასაცხრამეტსა<sup>3</sup>. ამან აღაშენა ეკლესია და შეწირნა მრავალნი ნაყოფნი მონასტერთა და მისცა ეკლესიასა ქალაც ქარონისასა სოფელი გელაქუნისა გარნაკერი<sup>4</sup>. და ვენახი ერთი მაჭარავინისა კე-ვისა. და აღწერა თვით ქვესა ზედა წმიდისა წინამორბედისა-სა წლითი-წლად წირვა საპი და

## B



ხოლო ამან წარიყუანა მეფე შეკრუცული თლისა დავით და წარვიტო შეკრუცული ჩამასა მთავრის ჭა-ლალ ათაბაგისასა და შეირთო და მისი მინა-ხათუნ ჟამსა სიცოცხ-ლისა პირველისა ცოლისა თვი-სასა, რომლისა არა მნებებელ<sup>1</sup> იქმნენ სჯული და მოძღვარი ეკლესიისანი. და მიიყუანა იგი სახლსა თვისა და მიეცა მისგან შვილი ერთი შვენიერი, რომელ-სა უწოდა ჭალალ<sup>2</sup>, და ასული ორი, რომელთაგან უხუცესი შე-რთო ცოლად ღიდისა და ღიდე-ბულსა მთავარსა ხაჩინისასა გრიგოლს, ძესა ჰასანისასა<sup>3</sup>, ძე-სა ღიდისა გრიგოლისასა, რომე-ლი იყო ღისწული ივანე ათაბა-გისა, და მეორე შემდგომად მა-მისა ძმათ მისცეს იგი სძლად სახ-ლსა სამეფოსა და შერთეს ცო-ლად ძმასა დავით მეფისასა მანუ-ელს<sup>4</sup>, ძესა ღიმიტრი მეფისასა, რომელი იყო შვილი დავით მე-ფისა, რომელი ზემორე ვ ს თ ქ უ თ, და ესე იყო წელსა უ ფ ლ ი ს ა ს ა ჩ ს ო რ. ამან აღა-შენა ეკლესიინ და იმოქმედა მრავალნი წარმატებულებანი მო-ნასტერთა შინა. მისცა მონას-ტერსა ქალაცქრისასა სოფელი

A: 1 მინა ხანუმ 2 გრიგოლს, ძესა ჰასანისასა] ძესა გრიგოლისასა ასანს.

3 ე. ი. 1270 (719+551) წ. 4 გარნაკერი] გავარაშენი.

B: 1 არა მნებელ] მნებებელ, რაც შეცდომა, რაღაც სომხურ ტექსტში არის: იჯ ჩანსევან. 2 ზალალ. 3 ასანისასა. 4 მანოელს. 5 ჩ-სო=1270 წ.



კვეთაშინელითა, რამთა არა და-  
არღვიონ სულიერი მისაცემელი  
იყო და განაახლნა მრავალნი ეპ-  
ლესიანი, მოოხტებულნი და დამ-  
ველებულნი. და აღესრულა მათ  
დღეთა შინა კეთილმსახური ცო-  
ლი მისი არუშ ხათუნი და დაიდ-  
გა საფლავსა ბჭეთა თანა წმინდი-  
სა მოციქულისათა ტაოვისათა.

გელაქუნისა! შინა გურულებულშაზე  
ენაზი ერთი მაჟარმჭერი მწერა  
და ლასწერა ძეგლი, მოსახსნებე-  
ლი თვეი მონასტერსა ზედა წმი-  
დისა წინამორბედისასა და განა-  
წესა უმის-წირვა წლითი წლამ-  
დე და შეერა საშინელითა შეჩ-  
ენებითა, რათა არა მოშალონ  
იგი სულისათვს განწესებული.  
განაახლნა კუალად მრავალნი ეპ-  
კლესიანი, დარღვეულნი და დამ-  
ველებულნი. მიიცვალა მათ  
დღეთა შინა კეთილმსახური ცო-  
ლი მისი არუშ ხათუნ და და-  
ეფლა საფლავსა შინა, კარსა  
წმიდათა მოციქულთა ტაოვის-  
თა.

69. ხოლო შემდგომად მეფო-  
ბისა დავითისასა ძემან მისმან დი-  
მიტრი მიიყვანა სუმბატ სახლსა  
თვისისა აღორძინებად ანდერძი-  
საებრ მამისა თვისისა მრავლითა  
თვისითა ღონითა და კელის-აღყ-  
რობითა დასვა<sup>2</sup> საყდარსა ზედა  
მამისა თვისისა მეფემან ქართ-  
ლისამან რიცხვსა შვიდას ოცდა-  
ერთსა<sup>3</sup>.

ხოლო შემდგომად აბალა  
ყაენისა, რომელი მოკვდა რიცხვ-  
სა შვიდას ოცდათერთმეტსა<sup>4</sup>,  
დაჯდა მეფე მწარე, ძმისწული  
ყაენისა ყოვლისა ქუეყანისა, რო-  
მელი თვით იწოდა აქმადად და

69. ხოლო შემდგომად დავით  
მეფისა ძე მისი დიმიტრი მოი-  
ყუანა სუმბატ სახლსა თვესა, ალ-  
ზრდიდა მას, ვითარცა ემცნო  
მისოვს მამასა. მერმე მრავლისა  
შრომითა და გულსმონდგინებითა  
დასვა ტახტსა ზედა მამისა თვისი-  
სასა მეფედ ქართლისა წელსა  
მაც ხოვრისასა ჩს-ობა<sup>5</sup>.  
ხოლო შემდგომად აბალა ყაენისა  
წელსა მაც ხოვრისასა ჩს-ობა  
ჩს-ობა<sup>6</sup> დაჯდა ძმისწული მისი თა-  
გუდარ<sup>5</sup> ხანად, გინა მთა-  
ვრად ყოვლისა ქუეყანისა,  
რომელმან დაიჩვენა სახელად აპ-  
მად. ამან განიზრახა დარღვევა

A: 1 არუს ხანებ. 2 დასვა] და სხვა, რაც შეცდომაა, რაღაც სომხურ ტექსტშია  
ნიმუხით. 3 ე. ი. 1272 (721+551) წ. 4 ე. ი. 1282 (731+551) წ.

B: 1 ვილარქუნისა. 2 მაჟარახევში. 3 ჩს-ობა=1272 წ. 4 ჩს-ობა=1282 წ. 5 თან-  
გუდარ.

## A

უანიშრაპვიდა დარღვევად სჭულსა ქრისტიანობითა და მუსულმანი კოფად ყოველთა ნეთებავთა. და წელსა მესამესა უფლებისა თვისისასა მოიკლა მულანს! ბევრისაგან ძმისა თვისისა ყონიორათასაგან.

ხოლო სულტანი ბერძენთა ხიათადინ<sup>2</sup> და ორნი ძენი ცაგანისნი<sup>3</sup> წარვიდენ განაფხულისა უმთა უმტრალითა სპითა ხორასანს არღუნისა ზედა, მიმართ ძეთა აბალა ყაენისათა, რათა მოსპოს სამკვიდრებელი მეფობისა მათისა. და დაიჰურა იგი და მოიქცა ამიერ.

70. ხოლო ღმერთმან ქრისტეანეთამან მას ღამესა გარდააქცივნა გულნი დიდებულნი არღუნისა კერძო, და გამოიყვანეს იგი საპყრობილოთ და მეფედ ყვეს იგი. და აღილეს მათ ზედა მახვილი და მოსწყვიდნეს მტერნი მისნი. და ეწიონეს უკანა და მოქლეს აპმად<sup>4</sup> და ყოველნი თანა-მსიტყველნი მისნი: ჰასან მანლიშეხინ, საპიბ მწიგნობარი, ალინაზ<sup>5</sup> და სხეანი მრავალნი.

ხოლო დიმიტრი მეფე იყო მათ თანა, რომელი შეიყვარა არღუნმან და მისცა მას ყოველი ქვეყანა სომხეთისა ავაგიანთა და სახლი შაჰან-შაიანთა და გაგელნი და ძე საღუნ ათაბაგისა.

## B



სჭულთა ქრისტიანეთა და ციხეში მიქცევა მუსულმანიდ, უფრუჩეული მა პ მ ა დ ი ა ნ ა დ ფლებლოფა მეტება გუართა, ხოლო მესამესა წელსა ხანობისა მისისასა მოქლა მეორე ძმა ყონყართან სულთანი ჰორომთა ხიათადინ<sup>1</sup> და ორნი ძენი ცაგნისანი. შემდგომად უამსა გაზაფხულისასა წავიდა ურიცემთა სამჯედროთი ხორასანს არღუნსა ზედან, ძისა აბალა ყაენისასა, რათა მოკლა მემკვდრე მეფობისა, და შეიძყრა იგი და უკუნ-იქცა მუნით.

70. ვარნა ღმერთმან ქრისტიანეთამან მას ღამესა გარე-მიიაქცივნა გულნი დიდებულთანი არღუნისადმი, რომელი გამოიყურანეს საპყრობილეთაგან, გამეფეს და ყოველნი მტერნი მისნი მახვილითა მოსრეს. მერმე მოსწვდენ და მოქლეს აპმად და თანა-მოზრასნი მისნი: ჰასან მანლიშეხინ<sup>2</sup>, საპიბ მზივანი, ალინაზი<sup>3</sup> და სხეანი მრავალნი. ხოლო მუნ იყო დიმიტრი მეფე, რომელი შეიყურა არღუნმან და მისცა ამას სავაგიანო საშაინშაპიანო, გაგელნი და ძენი საღუნ ათაბაგისანი. და თვალი იყო ფრიად მოყურულ ქრისტიანეთა და ეკკლესიათა, რომელთა თანა იყო ტარ-

A: 1 მუკანს. 2 ხაფადინ. 3 ცაგანისნი] ჰავონისნი. 4 აპად. 5 მანგვლიშეხ. 6 ზალინს.

B: 1 ხიალინ. 2 მანგლიშეხინ. 3 ალინაზი.

A

ხოლო და იყო თვით იგი მოყვარე ქრისტიანეთა და ეკლესიათა და იყო მათ თანა ტარსაიქიცა, რომელი ფრიად დიდებულ იქმნა და შეიყვარა არღუმან.

71. ხოლო შემდგომად მიიქცა დიმიტრი დიდითა სიხარულითა და ყოველნი აზნაურნი და ყოველნი დიდ-დიდი ქართველთა და სომხეთანი მის თანა, და მოვიდეს შარუს და მიეგება ტარსაიქ და დიდითა პატივითა და სამეუფოთა ძლენითა მიხედა მეფესა. და წარიყვანა მან იგი თვის თანა, ქვეყანასა ავაგიანსა, არარატს. და მრავალითა ვეღრებითა ექენებოდა მას და დაადგინა ათაბაგი ყოველსა საუფლოსა ზედა ვიდრე ტფილისით და ანით და კარით, და მისცა კელთა მისთა ძენი თვისნი დავით და მანუელ ალორძინებად და დაცვად.

72. ხოლო ამისსა შემდგომად მიიღო ტარსაიქ ათაბაგობა ქვეყანისა სომხითისა, და მრავალსა სიადვილესა და მოწყალებასა უყოფდა შეიტრებულთა ნათე-სავთა მათ სომხეთისა. და წარვიდა ტფილისს მოყვანებად მწიგნიბარსა მეფისასა, აღმოიკითხა

B



სიიქ, რომელსა ფრიად ჰატივს - ქსეცემდა არღუნ და მიმდინარეობა.

71. ამამაზ გარე-შეიქცა დიმიტრი დიდითა მხიარულებითა და ყოველნი აზნაურნი და დიდებულნი ქართლისა და სომხითისანი იყუნენ მის თანა, და მოვიდნენ შარუსს, წინ მიეგება ტარსაიქ, დიდ-დიდითა პატივითა და სამეუფოთა ძლენითა აღიდა მეფე. და მან წარიყუანა იგი თვეთანა ქვეყანასა საავაგოსა, არარატს. და მრავალითა ცდითა და მორჩილა იგი ვეღრებით და დაადგინა იგი ათაბაგად, ანუ კერძოთ მპყრობელად და მბრძანებელად ყოველთა სამფლობელოთა თვეთა ზედა ვიდრე ტფილისისა, ანისა და ყარ-სისაძე და მიაბარა მას ყრმანი თვსნი დავით და მანუელ აღზრდად და დაცვად მათთა.

72. ამისსა შემდგომად ათაბაგობასა სომხითისასა მოქმედებდა ტარსაიქ, და მრავალსა გულისა ტყივილსა და მოწყალებასა მოქმედებდა უბალრუკთა გუართა სომხისადმი. ესე წარვიდა ტფილისში, მოატანინა სამეფო წერილნი და აღმოიკითხა ყოველი

A: 1 ათაბაგმან.

B: 1 შარუსს.

## A

ყოველი მატიანენი, რამეთუ  
იყო აღწერილ მატიანესა სახელ-  
ნი მონასტერთა სომხითისათა,  
რათა იყვნენ სამართალსა და  
ხარქსა ქვეშე. და წარმოიყვანა  
მწიგნობარი უხუცესი მწიგნობა-  
რთა სამწიგნობრეთასა და შესკ-  
ვალა მატიანე და აღმოყოცნა სა-  
ხელნი მონასტერთა სომხითისა-  
ნი მატიანეთაგან ქართველთასა,  
უფროს ვიდრე ასორმეოცდათო-  
სა მონასტრისა, და უძველესნი  
მატიანენი დაწვნა ცეცხლითა და  
ესრეთ განთავისუფლნა ყოველ-  
ნი ეკლესიანი და მონასტერნი.  
იგი ესოდენ მოწყალე და მწყა-  
ლობელ იქმნა ყოველთა ზედა,  
რამეთუ ნეტის სოფელში, რო-  
მელი იყო პირსა პრაზდანისა?  
მდინარისასა, აღმართა ჭუარი და  
უწოდდენ მას სახელად ჭუარსა.  
ამან ყო კრება მრავალთა ეპის-  
კოპოსთა და წინამძღვართა და  
ეკლესისაგნოთა და ერისკაცთა-  
ცა შემოკრებითა დიდად საღი-  
დებელსა წმინდასა ახალსა მო-  
ნასტერსა და მისცა კელთ-დასხ-  
მად ძე თვისი სტეფანე მღვდელად  
რიცხვსა შეიღას ოცდამეცხრესა?

73. ხოლო შემდგომად ხუთისა  
წლისა წარგზავნა წინაშე მეფო-  
ბისა სომეხთასა კილიკიას, დიდისა  
მის კათალიკობისა მამა იაკო-  
ბის თანა კელთ-დასხმად ეპის-

## B



დავთარნი და თო მარტინ  
მათნი, სადაცა ეწერებ ჰიმისწილები  
ნი მონასტერთა სომეტიმის; ეკისუება  
თარმედ ყოფა მათი ხარკთა ჰევ-  
შე. მაშინ მოაყვანინა მწიგნო-  
ბარი ერთი და შეაცულევინა დავ-  
თარი იგი და გამორიცხა სახელ-  
ნი მონასტერთანი უმეტეს ას-  
ორმეოცდათისა და ძველი დავ-  
თარი დაწვა ცეცხლსა შინა და  
ესრეთ განათავისუფლა ყოველნი  
ეკლესიანი. და ესრეთი მოწლე-  
მოწყალე შეიქნა ყოვლისაღმი  
ვიღრე ნეტისა სოფელში, რომე-  
ლი ასს ზანგის მდინარესა ზედა,  
ჯვარი დაადგინეს და სახელი მისი  
უწოდეს. ამან შეჰერიბნა მრა-  
ვალნი ეპისკოპოსნი, მოძღვარნი  
და მონასტერთა მამანი საეროვ-  
ოურთ დიდებულსა მონასტერსა  
შინა ნორავანისასა და კელდასხ-  
მულ ჰყო ძე თვისი სტეფანე სამ-  
ღვდელოთ წელსა უფლისასა  
ჩეკვა.

73. ხოლო შემდგომად ხუთი-  
სა წლისა წარგზავნა სამეფოსა  
სომხითისასა კილიკიას, დიდისა  
კათოლიკოს უფალს იაკობთან ეპ-  
ისკოპოსად კელდასხმისათვის.

A: 1 სოფელი. 2 პრაზდანისა] პურიასტენისა. 3 ე. ი. 1280 (729+551) წ.

B: 1 ჩ. 3=1280 წ.



კოპოზობისად, რომელ ვიდრე მიწევნადმდე მუნ აღსრულებულ იყო კათალიკოზი იგი. მრავალი პატივი და დიღ-დიღნი ინებე-ბოლეს მეფისა მისგან სომეხთასა ლეონისგან მის ზედა, რომელ ყოვლითა ვეღრებითა აიძულებდა მას დაფრომად მუნ და დაფგი-ნებად სომეხთა კათალიკოზად. ხოლო ვიდრე არა თავს-იდვა, ვიდრემდისცა შეკრიბა ქრება დი-დი ქვეყანისა და მრავლითა გა-მორჩევითა დაადგინეს კათალი-კოზად სომხითისა მაგა კონსტან-ტინე დღესა დიდისა შაბათისასა.

ხოლო დიღსა მას დღესა ზა-ტივისა აღდგომისასა კელთდასხ-მულ ყველ სტეფანე მიტროპოლი-ტად დიღსა მას ზედა საყდარსა სივნითისასა და სხვათა ეპისკო-პოსთა ზედა, რომელნი იყვნენ იქი და აქა, რომელნიმე კევსა ვაი-კოსასა, რომელნიმე ტათევს, რო-მელთა ერთობისა წიგნითა და ძლევნითა წარეგზავნათ კათალი-კოზისა თანა განახლებისათვის წმინდისა მის საყდრისა ძველსა-ცე პატივსა და ხარისხსა ზედა თვისსა, რომელი ამაღლებულ იყო წინანდელთაგან მოოჯრებუ-ლობისა და ლელვა-გვემულებისა-თვის ქვეყანისა. და ესრეთ გვირ-გვინოსან იქმნა სტეფანე წმინ-დასა და სამოციქულოსა ეკლე-სისა ზედა ტათევისასა, სიძე ყვეს საყდარსა მას ზედა და და-

ოდეს მავიდა ესე, კათალიკოსი იგი მიცემულებულ იყო წინანდელთაგან უალნი პატივნი და ლიღ-დიღნი დიღდებანი მიიღო სასომხითოსა მეფისა ლეონისგან, რომელი აწ-ვევდა მას მუნ დამთომას და კა-თალიკოსობის მიღებას. ოდეს არა თავს-იდვა მან, მაშინ შეკრიბ-ნა ყოველნი და დიღითა აღრჩე-ვითა დაადგინეს კათალიკოსად უფალი კოსტანტინე ყოვლისა სა-სომხითომასა დღესა შაბათსა აღ-დგომისასა და დიღსა დღესა ზა-ტივისასა კელდასხმიულ ჰყვეს სტეფანე მიტროპოლიტად სივ-ნელთ დიდისა საყდრისად სხვათა ეპისკოპოსთა ზედა, რომელნიმე-ნა იყუნენ ვაიოცძორს, ესე იგი ვაეგლო ლელე ესა, და რომელიმენი ტათევსა, რომელ-თა ერთჯმოვნითა წიგნითა და შესაწირავითა წარეგზავნათ იგი კათალიკოსთან განახლებისათვე წმიდისა საყდრისა ძველისა პა-ტივისა და ხარისხისათვს, რომე-ლი აღრით უამითგან აღებულ წმინდ იყო ქვეყანისა იავარ-ყო-ფის გამო და მიზეზითა აღრეუ-ლებისათა. ხოლო ესრეთ დაა-ქორწინეს სტეფანე წმიდასა და სამოციქულოსა ეკლესისა შინა ტათევისასა და ასიძეს მას საყ-დარსა და დაუწერეს მას კონდა-კი მიმოსარონინებელი, ოქროს ვარაყით წერილი ეტრატსა ზე-და დიდისა სიტყვთა და მტკი-

A

წერეს იადგარი ოქტოთა ეტრატ-  
სა ზედა უფროსად დიდთა საქმე-  
ია და მტკიცისა პატინითა გა-  
ნახლებად პატიგსა საყდრისა მიტ-  
როპოლიტობად. და დიდებულ  
ყვეს მსგზავს უპოვარისა დიდე-  
ბითა და შემოსეს მას სამამამ-  
თავრო იგი სამოსელი, თხზული  
მკედისა ოქტოთა და დაადგა  
გვირგვინი პატიოსანი თავსა მის-  
სა კათალიკოზმან მან.

B



ცისა პატინით და განუახლეს  
ტივი საყდარისა მას მუჭარეულუდე  
ლიტობისა და განაბრწყინველუსამეცა  
წოროთა დიდებითა.

74. ხოლო მეფემან მსგზავსად  
შესა შემოსა სამეფოსა სამოსელი,  
სამამამთავროსაებრ გამონაჭერი,  
და დაადგა მეორედ გვირგვინი  
პატიოსანი თავსა ყოვლად ოქტო-  
სა, თვით იგინი. რომელსა სახე-  
ლად გვირგვინსა მას მიტრად  
უწოდენ, მისცა მას ომფორი  
დიდი სასაღუმლო სასამნაკე-  
ცო, რომელ არს მიტროპოლიტი  
გვირგვინი, ოქტოსა მკე-  
დისა, მარგალიტითა გამოხატუ-  
ლი და გამოსახული, და სხვანი  
მრავალნი ნიჭნი დიდ-დიდნი, და  
ესრეთ მაღლითა დიდებითა წარ-  
მოგზავნეს ამიერ კერძო რიცხვსა  
შვიდას ოცდათექმებსეტსა!

ხოლო მოსლვისა მისისათვის  
მხიარულ იქმნა მამა მისი ტარ-  
სიჭ : და ძმანი მისნი და ყოვე-  
ლი ქვეყანა.

ხოლო შემდგომად მცირედთა  
დღეთა მხიარულ იქმნენ ეპისკო-

74. ხოლო მეფემან შემოსა იგი  
სამეფომთა შესამოსითა მამა-  
მთავრობითითა ნაკვეთითა და  
დაადგა გვირგვინი პატიოსანი  
ოქტოსა, რომელსა მიტრას უხ-  
მობენ, და სხვა ნიშები სამიტ-  
როპოლიტონი და მრავალნი სხვა  
და სხუა ნიშები უბოძა მე-  
ფე მან. და ესრეთ უმაღლესი-  
თა დიდებითა გარე-შეაქციეს აქ-  
ადვე რიცხვსა ჩს-პზ!. ხოლო  
ოდეს მივიდა ესე, ურიად განი-  
ხარა მამამან მისმან ტარსაიჭ, ეპ-  
რეთვე ძმათა და ყოველმან ძვე-  
ყანამ. ხოლო შემდგომად მცირე-  
ლისა უამისა ალივსნენ შურითა,  
რომელნი იყუნენ ტაოევსა შინა,  
და წარვიდნენ სხვათა ნათესავთა  
თანა და მრავალნი ღვარძლნი  
